

10

წელი
აბჰისტოს
ობიდან



დაზარალებულთა
მდგომარეობა საქართველოში



10 წელი
აბვისტოს
ოპიდან



დაზარალებულთა
მდგომარეობა საქართველოში

თბილისი - ჰააგა
2019

10 წელი აბჰისტოს ომიდან

დაზარალებულთა მდგომარეობა
საქართველოში

ავტორები

მარიამ ანთაძე
ნათია კაციტაძე
ნიკა ჯაირანაშვილი
ნინო ცაგარეიშვილი
ნინო ჯომარაძე
ნონა ქურდოვანიძე


ადამიანის უფლებათა ცენტრი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

საერთაშორისო სამართლიანობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და
სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)





მადლობას ვუხდით ღია საზოგადოების ფონდს ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერისთვის, რამაც საშუალება მოგვცა, წინამდებარე ანგარიში განგვეხორციელებინა.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ღია საზოგადოება ფონდის დაფინანსებით და მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან: კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, საერთაშორისო სამართლიანობა, წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. შეიძლება, ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავდეს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ აგებს პასუხს ანგარიშის შინაარსზე.

შინაარსი

10 საბადლობელი სიტყვა

12 წინასიტყვაობა

16 **თავი 1.**
სისხლის სამართლის საერთაშორისო
სასამართლო

18 1.1 შესავალი

19 1.2 იურისდიქცია

21 1.3 სტრუქტურა

23 1.4 სამართალწარმოება

32 **თავი 2.**
საქართველოს სიტუაციის გამოძიება

34 2.1 შესავალი

36 2.2 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები

40 2.3 უნიკალური გამოძიება

42 2.4 გამონწვევები

50 **თავი 3.**
დაზარალებული თემის
სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა

52 3.1 შესავალი

53 3.2 მეთოდოლოგია

53 3.3 საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები სათანადო
საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით

57 3.4 დევნილთა დასახლებაში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი
სოციო-ეკონომიკური პრობლემები; საყოფაცხოვრებო/
სახლთან დაკავშირებული პრობლემები

82 3.5 განათლებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
ხელმისაწვდომობის პრობლემა

3.6 დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები

85 3.7 სხვა პრობლემები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს
89 დევნილთა დასახლებაში მცხოვრებთა სოციალ-
ეკონომიკურ მდგომარეობაზე

92 3.8 დევნილთა დასახლებების საერთო მდგომარეობის
გაუმჯობესებისათვის საჭირო საკითხები

96 **თავი 4.**
რეკომენდაციები

98 რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ
თვითმმართველობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს

100 რეკომენდაციები სისხლის სამართლის საერთაშორისო
სასამართლოს შესაბამისი ორგანოებისთვის და
დაზარალებულთა ნდობის ფონდისთვის

სამადლობელი სიტყვა

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა იმ ექსპერტებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მის შედგენაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციას – „ჩვენ ვიკვლევთ“, რომელიც დაგვეხმარა კვლევის ჩატარებასა და შესატყვისი ინფორმაციის ანალიზში.

ასევე, მადლობას ვუხდით ინტერვიუერებს:

ნინო ბალოიანს, მარიამ ესაკიას, შორენა ზედგინიძეს, გიორგი კაკუბავას, ნანა კეჩუაშვილს, ნიკოლოზ ლეგაშვილს, ეკა ლომიძეს, ალექსი მერებაშვილს, ნანა მშვიდლობაძეს, რუსუდან მჭედლიშვილს, დიმიტრი ნობაძეს, თამარ ონიანს, გვანცა საკანელაშვილს, გიორგი ტაბატაძეს, ელენა ფილეევას, ნათია ქოქიაშვილს, მთვარისა შველიძეს, დიმიტრი ხაჩიძეს, ვალერი ხითაროვს, მაგდა ჯამბრიშვილს, მიხეილ ჯახუას, თამარ აბაბაძეს და ლაზარე ჯიბლაძეს.

ასევე, განსაკუთრებულ მადლობას გამოვთქვამთ 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ათასობით ადამიანის მიმართ, რომლებმაც კვლევაში რესპოდენტებად მიიღეს მონაწილეობა.

10 წელი აბმისთვის ომიდან

ჩვენ ვართ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს და საერთაშორისო კოალიციების წევრები და ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩართულები ვართ საერთაშორისო მართლმსაჯულების საკითხებში.

ამ სფეროში ჩვენი საქმიანობის დიდი ნაწილი მოიცავს 2008 წლის კონფლიქტს საქართველოს, რუსეთსა და საქართველოს სეპარატისტულ – ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს შორის. კონფლიქტის შემდეგ ათასობით დაზარალებულს გავუწიეთ იურიდიული დახმარება და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია თბილისის და რეგიონული ოფისების მეშვეობით; აგრეთვე მოვახდინეთ კონფლიქტის დროს ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დოკუმენტირება. ეს დოკუმენტაცია შეკრებილია ანგარიშში „ავგისტოს ნანგრევებში“, რომელიც 2009 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გაეგზავნა.

ჩვენ რეგულარულად ვუჭერდით მხარს 2008 წლის კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების საერთაშორისო გამოძიებას. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გარდა, სამართლიანობის აღდგენის მიზნით აქტიური ძალისხმევა გავწიეთ დაზარალებულთათვის ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. ადგილობრივ დონეზე მცდელობა ნაკლებად ქმედითი გამოდგა, რადგან ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიება საქართველოსა და რუსეთში წარუმატებელი აღმოჩნდა შესაძლო დამნაშავეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის უუნარობის ანდა პოლიტიკური ნების არქონის გამო. რაც შეეხება საერთაშორისო დონეს, ათასზე მეტი დაზარალებულის სახელით, ასობით საჩივარია შეტანილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში („ევროპული სასამართლო“).^{*1}

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ცოდნა დავაგროვეთ ევროპულ სასამართლოში შეტანილ საქმეებზე მუშაობით, ამ დრომდე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის გამოცდილება არ გვქონია. ეს იყო უცნობი, თუმცა პოტენციურად სანდო ინსტიტუტი, რომელსაც შეეძლო დახმარებოდა დაზარალებულებს სამართლის ძიებაში. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება საკმაოდ პერსპექტიულად ჩანდა.

2015 წლის ოქტომბერში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, ფატუ ბენსუდამ საკუთარი ინიციატივით მიმართა მოსა-

^{*1} კონფლიქტიდან ათი წლის გასვლის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში შეტანილი საჩივრების განხილვა კვლავ მიმდინარეობს, რადგან მათი განხილვა განახლებდა საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილ სახელმწიფოთაშორის საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მართლებს, ნება მიეცათ, დაეწყო გამოძიება*² 2008 წლის 1 ივლისსა და 10 ოქტომბერს შორის პერიოდში კონფლიქტის კონტექსტში სავარაუდოდ ჩადენილ კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულებზე. იმავე დღეს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მოგვმართა თხოვნით, თბილისში მოგვეწყო შეხვედრა სასამართლოს თანამშრომლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის - ეს იყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პირველი მისია საქართველოში, თავად სასამართლოს პროკურორის ჩართულობით.

ასე დაიწყო ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან. პროკურორის მიერ წინასასამართლო პალატისთვის მიმართვის შემდგომ, ჩვენ დავეხმარეთ დაზარალებულებს, წარედგინათ წარმომადგენლობის ფორმები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატის წინაშე, რათა გამოეხატათ საკუთარი აზრი გამოძიების დაწყების შესახებ. 2015 წლის ბოლოსთვის სასამართლომ მიიღო 6 000-ზე მეტი დაზარალებულის წარმომადგენლობის ფორმა სამივე მხრიდან: საქართველოდან, რუსეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან. ეს ფორმები პროკურორის შუამდგომლობასა და სხვა მასალებთან ერთად, დაეხმარა მოსამართლეებს მიეღოთ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე.

2016 წლის 27 იანვარს წინა-სასამართლო პალატამ ნება დართო პროკურორს, დაეწყო გამოძიება და ამავდროულად გააფართოვა გამოძიების ფარგლები, რათა მოეცვა სავარაუდოდ ჩადენილი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი სხვა დანაშაულებიც: სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო პირების თავისუფლების თვითნებურად აღკვეთა და სამხედრო ტყვეების წამება.

ჩვენთვის ეს მართლაც ამაღელვებელი მომენტი იყო. თითქმის რვანლიანი ლოდინის შემდეგ, დაზარალებულებს გაუჩნდათ იმედი, რომ სამართალი აღსრულდებოდა. ეს ფაქტი, ალბათ, სასამართლოსთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინაიდან, სასამართლოს პირველად მოუწევდა სიტუაციის გამოძიება აფრიკის გარეთ. სასამართლო აგრეთვე პირველად განიხილა ვადა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, რუსეთის ჩართულობით, რომელიც გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოა და არ არის რომის სტატუსის სისტემის ნაწილი.

გამოძიების დაწყებიდან სამ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სის-

² სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს შეუძლია, დაიწყო წინასწარი გამოკვლევა *proprio motu* (ლათინურად „საკუთარი ინიციატივით“) მძიმე დანაშაულებზე, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილი იქნა ა) ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მოქალაქის მიერ; ან ბ) იმ არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მოქალაქის მიერ, რომელმაც თანხმობა განაცხადა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა უნდა მიიღოს დასტური მოსამართლეებისგან ოფიციალური გამოძიების დაწყებაზე, მის მიერ წინასწარი მოკვლევის დასრულების შემდეგ.

ხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საკმარისი ინფორმაცია არ მოუწოდებია გამოძიების პროგრესის შესახებ. პროკურორის საქმიანობის კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, გაურკვეველია, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება. არ არის გაცემული დაკავების ორდერები, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ცნობილი არ არის. გამოძიება მნიშვნელოვნად ჭიანურდება თითქმის ყველა იმ სიტუაციასთან შედარებით, რომელიც სასამართლოს ამ დრომდე განუხილავს.

გასულ წელს, საერთაშორისო საზოგადოებამ რომის სტატუსის 20 წლის იუბილე აღნიშნა და მნიშვნელოვან მიღწევად დაასახელა მსოფლიოს ყველაზე სერიოზულ დანაშაულებთან წინააღმდეგ მუდმივმოქმედი ინსტიტუტის დაარსება. ამავდროულად, გასულ წელს 2008 წლის კონფლიქტიდან 10 წელი გავიდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, არაერთი დაზარალებული გარდაიცვალა, ათასობით დევნილი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა მუდმივ შიშშია რეგულარული გატაცებებისა და საქართველოს ტერიტორიების განგრძობითი ოკუპაციის გამო. გარდაცვლილთა ოჯახები და გადარჩენილი დაზარალებულები კარგავენ იმედს, რომ ოდესმე სამართალი აღსრულდება.

კონფლიქტიდან ათ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, გაერთიანებული ძალებისხმევით მოვამზადეთ ანგარიში, რომელიც დაზარალებულ თემს ეძღვნება. ანგარიში ეფუძნება 2016 წელს გამოძიების დაწყებიდან მოყოლებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობაზე ჩვენი დაკვირვების ანალიზს, აგრეთვე 2018 წელს ჩვენ მიერ ჩატარებულ სიღრმისეულ სოციოლოგიურ კვლევას. კვლევამ საქართველოს მასშტაბით დაზარალებულთა დასახლებების უმეტესობა და 2,400 ოჯახზე მეტი მოიცვა.

ანგარიში დაყოფილია ოთხ თავად. პირველი სამი თავი შეიცავს ინფორმაციას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, საქართველოს სიტუაციაზე დაწყებულ გამოძიებასა და დაზარალებული თემის ამჟამინდელ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მეოთხე თავში სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოებისა და უწყებებისთვის მომზადებული რეკომენდაციებია წარმოდგენილი.

წინამდებარე ანგარიშით მიზნად ვისახავთ, ინფორმაცია მივანოდოთ საზოგადოებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს სიტუაციაზე დაწყებულ გამოძიებასა და დაზარალებულთა მდგომარეობაზე კონფლიქტიდან ათი წლის გასვლის შემდეგ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ძალისხმევა ხელს შეუწყობს საერთაშორისო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას და საჭირო ყურადღების გააქტიურებას საქართველოს სიტუაციის მიმართ, რათა ღირებული გახადოს მიმდინარე გამოძიება დაზარალებული თემისა და საზოგადოებისთვის.



თავი **1**

სისხლის
სამართლის
საერთაშორისო
სასამართლო

1.1 შესაჰალი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (სასამართლო) არის დამოუკიდებელი, საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც მდებარეობს ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში. იგი არის მსოფლიოში ერთადერთი მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ასამართლებს ფიზიკურ პირებს გენოციდისთვის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, ომის დანაშაულებისა და აგრესიის დანაშაულისთვის.

სასამართლო დაფუძნდა რომის სტატუტით. ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც 120 სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს მიერ იქნა მიღებული 1998 წელს. სასამართლომ 2002 წელს დაიწყო ფუნქციონირება, როცა რომის სტატუტი 60 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული.

გარდა იმისა, რომ რომის სტატუტი აფუძნებს სასამართლოს და განსაზღვრავს გენოციდს, ომის დანაშაულებს, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და აგრესიის დანაშაულს, იგი ასევე ადგენს ახალ სტანდარტს დაბარალებულთა სასამართლო სხდომის დარბაზში წარმომადგენლობისთვის, უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო განხილვასა და დაცვის უფლებებს.

სასამართლო მიზნად ისახავს გლობალურ თანამშრომლობას რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულებისგან კაცობრიობის დასაცავად. როგორც სამართლებრივი დაცვის უკანასკნელი საშუალება, სასამართლოს მიზანია, შეავსოს და არა ჩაანაცვლოს ეროვნული უწყებები. რომის სტატუტით გათვალისწინებული კომპლიმენტარობის პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეროვნული მართლმსაჯულების სისტემას არ შეუძლია, ან არ აქვს სურვილი, შეასრულოს თავისი ვალდებულება – სასტიკ ქმედებათა ჩამდენი პირები ეროვნულ დონეზე მისცეს პასუხისგებაში. რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გაასაჩივრონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში საქმეთა „დასაშვებობა“, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შეუძლიათ.

2019 წლის მაისის მდგომარეობით, რომის სტატუტს 122 წევრი მხარე ჰყავს, რომლებსაც სრულად აქვთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია აღიარებული. საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირა 2003 წელს მოახდინა, რის შემდეგაც იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო გახდა. ამის მიუხედავად, სისტემის გარეთ კვლავ რჩება 70-ზე მეტი ქვეყანა, სადაც მძიმე დანაშაულების ჩადენის დროს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს. განსაკუთრებით ნაკლებად არის წარმოდგენილი აზია, ახლო

აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოები, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ასევე, სისტემის გარეთ რჩებიან.

1.2 იურისდიქცია

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისი (პროკურორის ოფისი) შეუძლია, გამოიძიოს და სისხლისსამართლებრივი დევნა აწარმოოს მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია 2002 წლის 1 ივლისის შემდგომ - რომის სტატუტის ძალაში შესვლის დღიდან. პროკურორის ოფისი იძიებს და სისხლისსამართლებრივ დევნას აწარმოებს, ხოლო სასამართლო პალატები, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, ასამართლებენ ფიზიკურ პირებს მათთვის ბრალად წარდგენილი უმძიმესი დანაშაულებისთვის, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების საგანია. ეს დანაშაულებია: გენოციდი, ომის დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და აგრესიის დანაშაული.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ასამართლებს ფიზიკურ პირებს და არა სახელმწიფოებს, ორგანიზაციებსა თუ ხელისუფლებებს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო სისხლისსამართლებრივ დევნას არ აწარმოებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის დროისთვის 18 წელი არ შესრულებიათ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ ასამართლებს ყველას, ვისაც ზემოთ ხსენებული დანაშაულები აქვს ჩადენილი. სასამართლოს პროკურორის პოლიტიკაა, ყურადღება გაამახვილოს იმ პირებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აგებენ პასუხს დანაშაულების ჩადენაზე; ამავდროულად, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებად რჩება დაბალი რანგის პირების გასამართლება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე არავის აქვს იმუნიტეტი თავისი სტატუსის გამო. შესაბამისად, პრეზიდენტები, პარლამენტის წევრები, მთავრობის წარმომადგენლები და შეიარაღებული დაჯგუფებებისა და აჯანყებულთა მოძრაობის ხელმძღვანელები შეიძლება, გასამართლდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ. გარკვეულ შემთხვევებში პასუხისმგებელი პირი შეიძლება, დაისაჯოს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მისმა ქვემდებარე ან მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფმა პირებმა ჩაიდინეს. ანალოგიურად, პირები, რომლებმაც მათი ხელმძღვანელების ბრძანების შესრულებისას ჩაიდინეს რომის სტატუტით განსაზღვრული დანაშაულები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე იმუნიტეტით არ სარგებლობენ.

გენოციდი, რომის სტატუტის მე-6 მუხლში მოცემული განსაზღვრების თანახმად, ხასიათდება ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების პირდაპირი განზრახვით, რომელიც ხორციელდება ამ ჯგუფის წევრთა მკვლელობით ან სხვა საშუალებებით; ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით ან სხვა საშუალებით ფსიქიკური ზიანის გამონეგვითგანზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნით, რაც მიზნად ისახავს ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; შობადობისათვის ხელის შემშლელი ღონისძიებების გატარებით ან ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებითი გადაცემით.

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში. რომის სტატუტით განსაზღვრული კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების 15 ფორმა გულისხმობს, მათ შორის ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება, თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი გაუჩინარება, მონობა, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების, სექსუალური მონობა, წამება, აპარტიდი და დეპორტაცია.

ომის დანაშაულები არის ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევები, რომლებიც ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში და მოიცავს, მაგალითად, ბავშვი ჯარისკაცების გამოყენებას, სამოქალაქო პირების ან სამხედრო ტყვეების მოკვლას ან წამებას, განზრახ შეტევას საავადმყოფოებზე, ისტორიულ ძეგლებზე ან რელიგიური, საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სამეცნიერო ან ქველმოქმედების მიზნებისთვის გამოყენებულ შენობებზე.

აგრესიის დანაშაული არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მთლიანობისა თუ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. იგი, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს ძალის გამოყენებით შეჭრას, სამხედრო ოკუპაციას და ანექსიას, პორტისა თუ სანაპირო ზოლის ბლოკადით, თუ ეს ქმედება თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით ჩაითვლება გაეროს ქარტიის აშკარა დარღვევად.

აგრესიის დანაშაული 2010 წელს, კამპალაში (უგანდა) გამართულ რომის სტატუტის პირველი გადასინჯვის კონფერენციაზე განისაზღვრა. 2017 წლის ბოლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეამ კონსენსუსით მიიღო რეზოლუცია 2018 წლის 17 ივლისიდან აგრესიის დანაშაულზე სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების თაობაზე.

1.3 სტრუქტურა

რომის სტატუტის საფუძველზე შეიქმნა სამი სხვადასხვა ორგანო: წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და დაზარალებულთა ნდობის ფონდი.

წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა (ასამბლეა) არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მენეჯმენტის საზედამხედველო და საკანონმდებლო ორგანო. იგი შედგება რომის სტატუტის წევრი ყველა სახელმწიფოსგან. წევრი სახელმწიფოები იკრიბებიან, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ასამბლეის სხდომებზე, რათა შედამხედველობა გაუწიონ სასამართლოს მენეჯმენტს, მაგალითად, ბიუჯეტის შემუშავებით, დაფინანსების უზრუნველყოფით, აგრეთვე სასამართლოს მოსამართლეებისა და პროკურორის არჩევით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შედგება ოთხი სხვადასხვა ორგანოსგან. ესენია: პრეზიდიუმი, სასამართლო პალატები, პროკურორის ოფისი და კანცელარია.

პრეზიდიუმი შედგება სასამართლოს პრეზიდენტისგან და პირველი და მეორე ვიცე-პრეზიდენტებისგან. ყველა მათგანი აირჩევა სასამართლოს მოსამართლეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, განახლებადი სამი წლის ვადით.

პრეზიდიუმი წევრ სახელმწიფოებთან აწარმოებს საგარეო ურთიერთობებს, კოორდინაციას უწევს სასამართლო საკითხებს, მაგალითად, მოსამართლეთა, სიტუაციებისა და საქმეების პალატებზე გამწესებას, ხელს უწყობს სასამართლოს შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. პროკურორის ოფისის გამოკვლებით, პრეზიდიუმი პასუხისმგებელია სასამართლოს საქმიანობის სათანადო განხორციელებაზე და შედამხედველობს კანცელარიის ადმინისტრაციულ საქმიანობას. პრეზიდიუმი კოორდინაციას უწევს და ცდილობს, მიაღწიოს პროკურორთან პოზიციის თანხვედრას ორმხრივ ინტერესში შემავალ საკითხებზე.

სასამართლოს აქვს სამი **პალატა**, რომელიც იხილავს საკითხებს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპებზე. ეს ეტაპებია: წინასასამართლო განხილვა, სასამართლო განხილვა და გასაჩივრება. სასამართლოს 18 მოსამართლეს ირჩევს ასამბლეა მათი კვალიფიკაციის, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების მიხედვით, 9 წლის ვადით, რომელიც განახლებას არ ექვემდებარება. ისინი უზრუნველყოფენ სამართლიან სასამართლოს და გამოაქვთ გადაწყვეტილებები, აგრეთვე გამოსცემენ დაკავების ორდერს და იბარებენ სასამართლოს წინაშე პირებს, ნებას რთავენ დაზარალებულებს, მიიღონ მონაწილეობა პროცესში, გასცემენ ბრძანებებს მონეტა დაცვის შესახებ ღონისძიებებზე და ა.შ.

პროკურორის ოფისი არის სასამართლოს დამოუკიდებელი ორგანო. მისი ფუნქ-

ციაა, მიიღოს წარდგინებები და ნებისმიერი დასაბუთებული ინფორმაცია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე, გამოიკვლიოს ისინი, აწარმოოს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოს წინაშე.

ოფისს ხელმძღვანელობს პროკურორი, რომელსაც სრული უფლებამოსილება აქვს ოფისის მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე, პერსონალის, ინვენტარის და სხვა რესურსების ჩათვლით. პროკურორს ეხმარება პროკურორის მოადგილე. სასამართლოს მოსამართლეების მსგავსად, პროკურორს და მის მოადგილეს ირჩევს ასამბლეა 9 წლის ვადით, რომელიც განახლებას არ ექვემდებარება.

კანცელარია არის სასამართლოს ნეიტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოს ადმინისტრირების და მომსახურების არასამართლებრივ ასპექტებზე. კანცელარიის სამუშაო მოიცავს მომსახურების სამ ასპექტს:

- ა) სასამართლოს მხარდაჭერა, მათ შორის, სასამართლოს ზოგადი მენეჯმენტის, წარმომადგენლის, იურიდიული დახმარების, სამართალწარმოებაში დაზარალებულების მონაწილეობის და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მხარდაჭერა, ასევე, მონაწილეთა მხარდაჭერის მიღება და მათთვის დაცვის უზრუნველყოფა;
- ბ) საგარეო საკითხები, საგარეო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის, ადგილობრივი ოფისების მხარდაჭერის ჩათვლით;
- გ) მენეჯმენტი, მათ შორის, უსაფრთხოება, ბიუჯეტი, ფინანსები, ადამიანური რესურსები და ზოგადი მომსახურება.

კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცლერი, რომელიც სასამართლოს მთავარი ადმინისტრაციული მოხელეა. კანცლერი აირჩევა მოსამართლეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, ხუთი წლის ვადით, რომელიც განახლებას ექვემდებარება.

დაზარალებულთა ნდობის ფონდი სასამართლოსგან განცალკევებული სტრუქტურაა, რომელიც წევრ სახელმწიფოთა ასამბლეამ 2004 წელს დააფუძნა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების შედეგად დაზარალებულების და მათი ოჯახების მხარდასაჭერად. ფონდს მხარდაჭერის განხორციელება შეუძლია ორმხრივი მანდატის მეშვეობით: ა) სასამართლოს მიერ დაკისრებული რეპარაციების აღსრულებით, ე.წ. რეპარაციების მანდატით და ბ) ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მატერიალური მხარდაჭერით დაზარალებულებისა და მათი ოჯახებისთვის, ანუ დახმარების მანდატით.

მიზნობრივი ფონდის დახმარების მანდატი არ არის დაკავშირებული სასამართლოს წინაშე მიმდინარე კონკრეტულ სამართალწარმოებასთან და შეიძლება, განხორციელდეს გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობის შემთხვევაშიც. დახმარების მანდატი მოიცავს შემდეგ პროგრამებს: ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მატერიალური მხარდაჭერა, როგორცაა შემოსავლის მისაღებად ხელმისაწვდომობის შეთავაზება და

საგანმანათლებლო შესაძლებლობები უფრო ხანგრძლივადიანი ეკონომიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ნდობის ფონდის მანდატის განსახორციელებლად, პროექტები ფინანსდება მსჯავრდებულ პირებზე ჯარიმის დაკისრებითა და მათი ქონების კონფისკაციით, აგრეთვე ნებაყოფლობითი შენატანებით წევრი სახელმწიფოებისა და ცალკეული დონორების მხრიდან. მომსახურების და პროგრამების განსახორციელებლად, ნდობის ფონდი თანამშრომლობს ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან.

1.4 სამართალწარმოება

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოების მიზანია სავარაუდო მძიმე დანაშაულების გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, რომის სტატუტის შესაბამისად მისი დასჯა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოება შედგება 6 მთავარი ეტაპისგან: წინასწარი მოკვლევა, გამოძიება, წინა-სასამართლო განხილვა, სასამართლო განხილვა, გასაჩივრება და რეპარაცია.

სამართალწარმოების ეტაპები:

	ინფორმაცია სიტუაციაზე სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების შესახებ გადაეცემა სასამართლოს პროკურორს წევრი სახელმწიფოს ან გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ	ინფორმაცია სიტუაციაზე სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებზე ეგზავნება სასამართლოს პროკურორს, რომელმაც შეიძლება, დაიწყოს მოკვლევა საკუთარი ინიციატივით (proprio motu)
წინასწარი მოკვლევის ეტაპი	სასამართლოს პროკურორი იკვლევს მიღებულ ინფორმაციას	სასამართლოს პროკურორი იკვლევს მიღებულ ინფორმაციას
	თუ სასამართლოს პროკურორი მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი სამართალწარმოების გასაგრძელებლად, იწყება გამოძიება	თუ სასამართლოს პროკურორი მიიჩნევს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი სამართალწარმოების გასაგრძელებლად, მიმართავს წინასასამართლო პალატას ნებართვის მოსაპოვებლად

გამოძიების ეტაპი	სასამართლოს პროკურორი ინყებს გამოძიებას	წინასასამართლო პალატისგან ნებართვის მოპოვების შემთხვევაში სასამართლოს პროკურორი ინყებს გამოძიებას
	პროკურორის ოფისი აგროვებს და იხილავს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს და დაკითხავს სხვადასხვა პირებს, მათ შორის მათ, ვინც გამოძიებას ექვემდებარება, ასევე დაზარალებულებს და მონშემებს	
	პროკურორის ოფისი გამოყოფს ყველაზე მძიმე ინციდენტებს და იმ პირებს, რომელნიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებლები ამ დანაშაულებისთვის	
	როდესაც პროკურორის ოფისი მიიჩნევს, რომ აქვს საკმარისი მტკიცებულება, დაამტკიცოს მოსამართლეების წინაშე სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა, ოფისი მიმართავს მოსამართლეებს დაკავების ორდერის ან სასამართლოს წინაშე გამოცხადების შესახებ უწყების გაცემაზე	
წინასასამართლო ეტაპი (წინასასამართლო პალატა)	წინასასამართლო პალატა გასცემს დაკავების ორდერს/გამოცხადების შესახებ უწყებას	
	სასამართლოს ძებნაში მყოფი პირი დაკავებულია/ცხადდება ნებაყოფლობით	
	დაკავებული/ნებაყოფლობით გამოცხადებული პირის პირველი წარდგენა სასამართლოს წინაშე	
	სხდომა წარდგენილი ბრალის დადასტურებაზე	
სასამართლო განხილვის ეტაპი (სასამართლო განხილვის პალატა)	სასამართლო განხილვის დაწყება	
	გადაწყვეტილება: გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის დანიშვნა	
	რეპარაცია, თუ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა	
გასაჩივრების ეტაპი (სააპელაციო პალატა)	საჩივრდება: გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი	
	გასაჩივრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება	
	გადასინჯვა	
რეპარაციის ეტაპი	დაზარალებულებს, რომლებმაც მიმართეს რეპარაციისთვის, შეუძლიათ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეების წინაშე მოითხოვონ მსჯავრდებული პირისგან რესტიტუცია, კომპენსაცია და რეაბილიტაცია	

1.4.1 წინასწარი მოკვლევა

როდესაც სახეზეა რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების სავარაუდო ჩადენის ფაქტი, არსებობს სასამართლოს იურისდიქციის^{*3} ამოქმედების სამი გზა:

- რომის სტატუტის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს აქვს უფლება, მოსთხოვოს პროკურორს გამოძიების ჩატარება. ასე მოხდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, უგანდის და მალის შემთხვევებში, ასევე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ორ შემთხვევაში;
- გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (უშიშროების საბჭო) ასევე შეუძლია, სიტუაცია გადასცეს პროკურორს. დღეის მდგომარეობით, ეს შესაძლებლობა გამოყენებული იქნა დარფურისა და ლიბიის სიტუაციებში. უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის გადაცემისას, სასამართლოს იურისდიქცია შეიძლება, გავრცელდეს იმ ქვეყნებზეც, რომლებიც არ არიან რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოები;
- და ბოლოს, პროკურორს შეუძლია, დაიწყოს გამოძიება საკუთარი ინიციატივით სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსამართლეებისგან ნებართვის მიღების შემდეგ. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა კენიის, კოტ დ'ივუარის, საქართველოსა და ბურუნდის შემთხვევებში. პროკურორმა შეიძლება, მიიღოს ინფორმაცია შესაძლო დანაშაულებზე მრავალი წყაროსგან, მაგალითად ფიზიკური პირებისგან, ან მათი ჯგუფებისგან, სახელმწიფოთაშორისი, ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, ან სხვა სანდო წყაროებისგან. დაზარალებულებს ასევე, შეუძლიათ პროკურორის ინფორმირება იმ დანაშაულების შესახებ, რომლებიც მათი აზრით, ჩადენილი იქნა. პროკურორს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება რომის სტატუტის არა-წევრ ქვეყნებთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებიც არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომის სტატუტით აკრძალული დანაშაულების ჩადენაში იყვნენ სავარაუდოდ ჩართულნი.^{*4}

დღეის მდგომარეობით, პროკურორის ოფისს 12 000-ზე მეტი ასეთი კომუნიკაცია აქვს მიღებული. სახელმწიფოებისგან, უშიშროების საბჭოსგან თუ სხვა წყაროებისგან კომუნიკაციის მიღებას ავტომატურად არ მოსდევს გამოძიების დაწყება, მაგრამ ეს არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც პროკურორის ოფისი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას მიღებული ინფორმაციის სიმძიმის და

^{*3} რომის სტატუტის მე-13 მუხლი.
^{*4} გამონაკლის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, ad hoc საფუძველზე, სასამართლოს იურისდიქციაზე განაცხადოს თანხმობა, რომის სტატუტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განცხადების წარდგენის გზით.

სერიოზულობის გასაანალიზებლად და იმის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა გონივრული საფუძველი გამოძიების დასაწყებად. ამ პროცესში პროკურორის ოფისის მოეთხოვება, შეაფასოს და გადაამოწმოს რიგი სამართლებრივი კრიტერიუმები. მათ შორის:

- 1) **დროებითი იურისდიქცია** – ჩადენილია თუ არა დანაშაულები რომის სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ (2002 წლის 1 ივლისი);
- 2) **ტერიტორიული ანდა პერსონალური იურისდიქცია** – ჩადენილია თუ არა დანაშაულები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სიტუაცია გადაცემულია უშიშროების საბჭოს მიერ);
- 3) **დავის საგნის იურისდიქცია** – ადგილი აქვს თუ არა ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების, აგრესიის დანაშაულის თუ გენოციდის დანაშაულის ჩადენას;
- 4) **დასაშვებობა** – ამ დანაშაულთა სიმძიმე;
- 5) **სამართლიანობის ინტერესები** – გამოძიების დაწყება შედის თუ არა სამართლიანობისა და დაზარალებულების ინტერესებში და
- 6) **კომპლიმენტარობა** – წარმოებს თუ არა ეფექტიანი გამოძიება და სისხლის-სამართლებრივი დევნა იგივე დანაშაულებისთვის ეროვნულ დონეზე. ეროვნულ ხელისუფლებას აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, გამოძიოს და აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა მათ წინააღმდეგ, ვინც ყველაზე მეტად არის პასუხისმგებელი მასობრივი დანაშაულების ჩადენაზე. ამრიგად, პროკურორის ოფისი აფასებს, შეასრულა თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ ეს ვალდებულება.

სტატუტში ან/და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული, თუ რა ვადაში უნდა დასრულდეს წინასწარი მოკვლევა. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების და რიგი სამართლებრივი კრიტერიუმების შეფასების შემდეგ, პროკურორს შეუძლია, მიიღოს ერთი რომელიმე გადაწყვეტილება: ა) უარი თქვას გამოძიების დაწყებაზე; ბ) გააგრძელოს დანაშაულებსა და შესაბამის ეროვნულ სამართალწარმოებაზე ინფორმაციის შეგროვება გადაწყვეტილების მისაღებად; ან გ) დაიწყოს გამოძიება, საჭიროებისამებრ, სასამართლოს ნებართვით.

თუ პროკურორის ოფისი უარს იტყვის გამოძიების დაწყებაზე, ეს ხელს არ უშლის ოფისს, განიხილოს დამატებითი ინფორმაცია იგივე სიტუაციასთან დაკავშირებით, ახალი ფაქტების თუ მტკიცებულების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როცა პროკურორის ოფისი უარს ამბობს წევრი სახელმწიფოს ან გაერთიანებულ

ლი ერების უშიშროების საბჭოს მიერ გადაცემულ სიტუაციასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებაზე, აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება წინასასამართლო პალატის მიერ გადასინჯვას.

1.4.2 გამოძიება

გამოძიების წარმოებისას, პროკურორის ოფისის წარმომადგენლები, როგორც წესი, გამოძიებლები, თანამშრომლობის შესახებ მრჩევლები და საჭიროების შემთხვევაში, პროკურორები, წევრი სახელმწიფოების, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების დახმარებითა და მათი თანამშრომლობით აგროვებენ და აფასებენ სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს და გამოკითხავენ შესაბამის დაზარალებულებსა და მოწმეებს.

გამოძიების მიმდინარეობა კონფიდენციალურია, რაც ნიშნავს, რომ დაზარალებულებს და საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია გამოძიების პროგრესის და განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. სამართალწარმოების ფარგლებში, პროკურორის ოფისი ვალდებულია, შეკრიბოს და შემდგომ დაცვის მხარეს გაუზიაროს როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები.

სტატუტში და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული, თუ რა ვადაში უნდა დასრულდეს გამოძიება. გამოძიება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისა და სავარაუდო დამნაშავეების დასადგენად. როდესაც პროკურორის ოფისი მიიჩნევს, რომ საკმარისი მტკიცებულება შეგროვდა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე პირის პასუხისმგებლობის დასამტკიცებლად, ოფისი მიმართავს მოსამართლეებს დაკავების ორდერის ან სასამართლოს წინაშე გამოცხადების უწყების გაცემაზე.

1.4.3 წინა-სასამართლო ეტაპი: დაკავების ორდერი და უწყება

პროკურორის მიმართვის შემდეგ, მოსამართლეები წყვეტენ, არსებობს თუ არა დასაბუთებული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირმა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაიდინა და დადასტურების შემთხვევაში, მოსამართლეები გასცემენ დაკავების ორდერს ან სასამართლოში გამოცხადების უწყებას კონკრეტული პირის მიმართ.

დაკავების ორდერი გაიცემა, რათა გარანტირებული იყოს პირის სასამართლოს წინაშე წარდგენა, ან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის ხელს არ შეუშლის ან საფრთხეს არ შეუქმნის გამოძიებასა თუ სასამართლოს სამართალწარმოებას, ასევე, რათა ხელი შეეშალოს მის მიერ მსგავსი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას; ხოლო პირის სასამართლოში გამოცხადების უწყება გაიცემა,

როცა არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირის დაბარება საკმარისია მისი სასამართლოს წინაშე გამოცხადებისთვის.

დაკავების ორდერს ვადა პირის სიცოცხლის ბოლომდე აქვს. დაკავების შემდგომ, პირებს სასამართლოს დაკავების ცენტრში ათავსებენ. ხოლო ეჭვმიტანილები, რომლებზეც გაცემულია სასამართლოს წინაშე გამოცხადების ბრძანება და სასამართლოში ნებაყოფლობით ცხადდებიან, არ ხდება მათი დაკავება და დაკავების ცენტრში მოთავსება.

როგორც სასამართლო ინსტიტუტს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თავისი პოლიცია ან სამართალდამცავი ორგანო არ ჰყავს. ამრიგად, ის დამოკიდებულია მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებთან თანამშრომლობაზე დაკავების განსახორციელებლად და დაკავებულ პირთა ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პატიმრობის ცენტრში გადასაცემად.

1.4.4 სასამართლო განხილვა

სასამართლო პროცედურები იწყება, როდესაც პირი, რომლის მიმართაც გაცემული იყო დაკავების ორდერი ან გამოცხადების შესახებ უწყება, მოთავსებულია სასამართლოს დაკავების ცენტრში ან სასამართლოში ნებაყოფლობით გამოცხადდება. პროცესები მიმდინარეობს ჰააგაში (ნიდერლანდები). პირის დაკავების ან სასამართლოს წინაშე მისი ნებაყოფლობით გამოცხადების შემდეგ, წინასასამართლო პალატა წყვეტს, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულება გონივრული ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა ბრალად წარდგენილი თითოეული დანაშაული. დაზარალებულებსაც შეუძლიათ, წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები და პრეტენზიები წინასასამართლო პალატას. ამ ეტაპზე, მოსამართლეები წყვეტენ, დაადასტურონ, უარყონ ან შეაჩერონ პროკურორის ოფისის მიერ დაცვის მხარის მიმართ წარდგენილი ბრალდება.

წინა-სასამართლო პალატის მიერ ბრალის დადასტურების შემთხვევაში, საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლო პალატას. სასამართლო განხილვის ეტაპზე, პროკურორის ოფისი პირველია, რომელიც საქმეს სამი მოსამართლისგან შემდგარ სასამართლო პალატას წარუდგენს. მას აკისრია მტკიცების ტვირთი, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტუროს ბრალდებულის დამნაშავეობა. ამ მიზნით, პროკურორის ოფისი წარადგენს მტკიცებულებებს დოკუმენტების, ნივთიერი მტკიცებულებების თუ მოწმეთა ჩვენებების სახით. მას შემდეგ, რაც პროკურორის ოფისი ყველა მტკიცებულებას წარადგენს, ბრალდებული, ადვოკატის მეშვეობით, იცავს თავს და წარადგენს მის მტკიცებულებებს.

დაზარალებულებს ასევე შეუძლიათ, თავიანთი იურიდიული წარმომადგენლების მეშვეობით, წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები და პრეტენზიები სასამართლო პალატას, როდესაც ეს უკანასკნელი ამას საჭიროდ მიიჩნევს. კერძოდ,

დაზარალებულმა, რომელსაც სურვილი აქვს სამართალწარმოებაში მიიღოს მონაწილეობა, წერილობით უნდა მიმართოს კანცლერს, რომელიც განცხადებას შესაბამის პალატას გადასცემს. განცხადებების მიღებისას, პალატა აკონკრეტებს სამართალწარმოების ეტაპს და იმ ფორმას, რომლითაც დაზარალებულის მონაწილეობა მიზანშეწონილია. მსგავსი მონაწილეობა შეიძლება, მოიცავდეს შესავალი და დასკვნითი სიტყვის გაკეთებას.*⁵

სასამართლო განხილვის დროს, დაზარალებულსაც აქვს უფლება, მისცეს ჩვენება ბრალდების, დაცვის ან დაზარალებულის იურიდიული წარმომადგენლის მიერ მოწმედ გამოცხადების შემთხვევაში.

მოსამართლეები აფასებენ მხარეთა მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებას და იღებენ გამამტყუნებელ ან გამამართლებელ გადაწყვეტილებას. მსჯავრდების შემთხვევაში, მოსამართლეებს შეუძლიათ, პირს მიუსაჯონ თავისუფლების აღკვეთა 30 წლამდე ვადით და გამონაკლის შემთხვევებში, უვადო თავისუფლების აღკვეთა. არასაკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, მიიღება გამამართლებელი გადაწყვეტილება და ბრალდებული თავისუფლდება.

1.4.5 გასაჩივრება

დაცვის მხარეს და პროკურორს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ პალატის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი გადაწყვეტილება. საჩივარზე გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო პალატის ხუთი მოსამართლის მიერ, რომლებიც არ უნდა იყვნენ ის მოსამართლეები, ვინც თავდაპირველი განაჩენი გამოიტანეს. სააპელაციო პალატა წყვეტს, დატოვოს, შეცვალოს თუ გააუქმოს გადაწყვეტილება. ამრიგად, ეს არის საბოლოო გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სააპელაციო პალატა ადგენს საქმის ხელახალ განხილვას სასამართლო პალატის მიერ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დამოკიდებულია მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებთან თანამშრომლობაზე მსჯავრდებულ პირებზე დაკისრებული სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად. თავისუფლების აღკვეთის სახით განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდა ხორციელდება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სახელმწიფოში იმ ქვეყნების სიიდან, რომლებმაც აცნობეს სასამართლოს თავისი მზაობის შესახებ, მიიღონ მსჯავრდებული პირები. სასჯელის აღსრულება ამჟამად ძალაშია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ათზე მეტ სახელმწიფოს შორის, მათ შორის: ავსტრია, არგენტინა, ბელგია, დანია, გაერთიანებული სამეფო, მალი, ნორვეგია, საქართველო, სერბეთი, ფინეთი და შვედეთი.

*⁵ სამართალწარმოებისა და მტკიცებულებების რეგლამენტის წესი 89 (1).

1.4.6 რეპარაცია

სასამართლო განხილვის დასასრულს, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ბრალდებულს დაუდასტურდება ბრალი, დაზარალებულებს შეუძლიათ, მოსამართლეების წინაშე მოითხოვონ რეპარაცია სტანდარტული განაცხადის ფორმების მეშვეობით. რეპარაციაზე განაცხადის ფორმების მიღებისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შეუძლიათ, დააკისრონ მსჯავრდებულს რეპარაცია, დაზარალებულებისთვის ჩადენილი დანაშაულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის.

რეპარაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შეუძლიათ, დააკონკრეტონ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეპარაცია. რეპარაციისთვის დაკისრებული ზომები შეიძლება, იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური (დაზარალებულთა ჯგუფებისთვის) და შეიძლება, მოიცავდეს ფულად კომპენსაციას, ქონების დაბრუნებას, რეაბილიტაციის ღონისძიებებს, მაგალითად, სამედიცინო მკურნალობას ან განათლებას და სიმბოლურ ღონისძიებებს, მაგალითად, საჯაროდ ბოდიშის მოხდას, ხსოვნისა და პატივის მიგებას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შეუძლიათ, დაზარალებულთა ნდობის ფონდს და მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოებს სთხოვონ დახმარება მსჯავრდებული პირის მიერ რეპარაციის ბრძანების აღსასრულებლად. თუ მსჯავრდებულ პირს არ აქვს არანაირი საშუალება რეპარაციის განსახორციელებლად (გადახდისუნაროა), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს შეუძლიათ, გასცენ ბრძანება, რათა რეპარაცია განხორციელდეს დაზარალებულთა ნდობის ფონდის მეშვეობით, ისე რომ დაზარალებულებმა გარკვეულწილად აღიდგინონ დარღვეული უფლებები.

დაზარალებულებს და მსჯავრდებულ პირს შეუძლიათ, გაასაჩივრონ რეპარაციის შესახებ ბრძანება. საჩივარზე გადაწყვეტილება მიიღება სააპელაციო პალატის ხუთი მოსამართლის მიერ, რომლებიც არ უნდა იყვნენ თავდაპირველი გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლეები. სააპელაციო პალატას შეუძლია, ძალაში დატოვოს, შეცვალოს ან გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.





თავი 2

საქართველოს
სიტუაციის
გამოძიება

2.1 შინაგარე

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატამ ნება დართო*⁶ პროკურორ ფატუ ბენსუდას, საქართველოს 2008 წლის კონფლიქტზე გამოძიება დაეწყო 2015 წლის ოქტომბერში პროკურორის ოფისის მიერ გამოძიების დაწყების ნებართვით მიმართვის საფუძველზე. პროკურორის ოფისის თითქმის რვა წელი დასჭირდა ამ დასკვნამდე მისულიყო*⁷. პროკურორის ოფისის მოკვლევისბოლო ეტაპის დროს შეფასდა, რამდენად აქტიურად მიმდინარეობდა ეროვნულ დონეზე გამოძიება საქართველოსა და რუსეთში. პროკურორის ოფისმა დაასკვნა, რომ წინააღმდეგობებმა და გაჭიანურებამ ხელი შეუშალა გამოძიებას ორივე ქვეყანაში და რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება აუცილებელი იყო, ვინაიდან საქართველოში შეჩერდა ეროვნული სამართალწარმოების პროცესი.*⁸

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იძიებს დანაშაულებს, რომლებიც სავარაუდოდ, ჩადენილი იქნა 2008 წლის კონფლიქტის დროს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, პრორუსული სეპარატისტების კონტროლს ექვემდებარება. ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საომარი შეტაკებების ხელახლა წამოწყებამ გამოიწვია რუსეთის ღია სამხედრო ჩარევა 2008 წლის აგვისტოში, რის შედეგადაც საქართველოს საჯარისო შენაერთებს ერთგვირიანი ბრძოლის შემდეგ უკან დახვევა მოუწიათ.

კონფლიქტის დროს ასობით ადამიანი მოკლეს და ორივე მხარე დადანაშაულდა არაპროპორციული ძალის გამოყენებაში, რომელმაც საფრთხე შე-

*⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატა უფლებას აძლევს პროკურორს, დაიწყო გამოძიება საქართველოში სიტუაციის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=pr1183&ln=en>.

*⁷ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა გამოაცხადა საქართველოში სიტუაციის წინასწარი მოკვლევის დაწყება 2008 წლის 14 აგვისტოს. არსებული ინფორმაციით, პროკურორმა დაასკვნა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულები ჩადენილი იქნა საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში. რომის სტატუტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პროკურორმა მიმართა წინა-სასამართლო პალატას საქართველოში სიტუაციის გამოძიების დაწყების ნებართვის შესახებ 2015 წლის 13 ოქტომბერს.

*⁸ პროკურორის ოფისი უამდგომლობს გამოძიების დაწყებაზე, მე-15 მუხლის შესაბამისად, ხელმისაწვდომია: https://www.icc-cpi.int/CourtRecords/CR2015_19375.PDF.

უქმნა სამოქალაქო მოსახლეობას.*⁹ უფლებადამცველთა ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები გამიზნულად გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან ტერორის კამპანიის შედეგად, რა დროსაც უამრავი ადამიანი მოკლეს, ხოლო დაახლოებით, 27 000 ადამიანი მას შემდეგ საკუთარ სახლში ვერ დაბრუნდა.*¹⁰ ქართველ სამხედროებს ბრალი დასდეს იმაში, რომ სავარაუდოდ, თავს დაესხნენ რუსულ შენაერთებს, რომლებიც რეგიონში განლაგებულები იყვნენ, როგორც სამშვიდობო ძალები, სეპარატისტებთან მანამდე დადებული სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე.

წინასასამართლო პალატის 2016 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, პროკურორის ოფისისთვის გამოძიების დაწყების ნებართვის გაცემის თაობაზე, ძალზე მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია, რომლითაც აღიარებული იქნა დაზარალებულების მიერ განცდილი ზიანი და 2008 წლის კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულებისთვის დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატის გადაწყვეტილებით, ეს დანაშაულები მოიცავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს – მკვლელობას, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას და დევნას და ომის დანაშაულებს, მათ შორის, სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას, განზრახ მკვლელობას, განზრახ შეტევას სამშვიდობოებზე, ქონების განადგურებას, ძარცვას, რომლებიც სავარაუდოდ, ჩადენილი იქნა 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე კონფლიქტის კონტექსტში ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს და მის მიმდებარედ.

ამას გარდა, პალატამ მხედველობაში მიიღო ქართველ დაზარალებულთა მოთხოვნა გამოძიების ფარგლების გაფართოების შესახებ*¹¹ და მიიღო გადაწყვეტილება, გამოძიება არ შემოფარგლულიყო ზემოაღნიშნული დანაშაულებით, არამედ პროკურორს ჰქონოდა შესაძლებლობა, გამოეძიებინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი სავარაუდოდ ჩადენილი ყველა დანაშაული, მათ შორის, სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო პირებისთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა და სამხედრო ტყვეების წამება.*¹²

*⁹ Human Rights Watch, ცეცხლის კვამლში: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სამოქალაქო დაზარალებულები, იანვარი, 2009 წელი, ხელმისაწვდომია: <http://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf>.

*¹⁰ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა, 2018 წლის 24 ოქტომბრის წერილი.

*¹¹ Ibid.

*¹² სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატა უფლებას აძლევს პროკურორს, დაიწყო გამოძიება საქართველოში სიტუაციის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=pr1183&ln=en>.

2.2 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები

კონფლიქტის დასრულებიდან მოყოლებული, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წევრები აქტიურად მუშაობდნენ კონფლიქტის დროს ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტირებაზე. ამ პირთა მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიში – აგვისტოს ნანგრევებში,^{*13} ათასზე მეტი დაზარალებულის ამბავს აღწერს და კონფლიქტის დროს ჩადენილი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების დოკუმენტირებას ახდენს. ანგარიში გაეგზავნა პროკურორის ოფისს 2009 წელს, რომის სტატუტის მე-15 მუხლის შესაბამისად გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ამას გარდა, ამ პირებმა შეადგინეს და ათასზე მეტი დაზარალებულის სახელით ასობით საჩივარი შეიტანეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

გამოძიების დაწყებაზე პროკურორის შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ,^{*14} 2015 წლის ოქტომბერში სამოქალაქო საზოგადოების წევრები დაეხმარნენ დაზარალებულებს,^{*15} წარედგინათ მათი წარმომადგენლობითი ფორმები წინასასამართლო პალატის წინაშე, რომლითაც დააფიქსირეს საკუთარი აზრი, იყო თუ არა მათ ინტერესში გამოძიების დაწყება და რა ტიპის დანაშაულები უნდა გამოეძიებინა სასამართლოს. ჯამში, 2015 წლის 4 დეკემბერს პალატამ მიიღო მსგავსი ფორმა 6 335 დაზარალებულისგან ან მათი სახელით გამოძიების ყველა მხარისგან.^{*16} დაზარალებულების უმრავლესობამ ფორმების მემკვიდრით დააფიქსირა, რომ პროკურორის ოფისის მოთხოვნა გამოძიების დაწყებაზე

^{*13} ანგარიშის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2010/05/AGVISTOS-NANGREVEBI.pdf>.

^{*14} სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი, ფაქტუ ბენსუდა მოსამართლეებისგან ითხოვს ნებართვას, დაიწყოს გამოძიება საქართველოში სიტუაციის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=pr1159&ln=en>.

^{*15} დაზარალებულები არიან პირები, რომლებსაც ზიანი მიადგა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი რაიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად. დაზარალებულები შეიძლება, იყვნენ ცალკეული პირები, მაგრამ აგრეთვე ორგანიზაციებიც ან დაწესებულებებიც, რომელთა რელიგიური, საგანმანათლებლო, სახელოვნებო ან სამეცნიერო, ან ქველმოქმედების მიზნებისთვის გამოყენებულმა საკუთრებამ ან ისტორიულმა ძეგლებმა, საავადმყოფოებმა და ჰუმანიტარული დანიშნულების სხვა ადგილებმა და ობიექტებმა პირდაპირი ზიანი განიცადა. დაზარალებული შეიძლება, იყოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ბავშვი, შვებულებული შესაძლებლობის მქონე პირი ან ასაკოვანი პირი. დაზარალებული აგრეთვე შეიძლება, იყოს პირი, რომელმაც ზიანი განიცადა სხვა პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედეგად, მაგალითად, გარდაცვლილის ოჯახის წევრი.


^{*16} მოსაზრებების უმეტესობა (5,782) წარდგენილი იყო ქართველი დაზარალებულების მიერ; 386 ფორმა წარადგინეს ოსმა დაზარალებულებმა, 166 ფორმა წარდგენილი იყო შერეული დაზარალებულების მიერ (ქართველები/ოსები) და მხოლოდ ერთი ფორმა იყო გაგზავნილი რუსი დაზარალებულის სახელით.

მათ ინტერესებში შედიოდა. დაზარალებულთა ფორმების ძირითად ნაწილში დამატებით მითითებულია ერთი ან მეტი დანაშაული, რომელიც სავარაუდოდ ეთნიკური ქართველების ან/და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ იყო ჩადენილი.^{*17}

იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების რიცხვი გაცილებით მეტია, წინამდებარე კვლევის მიზანს ასევე, წარმოადგენდა დევნილთა მიმართ ომის დროს ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტირება.^{*18}

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ გამოკითხული დაზარალებულების მიმართ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველაზე ხშირად ჩადენილ დანაშაულებს იძულებითი გადაადგილება (2 088 გამოკითხული, სრული რაოდენობის 87%), ქონების განადგურება (1776 გამოკითხული, სრული რაოდენობის 74%) და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა (საჰაერო, საარტილერიო დაბომბვა, სხეულის დაზიანება და სხვა) (1752 გამოკითხული, სრული რაოდენობის 73%) წარმოადგენდა.

დანაშაულთა სახეები



^{*17} დაზარალებულთა მოსაზრებებზე ანგარიში, მიღებულია რომის სტატუტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2015 წლის 4 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <http://www.legal-tools.org/doc/eb0a8b/pdf/>.

^{*18} დანაშაულების დოკუმენტირება განხორციელდა იგივე მეთოდოლოგიით, რაც გამოყენებულ იქნა დევნილთა არსებული სოციო-ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის (დევნილთა გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს გზით სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ თავი 3).


დაბარალებულები გამოიკითხნენ ასევე, ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში, მაგალითად, სამშვიდობო ძალებზე თავდასხმა და სექსუალური ძალადობა. შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობა გამოიყენება, როგორც ომის იარაღი და სამხედრო ტაქტიკა. ამგვარი ქმედება მიმართულია მოსახლეობის შეურაცხყოფისა და მორალური განადგურებისაკენ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში არ საუბრობს მის მიმართ ჩადენილ ძალადობაზე. აღნიშნულის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგალითად: დაბარალებულის მიერ დანაშაულის განცდა, სირცხვილი, უხერხულობა, დამცირება, შიში, რომ არავინ დაიჭერებს მის ისტორიას, სურვილი, შემთხვევა დარჩეს საიდუმლოდ, მოძალადის მიმართ შიში, არსებული მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობა და სხვა. სექსუალური ძალადობა გავლენას ახდენს მსხვერპლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ზრდის სქესობრივი სფეროს აშლილობების და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემების რისკს. სექსუალური ძალადობის ნეგატიური შედეგი შესაძლოა, გამოვლინდეს როგორც დაუყოვნებლივ - ძალადობის დამთავრებისთანავე, ასევე, მრავალი წლის შემდეგ. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ დევნილთა შორის კოალიციის წარმომადგენლებს არ გამოუვლენიათ დაბარალებულთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რაც შეიძლება, გამოწვეული იყოს ამ დანაშაულის მსხვერპლთა სურვილით, გარკვეული მიზეზების გამო ხმამაღლა არ ისაუბრონ ამ შემთხვევაზე ან/და იმ გარემოებით, რომ გამოკითხულ პირებს მსგავსი დანაშაული არ შემთხვევია.

2417 გამოკითხული დევნილიდან 96 (4%) აცხადებდა, რომ მოუკლეს ოჯახის წევრი. მათგან 42 (დაახლოებით 44%) მკვლელობის თვითმხილველია. გამოკითხულ დევნილთა საერთო რაოდენობიდან ქონების განადგურებას ადგილი ჰქონდა დაახლოებით 1 788 შემთხვევაში (74%), აქედან აღნიშნულ დანაშაულს თავად შეესწრო დაახლოებით 661 ადამიანი (37%).

გამოვლენილ დანაშაულებზე პასუხისმგებელ პირებად დაბარალებულები როგორც შეიარაღებულ სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირებს მიიჩნევენ. დაბარალებულებს, ხშირ შემთხვევაში, აქვთ ინფორმაცია თავდამსხმელთა დამახასიათებელ ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა მათი ეროვნება და სასაუბრო ენა, რიგ შემთხვევაში კი, თავდამსხმელთა სახელები, მანქანის სახელმწიფო ნომერი, მანქანის/თვითმფრინავის ზომა/მარკა, ფერი და სხვა.^{*19}

გამოკითხვის შედეგებით, ომით დაბარალებულებში, ფიზიკურ ზიანზე ხშირად ეკონომიკური/მატერიალური და ფსიქოლოგიური/მორალური ზიანი ჭარბობს:

დანაშაულების შედეგად მიყენებული ზიანი




დაბარალებულები მიიჩნევენ, რომ მათთვის განსაკუთრებით მძიმე იყო ომის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზიანი, რადგანაც დაკარგეს საცხოვრებელი სახლები და სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონება. ძირითადად, დევნილებმა საცხოვრებელი სახლები ისე დატოვეს, რომ ელემენტარული ნივთების წამოღებაც ვერ შეძლეს. გარდა ამისა, დაკარგეს შემოსავლის ძირითადი წყარო - სასოფლო-სამეურნეო მიწა და მისი დამუშავებით მიღებული სარგებელი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავება და ამ გზით მიღებული პროდუქტის რეალიზაცია წარმოადგენდა მთავარ საარსებო წყაროს. იძულებით გადაადგილების შემდეგ მიღებული სასოფლო-სამეურნეო მიწა კი გაცილებით მცირე ზომის და ხშირად არამოსავლიანია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, დევნილებისთვის სახელმწიფოს საერთოდ არ გადაუცია მიწის ნაკვეთები.

გამოკითხულთა 94%-გან მიღებული ინფორმაციით, მათ არ დაკავშირებით საქართველოს საგამოძიებო ორგანოები მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით. დაბარალებულთა 6%-იდან, რომლებსაც დაუკავშირდა საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები, 70% გამოიკითხა. გამოკითხულ პირთა განმარტებით, საგამოძიებო ორგანოები მათ მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ დაუკავშირდნენ 2008-2009 წლებში.

^{*19} კვლევის ფარგლებში არ მომხდარა პასუხისმგებელ პირთა შესახებ უფრო მეტი დეტალის დაზუსტება ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის მიერ წარმოებული გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.

დაუკავშირდნენ თუ არა ომით დაზარალებულს ეროვნული საგამოძიებო ორგანოები/პროკურატურა



მას შემდეგ საგამოძიებო ორგანოებთან მათ კავშირი არ ჰქონიათ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ საგამოძიებო ორგანოებმა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მხოლოდ 13% მიანიჭეს, ხოლო გამოკითხულთა 76% ინფორმაციით, მათ არ აქვთ დაზარალებულის სტატუსი, 11%-ს კი ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

2.3 უნიკალური გამოძიება

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ აფრიკის კონტინენტის გარეთ მომხდარი კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე სრულმასშტაბიანი გამოძიება დაიწყო. თითქმის 13 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მოქმედებდა აფრიკის რვა ქვეყანაში და ამრიგად, რეგიონში გარკვეული ცოდნა შეიძინა. თუმცა სასამართლოს მკაცრად აკრიტიკებდნენ^{*20} გამოძიების მხოლოდ აფრიკაში დაწყების გამო. მართალია, აღნიშნული ტენდენცია დაირღვა, მაგრამ აფრიკის გარეთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოების შემდგომი განვითარებისა და შედეგების შესახებ გაურკვევლობა მაინც ნუხილის საგანია.

რთულია, საქართველოს სიტუაციის შედარება სხვა სიტუაციებთან გამოძიების შედეგის პროგნოზირებისთვის. მიმდინარე თერთმეტი გამოძიებიდან,^{*21}

^{*20} ალ ჯაზირა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აფრიკის პრობლემა, ხელმისაწვდომია: <https://www.aljazeera.com/indepth/opinion/2013/06/201369851918549.html>.
^{*21} სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, გამოძიების ქვეშ არსებული სიტუაციები, ხელმისაწვდომია: <https://www.icc-cpi.int/pages/situations.aspx>.

ხუთი წევრი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი საქმეა,^{*22} რომელიც შეეხება სახელმწიფოსა და მეამბოხე ჯგუფებს შორის შიდა შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილ დანაშაულებს. გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ გადაცემული ორი საქმე უკავშირდება ლიბიაში სამოქალაქო აჯანყებას კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ და დარფურის შეიარაღებულ კონფლიქტს სუდანის ხელისუფლებას, შეიარაღებულ ფორმირებებსა და აჯანყებულ ძალებს შორის. სამი *proprio motu*^{*23} სიტუაცია უკავშირდება საარჩევნო ძალადობას კენიაში, კოტ დ'ივუარსა და ბურუნდიში.

საქართველოს სიტუაციას რაც შეეხება, ამ სიტუაციის გამოძიება, რომელიც საქართველო-რუსეთის 2008 წლის კონფლიქტს შეეხება, ასევე დაიწყო, როგორც *proprio motu*. სასამართლო პირველად იძიებს დანაშაულებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში იქნა ჩადენილი. საქართველო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის წევრი სახელმწიფოა 2003 წლიდან და ხელისუფლების წარმომადგენლები რეგულარულად აკეთებენ განცხადებებს, რომლითაც გამოძიებასთან თანამშრომლობის მზაობას ადასტურებენ. რუსეთი გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და უკვე გაცხადებული აქვს თავისი განზრახვა, არ ითანამშრომლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, რისი კულმინაციაც 2016 წლის ბოლოს რომის სტატუტზე ხელმოწერის განწვევა იყო^{*24}.

რუსეთის მიერ რომის სტატუტზე ხელმოწერის განწვევიდან და პროკურორის ოფისთან თანამშრომლობაზე უარის თქმიდან მალევე, პროკურორმა ბენსუდამ განაცხადა, რომ მისი ოფისი სხვა გზებს მიმართავდა მტკიცებულებების მოსაპოვებლად.^{*25} იმავდროულად, საქართველომ რამდენჯერმე დაადასტურა ნაკისრი ვალდებულებები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გამოძიების წინაშე.^{*26}

ამას გარდა, საქართველოს შემთხვევაში, დანაშაულების ჩადენიდან და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიების დაწყებამდე

^{*22} ასე მოხდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, უგანდას შემთხვევებში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ორ შემთხვევაში და მალის შემთხვევაში.
^{*23} მშვიდობისა და სამართლიანობის ინიციატივა, *proprio motu* გამოძიება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ, ხელმისაწვდომია: <http://www.peaceandjusticeinitiative.org/implementation-resources/proprio-motu-investigation-by-the-icc-prosecutor>.
^{*24} The Guardian, რუსეთმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტზე ხელმოწერა გაიწვია, ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/world/2016/nov/16/russia-withdraws-signature-from-international-criminal-court-statute>.
^{*25} საერთაშორისო სამართლიანობა ტვიტერზე: https://twitter.com/Justice_Intl/status/799234627730710528.
^{*26} სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ტვიტერზე: <https://twitter.com/IntlCrimCourt/status/964644382535188480>.

თითქმის რვა წელი გავიდა, მაშინ როდესაც, სასამართლოს წარსული გამოცდილებით, გამოძიება მეტწილად, დანაშაულების ჩადენიდან ერთ თუ ორ წელში უკვე იწყებოდა. ამ გაჭიანურებამ, მტკიცებულებების შესაძლო დაკარგვის ან გაყალბების, აგრეთვე მრავალი პოტენციური მოწმის გარდაცვალების და დანარჩენების მიერ მოვლენათა მივიწყების გამო, შეიძლება, ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისს იმ მტკიცებულებების შეგროვებაში, რომლებიც სავარაუდოდ დანაშაულებს შესაძლო დამნაშავეებთან აკავშირებს.

მართალია, საქართველოში სიტუაციის გამოძიება და მასთან დაკავშირებული მთლიანი პროცესი სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ტესტია, გამოძიების შედეგებსა და მოვლენათა შემდგომ განვითარებას უფრო ფართომასშტაბიანი შედეგი ექნება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რეგიონისთვისაც და იმ სიტუაციებისთვისაც, რომლებიც ამჟამად პროკურორის ოფისის მიერ წინასწარი განხილვის სტადიაშია.^{*27}

2.4 გამონაკები

საქართველოს სიტუაციის გამოძიება და მიმდინარე პროცესი მრავალი ასპექტის მიხედვით, უნიკალურია, რომელსაც თან ახლავს რეგიონის შესახებ ცოდნის ნაკლებობით, საერთაშორისო კონფლიქტთან დაკავშირებით გამოცდილების არქონითა და კონფლიქტში ჩართული ძლიერი არანეგრი სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმით გამოწვეული ახალი გამოწვევები. ქვემოთ მოცემულია არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების სია.

2.4.1 კონფლიქტური რეგიონი

საქართველო მდებარეობს რეგიონში, სადაც ათწლეულების განმავლობაში რუსეთის მიერ წაქეზებული არაერთი სეპარატისტული კონფლიქტი წარმოიშვა და მათი ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის ცდუნება დიდია. ამ თვალსაზრისით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში წარმოებული გამოძიება და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრებას შეუძლია, შემაკავებელი ეფექტი იქონიოს შემდგომი კონფლიქტებისთვის და ხელი შეუწყოს საერთაშორისო მართლმსაჯულებისა და სამართლის უზენაესობის მიმართ მეტ პატივისცემას და დაცვას. იმავდროულად, „ცალმხრივი“ გამოძიების წარმართ-

ვა, რომელშიც მხოლოდ კონფლიქტის ერთი მხარე გამოდის პასუხისმგებელი, შესაძლოა, საზიანო იყოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ნეიტრალიტეტისა და სანდოობის დისკრედიტაცია მოახდინოს.

2.4.2 თანამშრომლობაზე უარი რუსეთის ფედერაციის მხრიდან

პირველად, როცა გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოუწია პოტენციურ კონფრონტაციაში შესვლა ძლიერ, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოსთან, რომელიც რომის სტატუტის წევრი მხარე არ არის. ამას გარდა, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ადმინისტრაცია მხოლოდ რუსეთის და რამდენიმე სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული და მოსკოვის პოლიტიკური გავლენის ქვეშ რჩება, რაც გამოძიებას შემდგომ პრობლემებს უქმნის. მიუხედავად გამოძიების საწყის ეტაპებზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რუსეთის მხრიდან თანამშრომლობის იმედისა, რუსეთს თანამშრომლობის ნაბიჯები არ გადმოუდგამს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთი იმედგაცრუებულია პალატის გადანწყვტილებით, მხარი დაუჭიროს საქმეს.^{*28} 2016 წლის ბოლოს რუსეთმა გაიწვია რომის სტატუტზე თავისი ხელმოწერა და ამით გაფანტა ყოველგვარი ეჭვი, რაც კი სასამართლოს თანამშრომლებს რუსეთის მხრიდან თანამშრომლობაზე შეიძლებოდა, ჰქონოდათ.

იმავდროულად, საქართველოს, როგორც რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოს, სასამართლოსთან თანამშრომლობის სრული ვალდებულება აქვს. საქართველოს ოფიციალური განცხადებები საკმაოდ მხარდაჭერას გამოხატავს და იძლევა აქტიური თანამშრომლობის გაგრძელების იმედს. წინასასამართლო პალატის გადანწყვტილებას გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, დადებითად შეხვდა საქართველოს მხრიდან დაზარალებულები და აგრეთვე მაღალჩინოსნები, მაშინდელი პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილისა და იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ჩათვლით. ამ უკანასკნელმა ხაზი გაუსვა პალატის გადანწყვტილების მნიშვნელობას და განაცხადა, რომ თბილისი სასამართლოსთან აქტიურ თანამშრომლობას გააგრძელებს.^{*29}

მოვლენათა ასეთი განვითარების გამო, ეთნიკურად ქართველი დაზარალებულები, ზოგადად, შიშობენ, რომ შესაძლოა, სასამართლომ ვერ შეძლოს სავარაუდოდ დამნაშავეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება და მათი დაკავება,

^{*27} სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, წინასწარი განხილვა, ხელმისაწვდომია <https://www.icc-cpi.int/pages/pe.aspx>.

^{*28} საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ბრიფინგი, 2016 წლის 29 იანვარი, ხელმისაწვდომია: http://www.mid.ru/en/foreign_policy/news/-/asset_publisher/ckNonkJE02Bw/content/id/2039123#7.

^{*29} საქართველო „აქტიურად ითანამშრომლებს“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან 2008 წლის ომის გამოძიების პროცესში, 28.01.2016, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/125262>.

ვინაიდან რუსეთი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და მაღალი ალბათობით, საკუთარი მოქალაქეების მიმართ დაკავების ორდერის გაცემის შემთხვევაში, რუსეთი უარს იტყვის მათ გადაცემაზე მაშინ, როცა საქართველო, იგივე სიტუაციაში, იძულებული იქნება, საკუთარი მოქალაქეები გადასცეს.


2.4.3 კომუნიკაციისა და საჯარო ინფორმაციის ნაკლებობა

დაბარალეულთა ნახევარს, რომლებთანაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის წარმომადგენლებს კომუნიკაცია ჰქონდათ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ არაფერი სმენია. დაბარალეულთა 49%-მა უპასუხა, რომ მათ ზოგადად სმენიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, მაგრამ მცირედი ინფორმაცია აქვთ სასამართლოს საქმიანობის, მანდატის და როლის შესახებ.

გამოძიების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ თბილისში ადგილობრივი ოფისი გახსნა, რომლის ძირითადი ვალდებულებაა ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება. თუმცა, ოფისი 2018 წლის განმავლობაში მეტწილად უმოქმედოდ იყო და იგი მხოლოდ ხელმძღვანელისა და დროებითი თანამშრომლისგან შედგებოდა. ამან პროცესის შემდგომი გაჭიანურება გამოიწვია ისე, რომ დაბარალეულები და ფართო საზოგადოება კვლავაც ინფორმაციულ ვაკუუმში დარჩნენ. ბოლო ხანებში, ოფისმა ადგილობრივი ასისტენტი აიყვანა, თუმცა კომუნიკაციისა და საჯარო ინფორმაციის ნაკლებობა კვლავ პრობლემად რჩება.

დაბარალეულთა 49%-დან, რომელსაც სმენია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, მხოლოდ 2% არის ინფორმირებული სასამართლოს შესახებ ადგილობრივი ოფისის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგად. ეს, ერთი მხრივ, მსგავსი შეხვედრების სიმცირეზე და მეორე მხრივ, დაბარალეულების მხრიდან ინტერესის ნაკლებობაზე მეტყველებს. ადგილობრივი ოფისი ფართოდ არ იყენებს კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს, როგორც არის ტელევიზია, რადიო და ონლაინმედია, რათა ინფორმაცია მიაწოდოს დაბარალეულ თემს. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც დაბარალეულთა ინფორმაციის უმთავრეს წყაროს ტელევიზია წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული 49%-დან, 82%-მა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ სწორედ ტელევიზიის მეშვეობით შეიტყო.

ინფორმაციის წყაროები



2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში დამატებით გამოვლინდა დაბარალეულ თემთან და ფართო საზოგადოებასთან დროული და სრულფასოვანი კომუნიკაციის საჭიროება. ამ პერიოდში ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი რუსეთთან 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტზე და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების პროცესის ხელშეშლაზე.

საპრეზიდენტო არჩევნებმა და მაღალი თანამდებობის პირების განცხადებებმა 2008 წლის კონფლიქტთან დაკავშირებით ინტენსიური საჯარო დისკუსიები გამოიწვია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თემაზე. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმავლობაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება საჯარო დისკუსიების პოპულარული თემა იყო ტელევიზიაში, რადიოსა და სოციალურ მედიაში. პროცესს იხილავდა ყველა, ყოფილი და ამჟამინდელი სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და ოპოზიციური პარტიების ჩათვლით. სამხედრო გენერლებმა გამოთქვეს წუხილი მიმდინარე საჯარო დისკუსიების შესახებ და დაგმეს პოლიტიკოსთა განცხადებები, რომელთა მიხედვითაც 2008 წელს რუსეთთან ომის დაწყებაზე საქართველო

იყო პასუხისმგებელი.^{*30} ოპოზიციური პარტიები ასევე შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ პოლიტიკოსების და მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატის განცხადებები, რომელთა თანახმადაც, რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო, შესაძლოა, მტკიცებულებად გამოყენებულიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.

ამას გარდა, სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ გაკეთდა განცხადებები, რომე გამოძიება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ შეეხებოდა.^{*31} აგრეთვე მაღალი თანამდებობის პირებმა და პოლიტიკოსებმა ერთმანეთში აურიეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებული გამოძიება და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოება,^{*32} რომელიც საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ დაიწყო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ 2008 წელს და 2011 წელს დასრულდა, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ დავის გადასაწყვეტად იურისდიქცია არ გააჩნდა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ასევე მდებარეობს ჰააგაში, თუმცა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია, რათა აეხსნა განსხვავება ამ სასამართლოებსა და მიმდინარე სამართალწარმოებას შორის. შესაბამისად, კვლავ ხშირად ხდება ამ ორი სასამართლოს და იქ არსებული პროცესის არევა და მიიჩნევა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი დავა იხილება.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულებს სასამართლოს მანდატზე და მიმდინარე გამოძიებაზე საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნიათ, ბოლოდროინდელ პოლიტიკურ დისკუსიებს შეეძლო, ხელი შეეშალა დაზარალებულების ეფექტიან ჩართულობაზე გამოძიებაში ან სასამართლოსთან მათი მხრიდან სამომავლო თანამშრომლობაზე. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული ბოლოდროინდელ დისკუსიებში და მოუწოდა ყველა დაინტერესებულ პირს, თავი შეეკავებინათ შემდგომი კომენტარებისგან, ვიდრე საზოგადოება თავად სისხლის სამართლის სასამართლოსგან არ მოისმენდა.^{*33}

^{*30} რუსთავი 2, 08.11.2018, გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძის ვიდეო მიმართვა, ხელმისაწვდომია: <http://rustavi2.ge/ka/news/118260?fbclid=IwAR1X-K2udpMxwEgQmLWxaQfWsaMkvQR1pcgS1XvsedDP88pITE5bmYzd-qs>.

^{*31} ლიბერალი, 2018 წლის 16 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://t.co/OG5ymLuemL>

^{*32} მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/en/case/140>.

^{*33} საქართველოს კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის“ განცხადება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-koalicia-siskhlis-samartlis-saertashoriso-sasamartlosatvis-ganckhadeba-siskhlis-samartlis-saertashoriso-sasamartlos-mier-2008-tslis-agvistos-omis-gamodziebastan-dakavshirebit#sthash.2NHJNtny.dpbs>.

ამ დისკუსიებმა დამატებით დაადასტურა, რომ დაზარალებულები და ფართო საზოგადოება არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი საქართველოსთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე. საჯარო ინფორმაციას და კომუნიკაციის ღონისძიებებს შეუძლია დეზინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილება, საინფორმაციო ვაკუუმის შევსება და სხვადასხვა დაინტერესებული პირებისგან პროცესის არასწორად განმარტების პრევენცია. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის ნაკლებობა ამ მდგომარეობის ძირეული პრობლემაა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადგილობრივი ოფისი, აგრეთვე კანცელარია და პროკურორის ოფისი ნაკლებად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივ დებატებში.

მართალია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ უნდა ჩაერთოს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და პოლიტიკურ დებატებში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართულმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით დაზარალებულებმა და სამხედრო პერსონალმა მიიღონ ნეიტრალური ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის, მისი მანდატის, გამოძიების ფარგლებისა და სავარაუდო შედეგის შესახებ, რადგანაც ბუნდოვანებამ და სასამართლოს მიზნებისა და მანდატის შესახებ დეზინფორმაციამ შესაძლოა, მისი ძალისხმევის ქმედითობა დააზიანოს და სასამართლოს ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.


2.4.4 გაზვიადებული მოლოდინები

დაზარალებული თემის მოლოდინების მართვა ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, რადგან დაზარალებულებთან კომუნიკაცია და მათი პროცესში ჩართულობა ძალზე რთულია. განსაკუთრებით, ეს ეხება მათი ისტორიის ინდივიდუალურ განხილვას. არასწორი ინფორმაციის მიწოდება და მაღალი მოლოდინების შექმნა ცალსახად დააზიანებს პროცესს და საერთაშორისო მართლმსაჯულებას, სამართლის უზენაესობასა და მძიმე დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების კულტურას საფუძველს გამოაცლის.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, დაზარალებულებს მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით არარეალისტური მოლოდინები აქვთ. გამოკითხულთა 19% მოელის, რომ გამოძიების შედეგად კომპენსაციას მიიღებს; 13% საერთაშორისო დონორებისგან მხარდაჭერას ელის. იმავდროულად, გამოკითხულთა 18%-ს სჯერა, რომ გამოძიება მათი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაბრუნებით დასრულდება; ხოლო 15% ელოდება, რომ მიმდინარე სამართალწარმოება საქართველოს საერთაშორისო დონეზე ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას მოიტანს. გამოძიების საბოლოო შედეგთან დაკავშირებით დაზარალებულთა 12% მიიჩნევს, რომ გამოძიება წარუმა-

ტებელი იქნება; იგივე რაოდენობის აზრით, რუსი დამნაშავეები პასუხს აგებენ. გამოკითხულთა მცირე რაოდენობა, 9% ელის, რომ ეთნიკურად ოსები აგებენ პასუხს და მხოლოდ 3% ფიქრობს, რომ ეთნიკურად ქართველები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან.

მოლოდინები



დაზარალებულებს მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ, შეასრულონ გამოძიების შემდგომ განვითარებაში. შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ დაზარალებულ თემში სამართალწარმოებისა და სასამართლოს შესაძლებლობების ფარგლების შესახებ დეტალური და დაბალანსებული ინფორმაცია მიეწოდოს შემდგომი გაუგებრობის შემცირების მიზნით.

2.4.5 ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებას მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება, ჰქონდეს დაზარალებული თემისთვის, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მედიისა და ფართო საზოგადოებისთვის როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. მანამდე არც ერთი ქვეყანა არ დაქვემდებარებია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებას. აქამდე

ეს რეგიონისთვის შორეულ საკითხად რჩებოდა, აღიქმებოდა რა, როგორც მხოლოდ „აფრიკის პრობლემა“.

ამის შედეგია, რომ ადგილობრივ დონეზე სასამართლოს წინა გამოცდილებისა და საერთაშორისო კონტექსტის შესახებ ძალზე მწირი ცოდნა არსებობს. არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა და გაუგებრობა არსებობს გამოძიებისა და ამ პროცესში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ფუნქციის შესახებ. სასამართლოს სხვადასხვა ორგანოებთან, განსაკუთრებით, პროკურორის ოფისთან ურთიერთობის შესახებ ცოდნის ნაკლებობას და პროცესთან დაკავშირებით გადამეტებულ მოლოდინებს, შესაძლებელია, უარყოფითი რეაქცია მოჰყვეს, განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოებისა და დაზარალებულთა თემისთვის, რომლებიც სასამართლოს ძირითადი პარტნიორები არიან.

საჯარო დისკუსიებსა და ინფორმაციის აქტიურ გავრცელებასთან ერთად, ადგილობრივ დონეზე შესაძლებლობების გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა პროცესთან დაკავშირებით სათანადო ცოდნა მიიღონ. წარსული გამოცდილება აჩვენებს, რომ ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების წევრები არიან მნიშვნელოვანი პარტნიორები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვადასხვა სექციებისთვის, მათ შორის პროკურორის ოფისისა და საჯარო ინფორმაციის და კომუნიკაციის სექციისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოში მინიმალურია მხარდაჭერა ამ წევრთა მიმართ, რათა მათ შეძლონ ცოდნის გაღრმავება და დაზარალებულების დახმარება ამ პროცესში.

გამოძიების პროგრესის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. გამოძიების პირველი წლის განმავლობაში ისე ჩანდა, რომ სასამართლო ნაკლებად იყო ჩართული საქართველოს სიტუაციაში. სასამართლო და მისი თანამშრომლების უმეტესობა ძირითადად არ იცნობდა ქვეყანას და არ ჰქონდა საქართველოში მუშაობის გამოცდილება ისევე, როგორც ქართველებისთვის არაფერი იყო ცნობილი სასამართლოს ინსტიტუტის შესახებ. შესაძლოა, ეს იყო სასამართლოს სხვადასხვა ორგანოს, მათ შორის, პროკურორის ოფისის ადგილზე საქმიანობის ნაკლები პროგრესის ერთ-ერთი მიზეზი. მდგომარეობა გაუმჯობესდა გამოძიების მეორე წელს, როდესაც პროკურორის ოფისმა გამოძიების გუნდი ჩამოაყალიბა და სხვადასხვა მოქმედებები განახორციელა. თუმცა, საქმიანობის კონფიდენციალური ხასიათის გამო, არც დაზარალებულები და არც საზოგადოება სათანადოდ არ ყოფილა ინფორმირებული გამოძიების პროგრესის შესახებ. მართალია, კონფიდენციალობა მიმდინარე პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ამავდროულად მას თან უნდა ახლდეს ქმედითი ინფორმირების და კომუნიკაციის კომპონენტი დაზარალებულ თემსა და ფართო საზოგადოებაში არსებული საინფორმაციო ვაკუუმის შესავსებად და იმ დეზინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც მიმდინარე პროცესის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად დაზიანება შეუძლია.



ღგოღვილთა
ცენტრი
I D P
CENTER

თავი 3

ღაგარაღებული თეღის
სოციო-ეკონომიკური
მდგომარეობა

3.1 შესავალი

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და მისი მიმდებარე სოფლებიდან 26 888 პირი (9081 ოჯახი) იძულებული გახდა, მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. ომის შემდეგ დევნილები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში განასახლეს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა 15 215 დევნილს, განსახლების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია მიიღო 3712-მა დევნილმა, ხოლო 223 ოჯახისათვის კერძო საკუთრებაში არსებული სახლი/ბინა შეისყიდეს.^{*34}

სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში აღიარებულია უფლება სათანადო საცხოვრისზე, რომელიც უფრო მეტია ვიდრე მხოლოდ საცხოვრებელი სივრცე. კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან მიმართებით, პრაქტიკაში კვლავ ვხვდებით ამ უფლების დარღვევის არაერთ შემთხვევას. დევნილები 2008 წლის აგვისტოს ომიდან ათი წლის შემდეგაც მძიმე პირობებში ცხოვრობენ. დევნილთა უფლებრივ მდგომარეობაზე არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველს მის ყოველწლიურ ანგარიშებში.^{*35}

წინამდებარე კვლევის მიზანს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და მისი მიმდებარე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დოკუმენტირება და პრობლემების გამოვლენა წარმოადგენდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დევნილები, განსახლების პირობებშიც, რთულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაში ცხოვრობენ. ყველაზე მეტ სირთულეს სამუშაო ადგილების არარსებობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყების შეუძლებლობა ქმნის. დევნილთა დასახლებებში მძიმეა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო პირობები ტრანსპორტირების, საგზაო თუ საირიგაციო ინფრასტრუქტურის, სამედიცინო სერვისებზე, სკოლამდელ და სასკოლო განათლებაზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემების გამო. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საკითხების მასშტაბურობის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ისინი არა ინდივიდუალურ, არამედ სისტემურ ხასიათს ატარებს.

^{*34} საქართველო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 24 ოქტომბრის N01/8016-ს წერილი.

^{*35} საქართველოს სახალხო დამცველის 2016, 2017 და 2018 წლების ანგარიშები „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

3.2 მეთოდოლოგია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (ჯამში 170 დასახლებაში) 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, 6116 დევნილი ოჯახი იყო დროებით განსახლებული.^{*36}

2018 წლის მარტიდან ამავე წლის აგვისტოს ჩათვლით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიციის წევრ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა კვლევის მიზნებისათვის, ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილები გამოკითხეს ქვეყნის მასშტაბით, მათივე განსახლების ადგილებზე. კვლევისთვის 170 დევნილთა დასახლებიდან 36 ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ობიექტი შეირჩა, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში.^{*37} დასახლებების არჩევისას კოალიციის წარმომადგენლებმა იხელმძღვანელეს ამ დასახლებებში დევნილთა განაწილების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით.


შერჩეულ 36 დასახლებაში ჯამში 5 506 დევნილი ოჯახი ცხოვრობს, რაც დასახლებებში მცხოვრებ დევნილ ოჯახთა 90% შეადგენს. დევნილები კარდაკარის პრინციპით გამოიკითხნენ. კერძოდ, ინტერვიუერები თითოეულ ოჯახში მივიდნენ, სადაც ძირითადად ხდებოდა ოჯახის 1 წევრის გამოკითხვა მარტივი შერჩევითი მეთოდით - ინტერვიუს იღებდნენ ოჯახის იმ უხუცესი წევრისგან, ვინც ინტერვიუს მომენტში სახლში იმყოფებოდა და ვისაც გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების სურვილი ჰქონდა. გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით ჩატარდა.

^{*36} საქართველო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 24 ოქტომბრის N01/8016-ს წერილი.


^{*37} დევნილთა განსახლების ადგილების ჩამონათვალი: ფრეზეთი, წინამძღვრიანთკარი, ყოფილი ინტერნატი (საგურამო), ყოფილი პროფესიული ტექნიკუმი (საგურამო), ყოფილი ტელევიზია (მცხეთა), წეროვანი, წილკანი, ბერბუკი, ყოფილი სისხლის გადასხმის ცენტრი (კვერნაკის დასახლება გორში), ყოფილი ნარკოლოგიური (კომბინატის დასახლება გორში), ვერხვები, სკრა, შავშვები, საქაშეთი, ყოფილი სამუსიკო სკოლა (გორი), კარალეთი, ხურვალეთი, თელიანი, მეტეხი, კოდა, ბაზალეთი, შაუმიანი, გარდაბანი, ახალსოფელი, ყოფილი ელ. ტექნიკუმი (ქარელი), ყოფილი პროფესიული ტექნიკუმი (ქარელი), მოხისი, ბაგა-ბალი N2 (ხაშური), მე-14 პროფ. ტექნიკუმი (ხაშური), პროფტექნიკუმი (ხაშური), სანატორიუმი სურამი, ანწუხელიძის ქუჩა (გორი), ყოფილი პროფესიული სასწავლებელი (თელავი), ყოფილი პროფესიული ტექნიკუმი (საგარეჯო), ყოფილი სკოლა ინტერნატი (ლაგოდეხი), თბილისი, ვაზისუბნის მე-4 მ/რ, I კვარტალი, საბავშვო ბაღი N149.

კვლევის ფარგლებში 5 506 დევნილი ოჯახიდან გამოიკითხა 2 417 დევნილი ოჯახი. ხოლო დანარჩენმა უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე ან/და გამოკითხვის პერიოდში დასახლებაში არ იმყოფებოდნენ.

გამოკითხულ დევნილთა ასაკი



გამოკითხულ დევნილთა სქესი



კვლევა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ჩატარდა. დევნილთა გამოკითხვისთვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარების სტრუქტურირებული იყო და დახურული, ნახევრად დახურული და ღია კითხვებისგან შედგებოდა. შედეგები ეყრდნობა სპეციალური კითხვარების საშუალებით შეგროვებულ

მონაცემების განზოგადებას. გამოკითხვისას მიღებული შედეგების სანდოობის დონე არის 95%, ხოლო ცდომილების ზღვარი $\pm 1.864\%$. მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. კვლევის ფარგლებში ასევე, გაანალიზდა მეორადი ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

3.3 საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები სათანადო საცხოვრებლის უზღუდასთან დაკავშირებით

იძულებით გადაადგილებული პირები განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც ღირსეული და სათანადო ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ და ეფექტიან მხარდაჭერას საჭიროებენ. უფლება სათანადო საცხოვრისზე, რომელიც ადამიანის უფლებათა შემადგენელი ნაწილია, აღიარებულია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია პირდაპირ განმარტავს, რომ „ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ასევე, უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.“³⁸

სათანადო საცხოვრებლის უფლების განმტკიცების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი,“ რომლის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, კვების, ტანსაცმლისა და ბინის ჩათვლით, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. ამავდროულად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაატარონ შესაბამისი ზომები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად.³⁹

საცხოვრებლის უფლება განხილულ უნდა იქნეს, როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება. ტერმინი „საცხოვრებელი“ უნდა ითვალისწინებდეს სხვა შინაარსსაც, კერძოდ ამ უფლების უზრუნველყოფას ყველა ადამიანისათვის, მისი შემოსავლისა თუ ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიუხედავად. ამასთან, იგი გაგებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ საცხოვრებლის, არამედ სათანადო საცხოვრებლის კონტექსტში.⁴⁰ „სათანადო“ საცხოვრებლის ცნება შესაძლოა, სხვადასხვა

³⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 25(1).

³⁹ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი,“ მუხლი 11(1).

⁴⁰ გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ შემუშავებული მე-4 ზოგადი კომენტარი, მე-7 პუნქტი, 1991.

ფაქტორს მოიცავდეს, თუმცა, ზოგადი ასპექტების გათვალისწინებით, მინიმუმ უნდა გულისხმობდეს:

- შესაბამის სამართლებრივ გარანტიებს, რაც პირს საჭიროების შემთხვევაში, ფართის ფლობის ფორმის მიუხედავად, დაიცავს იძულებითი გამოსახლების, დევნისა და სხვა საშიშროებისგან;
- ისეთ პირობებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და კვებისათვის, მაგალითად, როგორცაა უსაფრთხო სასმელი წყალი, გათბობა და განათება, სანიტარია, სააბაზანო და სხვა;
- საყოფაცხოვრებო ხარჯებმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას პირის სხვა ძირითად საჭიროებებს. ამასთან, სახელმწიფომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა საყოფაცხოვრებო ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი შეესაბამებოდეს პირის შემოსავალს;
- პირს უნდა ჰქონდეს საცხოვრებლად სათანადო ფართი და დაცული უნდა იყოს სიცივისაგან, ნესტისაგან, სიციხისაგან, წვიმისაგან, ქარის ან ჯანმრთელობისათვის მავნე სხვა საშიშროებისგან. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი უსაფრთხოება;
- სათანადო საცხოვრებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც ამის უფლება აქვს;
- სათანადო საცხოვრებლის ადგილმდებარეობა ხელმისაწვდომს უნდა ხდიდეს დასაქმებას, სამედიცინო მომსახურებას, სკოლებს, ბავშვთა ზრუნვის ცენტრებსა და სხვა სოციალურ მომსახურებას;
- საცხოვრებელი ფართის აშენებისას ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ თვითმყოფადობას და მრავალფეროვნებას.


სათანადო საცხოვრებლის უფლება ასევე, აღიარებულია „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც სათანადო საცხოვრებელს განმარტავს როგორც დევნილისათვის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელს, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მათ შორის, უსაფრთხოებისა და სანიტარული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი პირობები და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა.^{*41}

^{*41} „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, „ნ“ ქვეპუნქტი;

3.4 დევნილთა დასახლებაში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი სოცო-ეკონომიკური პრობლემები

გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აშენებულ სპეციალურ კოტეჯებში ცხოვრობს. თუმცა, ნაწილი ყოფილი სასწავლო დაწესებულების ან სამხედრო დანაყოფების ტერიტორიაზე დაასახლა სახელმწიფომ. დევნილთა პრობლემები დასახლებების მიუხედავად იდენტურია. ისინი ძირითადად უჩივიან ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებს, სამედიცინო სერვისების, ტრანსპორტის ხელმიწვდომლობას და სხვა. გამოკითხულ დევნილთა მხოლოდ 0,02% აღნიშნავს, რომ მათ ოჯახს არანაირი პრობლემა არ აწუხებს, ხოლო გამოკითხულთა უმრავლესობამ მინიმუმ ერთი პრობლემა მაინც დაასახელა, რომელიც მათ ოჯახებს აქვთ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დევნილთა დასახლებებში მცხოვრებთათვის უსაფრთხოება პრობლემად არ არის მიჩნეული.^{*42}

დევნილთა მიერ დასახლებული მნიშვნელოვანი სოცო-ეკონომიკური პრობლემები




^{*42} კითხვარში დასმული კითხვა გულისხმობდა ისეთი სახის უსაფრთხოების საკითხებს, რომელიც უკავშირდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების შემდეგ რუსეთის ან დე-ფაქტო ძალების მხრიდან მათ გატაცებას, მუქარას, უკანონო დაკავებას ან მათ მიმართ ჩადენილ სხვა დანაშაულებს. დევნილთა განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ მათი დასახლებები ადმინისტრაციული საზღვრიდან მოშორებით მდებარეობს, ისინი უშუალოდ არ გამხდარან ამ დანაშაულის მსხვერპლნი.

3.4.1 საყოფაცხოვრებო / სახლთან დაკავშირებული პრობლემები:

გამოკითხულ დევნილთა დიდმა უმრავლესობამ (დევნილთა 74% - 1790 დევნილი) საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა. დასახელებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა სინესტე, ბზარები, გადახურვა, ზედმეტი სითბო და სიცივე. გარდა აღნიშნულისა, 680 დევნილმა დაასახელა საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში ან/და მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების სიმცირე, სადარბაზოებისა და დერეფნების მოუნესრიგებლობა და სხვა.

საყოფაცხოვრებო/სახლთან დაკავშირებული პრობლემები



3.4.1.1 სინესტე

სახლთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრისას, დევნილები ხშირად აღნიშნავდნენ ნესტს, რაც მთლიანად სახლის, კედლების სისველეს და ზოგ შემთხვევაში, უსიამოვნო სუნს იწვევს. სინესტე პრობლემად დაასახელა გამოკითხულთა უმრავლესობამ - 1185 დევნილმა. მათი ნაწილის განმარტებით, მომეტებული ნესტის გამო ბინაში არსებული რემონტი მთლიანად გაფუჭდა, კედლები დაობდა და დალპა, ასევე, აძვრა შპალერი. სინესტემ დააზიანა იატაკი, რაც განსაკუთრებით კოტეჯის ტიპის დასახლებებში შეიმჩნევა.^{*43} ზოგან იატაკზე დაგებული ლამინატი დალპა და მთლიანად შესაცვლელია.^{*44}

*„იატაკი ჩაღპა და ჩაინგრა, ოთახიდან ოთახში დამატებით ფიცრები გვქონდა გადებული გადასასვლელად რამე რომ არ დაგვეზიანებინა“,*45*

^{*43} მოხისის, ახალსოფლის, ბერბუკის, წილკნის, წეროვანის დევნილთა დასახლებები.

^{*44} წინამძღვრიანთკარის, ფრეზეთის, ვერხვების დევნილთა დასახლებები.

^{*45} კარალეთის დევნილთა დასახლება.

*„იატაკის ქვეშ ბალახი ამოგვივიდა“,*46*

*„მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაღებული გვაქვს ფანჯრები და კარები რომ გამოშრეს სველი კედლები და შევძლოთ ნორმალურად დაძინება“,*47*

*„ძალიან ვწუხვართ ზამთარი რომ მოდის, სიცივეში ვერ შევძლებთ დიდი ხნით ფანჯრების გაღებას“.*48*

*კორპუსის ტიპის დასახლებებში ნესტი განსაკუთრებით აწუხებს პირველი სართულის მაცხოვრებლებს.*49 დევნილთა ნაწილი ამბობს, რომ ნესტმა ავეჯი და სხვა ნივთები დაუზიანა.*

*ზოგიერთი დევნილი ტენიანობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზადაც ასახელებს.*50*

*„ნესტია ისეთი საშინელი, რომ დაავადდნენ ბავშვები, მუდმივად ბრონქების პრობლემა მაქვს“,*51*

*„დაავადებები გაგვიჩნდა დიდსა თუ პატარას“,*52*

*„ნესტია გაუსაძლისი, სუნთქვა გვიჭირს“,*53*

*„ვეღარ ვმოდრამო სახსრებისა და ძვლების ტკივილების გამო“,*54*

*„დამემართა ალერგია და ასთმა“.*55*

მოსახლეობა ბინებში სხვადასხვა მწერების მომრავლებასაც სინესტეს უკავშირებს. ზოგიერთი დევნილი აღნიშნავდა, რომ განსაკუთრებით გაუსაძლისი ზამთრის პერიოდია, როდესაც სინესტის გამო წყალი კედლებიდან წვეთობით ჩამოდის.*56

არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო, ზოგიერთი დევნილი უარს აცხადებს გადაცემული ფართების საკუთრებაში მიღებაზე. მაგ: შაუმიანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებმა არაერთმა დევნილმა საცხოვრებლის საკუთრებაში მიღებაზე უარის თქმის მიზეზად სწორედ მძიმე საყოფაცხოვრებო

^{*46} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*47} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*48} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*49} მაგ. კოდას და საგარეჯოს დევნილთა დასახლებები.

^{*50} მაგ: შაუმიანის, ბაზალეთის, კარალეთის, ხურვალეთის, ვერხვების, ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

^{*51} შაუმიანის დევნილთა დასახლება.

^{*52} შაუმიანის დევნილთა დასახლება.

^{*53} ბაზალეთის დევნილთა დასახლება.

^{*54} ხურვალეთის დევნილთა დასახლება.

^{*55} კარალეთის და ხურვალეთის დევნილთა დასახლებები.

^{*56} მაგ. გარდაბნის დევნილთა დასახლება.

პირობები დაასახელა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,^{*57} ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და მისი მიმდებარე სოფლებიდან, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, მარნეულის რაიონის დაბა შაუშიანში მდებარე, ყოფილი სამხედრო ბაზის რეაბილიტირებულ შენობებში 184 დევნილი ოჯახი - 500 დევნილი განსახლდა, რომელთაგან ფართი საკუთრებაში მხოლოდ 13 დევნილ ოჯახს - 22 დევნილს დაურეგისტრირდა.^{*58}

დასახლებათა ნაწილში ნესტის გამომწვევ მიზეზად სარდაფებში სისტემატურად წყლისა და კანალიზაციის დაგროვებას ასახელებენ, რასაც ზოგიერთ დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის გაუმართავობა/ხშირი დაზიანება ან სათანადო სანიტარული (სანჰიგიენო) სისტემის არარსებობა იწვევს.^{*59} ლაგოდეხში მცხოვრები დევნილების განმარტებით, 2009 წელს, მათი სწრაფი შესახლების მიზნით, შენობას მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი გაუკეთდა. წყლის მილების შეყვანა და დამონტაჟება რამდენიმე თვის წინ, არასწორად მოხდა, რის გამოც წყალი წვეთავს და მთელ კორპუსს ანესტიანებს. პრობლემას ბეტონის იატაკიც ამწვავებს, რომელიც ძნელად შრება. საგარეჯოში მცხოვრებმა დევნილებმა განაცხადეს, რომ სასმელი წყლის ავზები განთავსებულია კორპუსის სარდაფში, რომელიც მუდმივად სველია და არ შრება. მათი შეფასებით, აღნიშნული არამხოლოდ ნესტსა და მძიმე სუნს იწვევს, ასევე, საფრთხეს უქმნის საცხოვრებელი კორპუსის საძირკველს.

რამდენიმე დასახლებაში დევნილებმა ნესტის გამომწვევ მიზეზად სახლების გარშემო ჭაობიანი ნიადაგი დაასახელეს. ასევე, დაასახელეს მდინარის ახლომდებარეობა, რომელიც ადიდებისას დასახლებას ტბორავს.^{*60} მოხისის დევნილთა დასახლებაში აღნიშნეს, რომ სინესტეს სახელმწიფოს მიერ გაკეთებული ხელოვნური ტბა ზრდის, რომელიც წვიმისა და თოვლის დროს სავალ გზებზე გადმოდის და შეუძლებელს ხდის გადაადგილებას. ტბის წყალი კოტეჯებშიც შედის.

3.4.1.2 ბზარები

გადაცემული საცხოვრებელი ფართების არასათანადო რემონტის ან/და საცხოვრებელი ბინის/კოტეჯის არამდგრადობის საჩვენებლად დევნილებს (563

^{*57} საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის 2018 წლის 24 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი N01/8016-ს.

^{*58} საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 14 ნოემბრის წერილი № 01/9585-ს.

^{*59} მაგ. გარდაბნის, კოდას, საგარეჯოს, თელავის, შავშვების, ვერხვების, დევნილთა დასახლებები.

^{*60} მოხისის, კარალეთის წეროვანის დევნილთა დასახლებები.

გამოკითხული პირი) კედლებზე, ფანჯრებთან, კართან ან/და ჭერზე არსებული ბზარების სიმრავლე მოჰყავთ:^{*61}

*„კედლებზე ბზარებია სულ, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სახლი“,*62*
*„კედლები სულ დაბზარულია, ნელ-ნელა, ინგრევა“,*63*
*„ჩამოშლილია შელესილი კედელი“,*64*
*„კედლები ისეთ მდგომარეობაშია, რემონტს არ ექვემდებარება“,*65*
*„იმდენად დაძველებული და დაზიანებულია შიდა კედლები, რომ მეზობლის ხმადაბალი საუბარიც კი გვესმის“,*66*
*„თავები და მწერები თავისუფლად მოძრაობენ გამოტეხილ კედლებში“.*67*

ზოგიერთ დასახლებაში კორპუსზე/კოტეჯებზე არსებული ბზარების გამო მოსახლეობა შიშობს, რომ მათი საცხოვრებელი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია.^{*68} ზოგან აივნები იმდენად დაზიანებულია, რომ საშიშია მათი გამოყენება.^{*69}

წეროვანის დასახლებაში ერთ-ერთმა დევნილმა განაცხადა, რომ კოტეჯში ბზარები გზის სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდგომ გაჩნდა.

3.4.1.3 გადახურვა

დევნილთა სხვადასხვა დასახლებებში დასახელდა გადახურვის პრობლემა.^{*70} აღნიშნული საკითხი 389 ოჯახს აწუხებს. მათი განმარტებით, არასათანადო გადახურვის გამო ზიანდება კედლები, რადგან წვიმის დროს წყალი ჩამოდის:

*„ისე ჩამოდის წყალი, ვერ ვგრძნობ სახლში ვარ თუ გარეთ“.*71*

წვიმის დროს სარდაფების წყლით ავსება პრობლემად დაასახელეს გორში, ანწუხელიძის ქ. N1-ში მცხოვრებმა დევნილებმაც.

^{*61} მაგ: კომბინატის (ყოფილი ნარკოლოგიური შენობა), მოხისის, ახალსოფლის, ბერბუკის, წილკნის, წინამძღვრიანთკარის, თელავის, საგურამოს (ყოფილი პროფტექნიკუმის შენობა), სკრის, შავშვების, ფრეზეთის, ვერხვების დევნილთა დასახლებები.

^{*62} შაუშიანის დევნილთა დასახლება.

^{*63} შაუშიანის დევნილთა დასახლება.

^{*64} სანატორიუმი სურამის დევნილთა დასახლება.

^{*65} სანატორიუმი სურამის დევნილთა დასახლება.

^{*66} შაუშიანისა და კოდას დევნილთა დასახლებები.

^{*67} საგარეჯოსა და ლაგოდეხში მდებარე დევნილთა დასახლებები.

^{*68} მაგ. თბილისი, ვაზისუბანი, ბაგა-ბაღი N149 ობიექტი.

^{*69} თელავში მდებარე დევნილთა დასახლება.

^{*70} შაუშიანის, საქაშეთის, წინამძღვრიანთკარის, სკრის, შავშვების, ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

^{*71} შაუშიანის დევნილთა დასახლება.

რამდენიმე დასახლების დევნილთა ინფორმაციით, კორპუსის ნაწილი არ არის გადახურული.^{*72} ბაზალეთის დასახლებაში აღნიშნეს, რომ არასათანადო გადახურვის გამო, „ძლიერი ქარის დროს ჭერი იხდება და წვიმის დროს წყალი ჩამოდის.“ იგივე პრობლემა დაფიქსირდა მოხისის დასახლებაშიც.

3.4.1.4 ზედმეტი სითბო/სიცივი

დევნილთა დასახლებებში ზედმეტი სითბო/სიცივის პრობლემა გამოკვეთა 533-მა გამოკითხულმა ოჯახმა. მათი განცხადებით, აღნიშნულ პრობლემას სხვადასხვა მიზეზები იწვევს. მაგალითად, საცხოვრებელი კორპუსების/კოტეჯების აშენებისას ან/და რეაბილიტაციისას გამოყენებული სამშენებლო მასალების უხარისხობა სახელდება საცხოვრებელ ფართებში ზედმეტი სითბო/სიცივის გამომწვევ ძირითად მიზეზად:

*„ზამთარში ვერ ვათბობთ, იმიტომ, რომ სახლი დიფტიტაა შემოსაზღვრული“.*73*
*„კედლები თაბაშირ-მუყაოთაა გატიხრული და შიგნით არაფერი არ აქვს ჩაყვლებული, კარები კი გატეხილი, დამპალი და დამიანებულია და სითბოს ვერ ვიკავებთ“.*74*

ფრეზეთის და ვერხვების დასახლებებში დევნილებმა განმარტეს, რომ სახლებს თბობოლაცია არ აქვთ გაკეთებული, რაც მოაგვარებდა როგორც სიცივისა და ნესტის, ისე სიცივის პრობლემას.

ზოგიერთ დასახლებაში საუბრობდნენ, რომ ბინა მაღალჭერიანია და ზამთარში მისი გათბობა ჭირს, ასევე, უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ შემთბობას:

*„ზამთარში ძალიან გვიჭირს გათბობა, გვაქვს შეშის ღუმელი და თუ შეშას ვიშოვნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვთბებით. თუ შეშა ვერ ვიშოვნით, საერთოდ სიცივეში ვართ“.*75*
*„ზამთარში ვერ ვთბებით, ვინაიდან არ გვაქვს გადახდის საშუალება“,*76*
*„ღუმელის გვერდზე თბილად ჩაცმულები ვსხედვართ“*77,*
*„შეშას ვიზოგავთ, მაგის შეძენაც გვიჭირს“.*78*

შაუმიანის დასახლებაში დევნილები საუბრობდნენ, რომ ზაფხულშიც კი ბინაში საგრძნობლად ცივა.

წეროვანის დასახლებაში დევნილები აღნიშნავდნენ, რომ კედლები თხელი მასალითაა აშენებული, რის გამოც, ზაფხულში გაუსაძლისად ცხელა, ხოლო ზამ-

*72 სანატორიუმი სურამის დევნილთა დასახლება.
 *73 შაუმიანის დევნილთა დასახლება.
 *74 ლაგოდეხისა და საგარეჯოს დევნილთა დასახლებები.
 *75 შაუმიანის დევნილთა დასახლება.
 *76 კოდას დევნილთა დასახლება.
 *77 კარალეთის დევნილთა დასახლება.
 *78 ლაგოდეხისა და საგარეჯოს დევნილთა დასახლებები.

თარში - საცხოვრებლის გათბობა ძალიან ჭირს, რადგან ოთახი სითბოს არ ინარჩუნებს:

*„კედლები არის ძალიან თხელი, სითბოს ვერ ვაკავებთ ზამთარში, და ზაფხულში საშინლად ცხელა, ფაქტობრივად ყუთებში ვცხოვრობთ.“*79*

ამავე დასახლებაში დევნილებმა განმარტეს, რომ კოტეჯები გადახურულია თუნუქით, რაც ზაფხულში ძალიან ცხელდება.

საქაშეთში მცხოვრებმა დევნილებმა აღნიშნეს, რომ მათთვის განსაკუთრებით რთულია ზამთრის პერიოდი, რადგან კოტეჯის კედლები სითბოს ვერ იკავებს და უჭირთ ზამთარში გათბობა.

*„სკებივით ვართ ჩასახლებულები ტრიალ მინდორზე, სულ ქარი ქრის, არანაირი საფარი გარშემო არ არის და ეს კიდევ ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას, განსაკუთრებით ცივია დასახლების განაპირა სახლები.“*80*
კოდას დასახლების დევნილები საუბრობდნენ, რომ საცხოვრებელ ბინებს არ აქვს ოთახებში გამავალი შიდა კარები, რის გამოც ზამთარში ოთახების გათბობა ძალიან ჭირს, ხოლო ზამთარის დიდხანს ჩართვის მატერიალური შესაძლებლობა არ აქვთ.

3.4.1.5 საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით დევნილთა მიერ დასახლებული სხვა პრობლემები

საცხოვრებელთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს შორის როგორც ცენტრალურ, ასევე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში ყველაზე მწვავედ საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების გაუმართავობა სახელდება. ზოგიერთ დასახლებაში დევნილები განმარტავდნენ,^{*81} რომ საკანალიზაციო/წყალმომარაგების სისტემა თავიდანვე უხარისხოდ იყო გაკეთებული, ზოგან კი მალევე გამოვიდა მწყობრიდან. აღნიშნული პრობლემის გამო ხშირია შემთხვევები, როდესაც საცხოვრებელი სახლები ზიანდება:

*„სველი წერტილები გაფუჭებულია, კედლები იშლება/ინგრევა. სანტექნიკა გაუმართავია და ამის გამო სულ წყალი ჩამოდის მეზობლიდან“*82*
*„სახლში სისტემატურად დგას ფეკალური მასების სუნი, მწყობრიდან სრულად გამოსულია სანტექნიკა და კანალიზაცია“.*83*

ხურვალეთში მცხოვრებმა დევნილებმა განაცხადეს, რომ არცერთ კოტეჯს არ

*79 წეროვანის დევნილთა დასახლება.
 *80 ხურვალეთის დევნილთა დასახლება.
 *81 კოდას, გარდაბნის, სურამის პროფტექნიკუმის, სანატორიუმი სურამის, ხაშურში, მე-2 ბაგა-ბაღის, თბილისში, ვაზისუბანი, N149 ბაგა-ბაღის, ლაგოდეხის, ხურვალეთის, თელავის, საგურამოს (ყოფილი პროფტექნიკუმის შენობა) დევნილთა დასახლებები.
 *82 შაუმიანის დევნილთა დასახლება.
 *83 გარდაბნის დევნილთა დასახლება.

აქვს აბაზანა და საკანალიზაციო სისტემა. კოტეჯის გარეთ აქვთ განთავსებული ხის საპირფარეშოები. საკანალიზაციო სისტემის არარსებობის გამო, ტერიტორიაზე დგას მძიმე სუნი. დევნილებს საკუთარი ხარჯებით უწევთ საკანალიზაციო სისტემის დაცლა/მოწესრიგება, რაც მძიმედ აწვება მათ ფინანსურ მდგომარეობას.

გორში, კომბინატის (ყოფილი ნარკოლოგიურის) შენობაში მცხოვრები დევნილების ცნობით, სველი წერტილები საერთო სარგებლობაში აქვთ – ისიც მოუწესრიგებელი და არასაკმარისია; ხშირად რიგში დგომაც კი უწევთ. ამავე დასახლებაში სასმელი წყალი ხელმისაწვდომი მხოლოდ კორპუსის ეზოშია. დასახლებათა ნაწილში საკანალიზაციო სისტემა საერთოდ არ არის.^{*84}

კიდევ ერთ პრობლემას როგორც შიდა, ისე გარე კედლების არასათანადო ხარისხი/სისქე^{*85} წარმოადგენს, რის გამოც, დევნილებს არ აქვთ პირადი სივრცის განცდა:

„თხელი კედლებია და მეზობლის სახლიდან სულ ხმაური შემოდის“^{*86}
 „ხმა გადის ერთი სახლიდან მეორეში“^{*87}
 „თხელი კედლებია, როგორც საერთო დერეფანში გასასვლელი, ასევე გარეთა კედლებიც, გარეთა კედლები ფიცრისაა საერთოდ, თავისუფლად შემოდის ხმა მეზობლებიდან“^{*88}
 „კედლები არის თაბაშირ-მუყაოსი და თხელია, ისმის ხმაური“^{*89}
 „ქარია ხშირად და ბინაში ქარის გამო არის ხმაური“^{*90}
 „ოთახში ხმადაბალი საუბარიც კი ესმის მეზობელს“^{*91}
 „კედლებზე თაროებსაც კი ვერ ვკიდებთ“^{*92}

დევნილები ასევე აღნიშნავენ, რომ თაბაშირ-მუყაოს კედლები მალე გაფუჭდა და გამოსაცვლელია. საგურამოს, ყოფილი პროფტექნიკუმის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა განაცხადეს, რომ ფანჯრები დამზადებულია ერთმაგი მინებით, რაც ვერ აკავებს გარედან შემომავალ ხმაურს და სიცივეს.

რამდენიმე დასახლებაში დასახელდა იატაკის გაუმართავობის პრობლემა. დევნილები საუბრობდნენ, რომ იატაკი აყრილია და სხვადასხვა მწერები შედიან სახლში. ასევე, ერთ-ერთ დასახლებაში დევნილებმა აღნიშნეს, რომ

*84 შავშვების დევნილთა დასახლება.
 *85 კოდას, ხაშურში მდებარე მე-2 ბაგა-ბაღის და საგარეჯოს დევნილთა დასახლებები.
 *86 შაუშიანის დევნილთა დასახლება.
 *87 ბაზალეთის დევნილთა დასახლება.
 *88 შაუშიანის დევნილთა დასახლება.
 *89 ხაშურში N2 ბაგა-ბაღში მდებარე დევნილთა დასახლება.
 *90 სანატორიუმი სურამის დევნილთა დასახლება.
 *91 საგარეჯოს დევნილთა დასახლება.
 *92 ლაგოდეხის დევნილთა დასახლება.

ახალი იატაკი დაგებულია ძველ იატაკზე, რაც მალევე ჩატყდა და შეკეთებას საჭიროებს.^{*93}

ბოგიერთმა დევნილმა მათთვის გადაცემული ფართების სიმცირეზე მიუთითა. წინამძღვრიანთკარში მცხოვრები დევნილების თქმით, ბინები არ აქვთ საკუთრებაში გადაცემული (გარდა ტელევიზიის 1 კორპუსისა), რის გამოც დღემდე ითხოვენ საკუთრების უფლების მინიჭებას. ამასთან, ბინების ფართობი მცირეა, ძირითადად – 35-45კვ.მ., რაც არასაკმარისია ოჯახებისათვის.^{*94} თბილისში, N149 ბაგა-ბაღში მცხოვრები დევნილები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო მათ საცხოვრებელ ფართებს საკუთრებაში არ გადასცემს, ვინაიდან, ოფიციალურად სხვა დასახლებაში (კოდაში) უკვე გამოუყო საცხოვრებელი ფართები. თუმცა, აღნიშნული ფართები იმდენად მცირეა, რომ კოდაში ოჯახის მხოლოდ რამდენიმე წევრმა შეძლო გადასვლა, დანარჩენებს კი კვლავ საბავშვო ბაღში უწევთ ცხოვრება.

ასევე პრობლემად დასახელდა შესანახი სათავსოების (სარდაფების) არარსებობა:

„ისედაც პატარა სახლი გვაქვს, ჩვენ ძლივს ვეტევიტ და არანაირი ფართი არ გვაქვს, რამე ნივთების შესანახად“^{*95}
 „წვალებით მოყვანილ მოსავალს ვერ ვინახავთ, ჩვენ ძლივს ვეტევიტ სახლში“^{*96}.
 „მინას ვერ ვამუშავებ და მოსავალიც ვერ მომყავს, რაც მომყავს ადგილი არ მაქვს სად დავაბინავო“^{*97}
 „ზამთარში ჩვენი სახლი სათავსო გეგონება, მოსავალი რასაც ვიღებთ სანოლის ქვეშ ვკიდვას, ერთ ოთახს ვცლით რომ მოსავალი დავაბინაოთ“^{*98}

ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში ასევე განაცხადეს, რომ საერთაშორისო ფონდების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით დევნილთა მხოლოდ ნაწილმა შეძლო სათავსოების გაკეთება. დევნილებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ასევე, კოტეჯების გარშემო შემოუღობავ ეზოებთან დაკავშირებითაც.^{*99}

კორპუსის ტიპის დასახლებებში პრობლემად გამოიკვეთა დერეფნებისა და სადარბაზოების მოუწესრიგებლობა და ლიფტების გაუმართავობა.^{*100} მაგ. ბაზალეთის დასახლებაში მცხოვრები დევნილები აღნიშნავენ, რომ მათ

*93 სურამის პროფტექნიკუმის დევნილთა დასახლება.
 *94 წინამძღვრიანთკარისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.
 *95 გარდაბანის დევნილთა დასახლება.
 *96 ხურვალეთის დევნილთა დასახლება.
 *97 ხურვალეთის დევნილთა დასახლება.
 *98 ხურვალეთის დევნილთა დასახლება.
 *99 წეროვანის, კარალეთის, ხურვალეთის, თელიანის, მეტეხის, საქაშეთის და მოხისის დევნილთა დასახლებები.
 *100 კოდას დევნილთა დასახლება.

კორპუსში ლიფტი რამდენიმე თვის წინ გააკეთეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლიფტი ნორმალურად არ ფუნქციონირებს და არის გაუმართავი. „ლიფტი გაგვიკეთეს, მაგრამ ძალიან უხარისხოდ, საშიშია მისი გამოყენება“^{*101} - აღნიშნა ერთ-ერთმა დევნილმა. ლაგოდების დევნილთა დასახლებაში სადარბაზოებსა და დერეფნებში დაზიანებულია ბეტონის იატაკი.

ხაშურში, ბორჯომის ქ. N50-სა და ბაზალეთის დასახლებებში მცხოვრებმა დევნილებმა აღნიშნეს, რომ კორპუსს არ აქვს აივნები. ასევე, ხაშურში, ბორჯომის ქ. N50-ში მცხოვრები დევნილების განმარტებით, კორპუსს არ გააჩნია სანვითარები ღარები წვიმის წყლის გადინებისთვის.

გარდაბნის დასახლებაში რამდენიმე ოჯახმა განაცხადა, რომ ისინი ყოფილ საპირფარეოში შეასახლეს:


*„ჩვენ შეგვიყვანეს კორპუსის საპირფარეოს ფართში, სადაც ბუნკერის ადგილიც არის გამოყოფილი, საშინელი სივინროვია და სიბინძურეა, კედლებს მოყვება ლოკოკინები, ხვლიკები, ჭიაყელები“.^{*102}*

აღნიშნული პრობლემების გამო დევნილები ოთახში მუდმივად არსებულ უსიამოვნო სუნზე და ამით გამოწვეულ ჯანმრთელობის პრობლემებზე საუბრობენ.

3.4.2 კომუნალური სერვისების ნაკლებობა/არარსებობა

გამოკითხულ დევნილთა უმრავლესობამ (59% - 1420 დევნილი) პრობლემად კომუნალური სერვისების არარსებობა ან სათანადო ხელმისაწვდომობის ნაკლებობა დაასახელა. განსაკუთრებით მწვავეა ბუნებრივი აირის გადასახადი და გამართული წყალმომარაგების სისტემის არარსებობა.

კომუნალური სერვისების ნაკლებობა/არარსებობა



^{*101} ბაზალეთის დევნილთა დასახლება.

^{*102} გარდაბნის დევნილთა დასახლება.

3.4.2.1 ბუნებრივი აირი

დევნილთა დასახლების უმეტესობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა,^{*103} გაზიფიცირებულია, შესაბამისად, დევნილები უზრუნველყოფილი არიან ბუნებრივი აირით.

გაზიფიცირებულ დასახლებებში გამოკითხული დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბუნებრივი აირის გადასახადისა და მიწოდებული აირის დაბალი წნევის გამო. კერძოდ, დევნილთა განმარტებით, 2008-2009 წლებში დასახლებებში^{*104} დასახლების შემდეგ სახელმწიფომ ისინი მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადასახადისგან გაათავისუფლა.

*„ასე დაგვირდნენ, როცა სახლში დაბრუნდებით, იქ გადაიხადეთ“^{*105}*

შესაბამისად, დევნილები რამდენიმე წლის განმავლობაში არ იხდიდნენ ბუნებრივი აირის საფასურს. თუმცა, 2013 წლის მარტის პერიოდში მათ ერთიანად დაერიცხათ 2008-2012 წლებში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური. დაკისრებული თანხის ოდენობა თითოეულ ოჯახთან მიმართებით 500 ლარიდან 4000 ლარამდე მერყეობს. დარიცხული დავალიანების დაფარვა დევნილებს გადანაწილებული აქვთ ყოველ თვეზე, 15 ლარის ოდენობით. დევნილთა უმეტესობა დღემდე იხდის დავალიანებას იმ თვის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულებასთან ერთად. დევნილთა განმარტებით, გადანაწილებული 15 ლარი არ ფიქსირდება აბონენტისთვის მიწოდებულ ქვითარზე. დარიცხული საფასურის, მათ შორის ე.წ. ძველი დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, გაზგამანაწილებელი კომპანია მათ ბუნებრივი გაზის მიწოდებას უწყვეტს.

ბუნებრივი აირის მიწოდებულმა კომპანიებმა (სს „საქორგაზი“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“) წერილებით^{*106} დაადასტურეს ის ფაქტი, რომ 2008-2012 წლებში დევნილები არ იხდიდნენ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს. აღნიშნული ფაქტი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულებითაც დადასტურდა, რომლის თანახმად, 2008 წლის 6 აგვისტოდან 2013 წლის 1 მარტის მდგომარეობით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანება შეადგენდა 819

^{*103} მეტეხის დევნილთა დასახლება და საქაშეთის დევნილთა დასახლების ნაწილი.

^{*104} კოდას, ბაზალეთის, გარდაბნის, თელავის, ვერხვების, შავშვების, ხაშურის N2 საბავშვო ბაღის, ხაშურის პროფტექნიკუმის, შაუმიანის, წეროვანის, ხაშურში, ბორჯომის N50-ში მდებარე დევნილთა დასახლებები.

^{*105} კოდას დევნილთა დასახლება.

^{*106} სს „საქორგაზის“ 2018 წლის 23 ოქტომბრის და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ 2018 წლის 26 ოქტომბრის წერილები.

737 ლარს.^{*107} განკარგულების მიხედვით, ამ დავალიანების დასაფარად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 540 000 ლარი. ამავდროულად განკარგულებაში მითითებული იყო, რომ ბუნებრივი აირის მიმწოდებელ კომპანიებს ანგარიშებზე ჯამურად ერიცხებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ბუნებრივი აირის ღირებულების ასანაზღაურებლად გადარიცხული თანხებიდან, ეკონომია 277 004 ლარის ოდენობით.^{*108} მსგავსი ეკონომიის მოცულობის არსებობა ასევე, დაადასტურა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 2019 წლის 6 თებერვლის წერილით.^{*109}

გაზის მიმწოდებელი კომპანიების განმარტებით, დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობა და გადასახდელი თანხის დათვლა და დარიცხვა ინდივიდუალური მრიცხველის მონაცემების საფუძველზე მოხდა. დამატებით, კომპანიებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მოხმარებული გაზის დავალიანების ნაწილობრივი დაფარვის მიზნით, 2013 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებული ვალი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულებით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაიფარა. ხოლო დევნილთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დარჩენილი დავალიანება გადანაწილდა ყოველთვიურად 15 ლარის ოდენობით თითოეულ აბონენტზე. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მთავრობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა და ასევე, 2013 წლის 1 მარტის მდგომარეობით არსებული ეკონომიის მოცულობა სრულად ფარავდა ამავე პერიოდისთვის დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანებას, გაურკვეველია, რა დავალიანების დასაფარად უწევთ დევნილებს ყოველთვიურად 15 ლარის გადახდა. აღნიშნული საკითხის გასარკვევად 2019 წლის 20 თებერვალს საიამ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა.^{*110} 2019 წლის 23 აპრილს სააგენტომ შპს „სოკარ ჯორჯია გაზიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულებით, დევნილთა მიერ 2008-2012 წლებში მოხმარებული ბუნებრივი აირი სრულად დაიფარა და ამჟამად, დევნილები მხოლოდ 2013 წლის 1 მარტის შემდგომ ბუნებრივი აირის მოხმარების შედეგად დაგროვილ დავალიანებას იხდიან.^{*111} უნდა აღინიშნოს, რომ გაზის მიმწოდებელი კომპანიის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდებული აღნიშნული პასუხი გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის საიასთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან, რომელშიც კომპანია განმარტავს, რომ 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულებით, დავალიანების დაფარვა

*107 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულება.

*108 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის N307 განკარგულება.

*109 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 29 იანვრის წერილი, N01/1375.

*110 საიას 2019 წლის 20 აგვისტოს წერილი, გ-01/26-19.

*111 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 23 აპრილის წერილი, N04/22035.

მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა.

სს „საქორგაზის“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ წერილებით ასევე, ირკვევა, რომ დევნილი მოსახლეობის დახმარების მიზნით, პერიოდულად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხდება თანხის გამოყოფა დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის თანხის დაფარვის მიზნით. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, 2014 წლის ნოემბერსა და დეკემბერში და 2015 წლის იანვარსა და თებერვალში დევნილთა 5815 ოჯახის^{*112} მიერ ბუნებრივი აირის ან ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან მიმართა 581 500 ლარი საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონისა და იგივე ოდენობის თანხა საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონიდან.^{*113} შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც 2014 და 2015 წლებში სამინისტრომ მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან ჯამში 1 163 000 ლარი მიმართა დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის დავალიანებისა და მიმდინარე ღირებულების ანაზღაურებისთვის, კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რა თანხის გადახდა უწევთ დევნილებს.

2015 წლის თებერვლის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სამინისტროებისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან დევნილთა მიერ განეული ხარჯების დასაფარად დაფინანსების გამოყოფის თაობაზე, საიას მოთხოვნის მიუხედავად ინფორმაცია საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ მოუწოდებია.

ზოგიერთი დევნილი^{*114} აღნიშნავდა, რომ ბუნებრივი აირი დაბალი წნევით მიეწოდებოდა, რის გამოც ზამთარში სახლის გათბობა შეუძლებელია.

*„ზამთარში ვერ ვახერხებთ გათბობას, გაზის წნევა საკმაოდ დაბალია და გამათბობელიც თითქმის ამორტიზებულია“^{*115}*

*„ჩაცმულ-დახურულები ვსხედვართ გაზის გამათბობელთან, არ გვათბობს, გადასახადი კი მოგვდის ძვირი“^{*116}*

*112 დევნილთა საკუთრებაში ან მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებში მცხოვრები 5815 ოჯახი.

*113 საიას 2018 წლის 25 ოქტომბრის წერილი Nგ-04/260-18; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბერის N2149 განკარგულება, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2018 წლის 7 ნოემბრის წერილი.

*114 წეროვანის, ბაზალეთის, გარდაბანის და კოდას დევნილთა დასახლებები

*115 გარდაბანის დევნილთა დასახლება

*116 კარალეთის დევნილთა დასახლება;

დევნილთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი აირის საფასური საკმაოდ ძვირია,^{*117} მათ, როგორც დევნილებს, არანაირი შეღავათი არ აქვთ. გამოკითხულ დევნილთა ნაწილს შეწყვეტილი აქვს ბუნებრივი აირის მიწოდება, რადგან შესაბამისი ფინანსური სახსრების არარსებობის გამო ვერ ახერხებენ გაზის ღირებულების გადახდას. დევნილთა განმარტებით, მათ მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირის საფასურზე შეღავათის დაწესება ან/და სახელმწიფოსგან სუბსიდირების მიღება.

გამოკითხვის შედეგად ასევე, გაირკვა, რომ მეტეხის დევნილთა დასახლება და საქაშეთის დასახლების ნაწილი დღემდე არ არის გაზიფიცირებული. ბუნებრივი აირის მიღები მეტეხის დასახლებამდე მიყვანილია, მაგრამ უშუალოდ კოტეჯებში არ არის შეყვანილი. დევნილთა განცხადებით კი, მათ არ აქვთ საშუალება, თითოეულ კოტეჯში ინდივიდუალურად, საკუთარი ხარჯებით შეიყვანონ აირი. რაც შეეხება საქაშეთის დევნილთა დასახლებას, აირი მხოლოდ 5 კოტეჯში არ არის შეყვანილი. ხუთივე ოჯახი პატარა ლიახვის ხეობიდან არის.

*„ამ დასახლებაში ძირითადად ავნიველები ცხოვრობთ და ყველას დავინყებელი ყვავართ, არავის ვახსოვართ და ჩვენი პატრონი არავინაა“,*118*

*„ჩვენ პატარა ლიახვის ხეობა ვართ და დაჩაგრულები ვართ. ჩვენ დასახლებაში დიდი ლიახვის ხეობის ხალხს დიდი ლიახვის მუნიციპალიტეტმა უპატრონა, ჩვენ კი ძალად არავინ გვაგდებს!“*119*

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ საიას აცნობა, რომ საქაშეთის დევნილთა დასახლებაში გაზიფიცირებულია ყველა კოტეჯი გარდა 6 კოტეჯისა, რომელთაც მიერთების მოთხოვნით კომპანიისთვის არ მიუმართავთ.

3.4.2.2 სასმელი წყალი

დევნილებისთვის დღეის მდგომარეობით ერთ-ერთ მწვავე პრობლემას სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, აღნიშნული პრობლემად გამოკითხულთა უმრავლესობამ (1 251 დევნილი) მიუთითა.

დევნილთა განმარტებით, წყლის მიწოდების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ზაფხულში^{*120} დგას, რადგან სარწყავი წყლის არარსებობის გამო, ზაფხულობით მოსახლეობა სარწყავად სასმელ წყალს იყენებს, რაც სასმელი

წყლის შემლუდულად მიწოდებას იწვევს. ვერხვების დასახლების დევნილთა ცნობით, ზაფხულში ზოგიერთ უბანს წყალი საერთოდ არ მიეწოდება. წილკანის დასახლებაში მცხოვრები ერთ-ერთი დევნილის თქმით, „ზაფხულის თვეებში წყალი წვეთ-წვეთად მოედინება ონკანში“.^{*121} ხოლო გორში, კომბინატის (ყოფილი ნარკოლოგიურის) შენობაში მცხოვრები დევნილებისთვის სასმელი წყალი ხელმისაწვდომი მხოლოდ კორპუსის ეზოშია.

დასახლებების უმრავლესობაში დევნილებს სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდება. წყლის გრაფიკი განსხვავდება დასახლებების მიხედვით, ზოგიერთი დასახლება^{*122} წყალს დღის განმავლობაში ორჯერ იღებს რამდენიმე საათით, ხოლო, მაგალითად, კოდას დასახლების დევნილებს წყალი დღეში 4-ჯერ მიეწოდებათ თითო საათით. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც სასმელი წყალი დადგენილი გრაფიკითაც არ მოდის.^{*123} პრობლემურია მიწოდებული წყლის წნევა. დაბალი წნევის გამო წყალი ხშირად ვერ აღწევს ზედა სართულებამდე.^{*124}

წილკანის დასახლებაში მცხოვრები დევნილების განმარტებით, გაეროს ბავშვთა ფონდის „UNICEF“-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მათ დასახლებაში 2 ჭა აშენდა, საიდანაც ძრავა წყალს ტუმბავდა და მაცხოვრებლებს სახლებში ინდივიდუალურად მიეწოდებოდა. თავდაპირველად წყალი სავსებით საკმარისი იყო სოფლისათვის; თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ერთი ჭის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და დღეს დასახლებაში მხოლოდ 1 ჭა ფუნქციონირებს, რის გამოც მოსახლეობას წყალი კვლავ არ ყოფნის. წილკანის დევნილთა მოსახლეობამ რამდენჯერმე მიმართა ადგილობრივ გამგეობას, თუმცა, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

ვერხვების დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა ნაწილის განცხადებით, კოტეჯებში ინდივიდუალურად დამონტაჟებულია მრიცხველები და ყოველთვიური გადასახადის დაანგარიშება მრიცხველის მიხედვით ხდება. თუმცა, ეს მათთვის დიდ ფინანსურ ხარჯთან არის დაკავშირებული, რის გამოც, მათი განმარტებით, უმჯობესი იქნება სულადობრივი გადასახადის გადახდა.

თითქმის ყველა დასახლებაში^{*125} ძალზე მწვავედ დგას წყლის ხარისხის საკით-

^{*121} წილკანის დევნილთა დასახლება.
^{*122} ბაზალეთის, გარდაბანის, შაუმიანის, მოხისის, კარალეთის, ხურვალეთის, საქაშეთის, მეტეხის, თელიანის, წინამძღვრიანთკარის, თელავის (3 საათით დილის საათებში), სკრის, შავშვების (მხოლოდ ერთი საათი დილით და საღამოს), საგარეჯოსა და ლაგოდეხის დევნილთა დასახლებები.
^{*123} წეროვანის, კოდას, ბაზალეთის, ხაშურში მდებარე N2 საბავშვო ბაღის, გარდაბანის, ხაშურში მდებარე პროფტექნიკუმის და სანატორიუმ სურამში მდებარე დევნილთა დასახლებები.
^{*124} კოდას, ბაზალეთის და წეროვანის დევნილთა დასახლებები.
^{*125} კოდას, ბაზალეთის, გარდაბანის, შაუმიანის, მოხისის, კარალეთის, ხურვალეთის, საქაშეთის, მეტეხის, თელიანის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, შავშვების, ფრემეთის, სანატორიუმ სურამსა და ხაშურში, ბორჯომის ქ. 50-ში მდებარე დევნილთა დასახლებები.

ხი, რომელიც, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, არ არის უსაფრთხო ჯანმრთელობისთვის.

„რას ვსვამთ ღმერთმა იცის, ან როგორ ვართ ცოცხლები?“^{*126},
 „გვეშინია, ბავშვები არ მოგვენამლონ და იძულებულები ვართ სასმელი წყალი ვიყიდოთ“^{*127}.
 „შავი წყალი მოდის, წინიბურასაც ვერ მოხარშავ! ორჯერ, სამჯერ ვადულებთ წყალს და ისე ვუკეთებთ ბავშვებს საჭმელს“^{*128}

დევნილთა განმარტებით, სასმელი წყალი არის მარილიანი, კირიანი, მოყვება ქვიშა, ჟანგი, ჭიები, იკეთებს თეთრ ნადებს, ასევე, აქვს სპეციფიკური სუნი. მაგალითად, კოდას დევნილთა დასახლების მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ სასმელი წყლის დაბალი ხარისხი ლაბორატორიულმა შემოწმებამ დადასტურა.

„ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ამ წყლით ფეხების დაბანაც არ შეიძლება, ისეთი ცუდი წყალიაო.“^{*129}

მიუხედავად ამისა, დევნილთა უმეტესობა იძულებულია, ეს წყალი მოიხმაროს: „დასაღვეად არ ვარგა, ხან ჟანგი მოსდევს, ხან ნალექი, მაგრამ გვინევს დაღვეა“.^{*130} ფრეზეთის დასახლებაში მცხოვრები ერთ-ერთი დევნილის განმარტებით, მოსახლეობაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმატა კუჭ-ნაწლავის დაავადებებმა, რის შემდეგაც მათ სასმელი წყლის ვარგისიანობა შეამოწმებინეს. ანალიზმა გამოავლინა, რომ წყალი დაბინძურებულია. ამის შემდეგ მართალია ფილტრები დააყენეს და ცისტერნები, რომლითაც ხდება წყლის მიწოდება, განმინდეს, თუმცა, წყლის ხარისხის პრობლემა მაინც არ მოიხსნა.

3.4.2.3 ელექტროენერგია

ზოგიერთ დასახლებას^{*131} ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდება. დევნილთა განმარტებით, ელექტროენერგიის მიწოდება ხშირად იზღუდება და თან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. ეს კი პრობლემას განსაკუთრებით იმ დევნილებს უქმნის, რომელთაც დასახლებებში მცირე ბიზნესი აქვთ და მათთვის

^{*126} კარალეთის დევნილთა დასახლება.
^{*127} ლაგოდეხის დევნილთა დასახლება.
^{*128} მოხისის დევნილთა დასახლება.
^{*129} კოდას დევნილთა დასახლება.
^{*130} გარდაბანის დევნილთა დასახლება.
^{*131} კოდას, ბაზალეთის, გარდაბანის და წეროვანის დევნილთა დასახლებები.


მნიშვნელოვანია დენის უწყვეტად მიწოდება. რამდენიმე დასახლებაში^{*132} მცხოვრები დევნილები აღნიშნავენ, რომ ელექტროენერგიის სადენები დაზიანებულია.

„ელექტრო ენერგიის კაბელები მოძველებულია და ხშირად ჩნდება ხანძარი“^{*133}
 „დენის კაბელები კედლებში არ არის დატანილი, კედლებზე მიმაგრებული, რაც უსაფრთხო არ არის“^{*134}
 „ელექტროენერგია [დენის სადენები] დაზიანებული, ნათურა ყოველ დღე იწვება.“^{*135}

3.4.3 საკომუნიკაციო სერვისების ნაკლებობა/არარსებობა

დევნილთა დასახლებებში ნაკლებად ფიქსირდებოდა პრობლემები საკომუნიკაციო სერვისებთან დაკავშირებით. გამოკითხული დევნილების მხოლოდ 18%-მა დაასახელა (446 დევნილი) აღნიშნული სერვისების ნაკლებობა/არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკომუნიკაციო სერვისების ნაკლებობა/არარსებობა



^{*132} კვერნაკის (ყოფილი სისხლის გადასხმის დანესებულება), გორში ყოფილი საბავშვო ბაღის, შაუმიანის, კოდას, ლაგოდეხისა და საგარეჯოს დევნილთა დასახლებები.
^{*133} შაუმიანის დევნილთა დასახლება.
^{*134} სანატორიუმ სურამის და სურამში, პროფტექნიკუმის დევნილთა დასახლებები.
^{*135} წეროვანის დევნილთა დასახლება.

საკომუნიკაციო სერვისების ნაკლებობის/არარსებობის თვალსაზრისით ძირითადად ინტერნეტის ხელმიწვდომლობა დასახელდა. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური სახსრების არარსებობაა, რის გამოც დევნილები სააბონენტო მომსახურების გადახდას ვერ ახერხებენ.^{*136} ზოგიერთ დასახლებაში საუბრობდნენ იმაზეც, რომ მათ დასახლებაში საერთოდ არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი.^{*137} დევნილთა ნაწილმა საკუთარი ხარჯით მიიყვანა ინტერნეტის ქსელი და კაბელი. თუმცა, მოსახლეობის უმეტესობას ამის ფინანსური საშუალება არ აქვს.^{*138} ზოგან ინტერნეტის შეყვანის სამუშაოები დაიწყო, თუმცა შეჩერდა და არ განახლებულა.^{*139} წეროვანში დევნილებმა აღნიშნეს, რომ ინტერნეტი ახალი აბონენტებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, რადგან კომპანიის განმარტებით, ახალ აბონენტებს სიხშირე აღარ ეყოფათ.

კოდას დასახლებაში დევნილებმა გამოთქვეს პრეტენზია ინტერნეტის ხარისხთან დაკავშირებით: „ინტერნეტი ძალიან ცუდი ხარისხით მოგვწოდება, სისტემატურად ითიშება. ინტერნეტპროვაიდერი არაკეთილსინდისიერად გვემსახურება. ხშირად ფუჭდება და კაბელების გასაკეთებელ თანხას ჩვენ გვართმევს.“^{*140}

ცალკეულ დასახლებებში დასახელდა საკაბელო მაუნყებლობის ხელმიწვდომლობა. კოდას დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა პრობლემად ასევე, დააფიქსირეს სატელევიზიო სიგნალის მიღება: „ტელევიზია ხშირად ითიშება და მთლად ვწყდებით გარესამყაროს.“^{*141}

3.4.4 ტრანსპორტირება და საგზაო ინფრასტრუქტურა


ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ სოციო-ეკონომიკურ პრობლემად დასახელდა თითქმის ყველა დევნილთა დასახლებაში.^{*142} გამოკითხულ დევნილთა 45% მიუთითებს ამ პრობლემაზე.

^{*136} შავშვების, თელავის და საგურამოს (ყოფილი ინტერნეტების შენობა) დევნილთა დასახლებები.
^{*137} შაუმიანის, წინამძღვრიანთკარის და საგურამოს (ყოფილი პროფტექნიკუმის შენობა) დევნილთა დასახლებები.
^{*138} წინამძღვრიანთკარის და საგურამოს (ყოფილი პროფ. ტექნიკუმის შენობა) დევნილთა დასახლებები.
^{*139} წეროვანის დევნილთა დასახლება.
^{*140} კოდას დევნილთა დასახლება.
^{*141} კოდას დევნილთა დასახლება.

^{*142} ტრანსპორტირების პრობლემაზე საუბრისას დევნილები ასახელებდნენ ორი ტიპის ტრანსპორტს: საზოგადოებრივი და კერძო. საზოგადოებრივ ტრანსპორტში დევნილები მოიპოვებდნენ ავტობუსს, ხოლო კერძო ტრანსპორტში - ისეთ სამარშრუტო ტაქსებს, ე.წ. მიკრო ავტობუსებს, რომლებსაც კონკრეტული მიმართულებით მოძრაობის ნებართვა შესაბამისი მუნიციპალიტეტებისგან აქვთ აღებული, თუმცა, სამარშრუტო ტაქსები არის მძღოლის და არა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შესაბამისად, სამარშრუტო ტაქსის გადაადგილებაზე, ტარიფსა და გამართულობაზე პასუხისმგებელია კონკრეტული ტაქსის მესაკუთრე და არა მუნიციპალიტეტი. წინამდებარე ტექსტში საზოგადოებრივ და კერძო ტრანსპორტს შორის არსებული განსხვავებები გადმოცემულია დევნილთა შეხედულებების მიხედვით.

ზოგიერთ დასახლებაში მცხოვრები დევნილები აცხადებენ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო წლებია საზოგადოებრივი ტრანსპორტი მათ დასახლებაში აღარ მოძრაობს.^{*143} მაგალითად, კოდას დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა განმარტებით, 2008-2010 წლებში დასახლებიდან თბილისში, სამგორის მიმართულებით ავტობუსი დადიოდა. შემდეგ, დევნილთა სურვილის მიუხედავად, ეს ხაზი გააუქმეს.^{*144} შესაბამისად, დღეის მდგომარეობით დევნილებისთვის ძირითად გადაადგილების საშუალებას კერძო სამარშრუტო ტაქსები წარმოადგენს.

ტრანსპორტირების ხელმისაწვდომობის პრობლემა



3.4.4.1 ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი

დევნილებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას სატრანსპორტო საშუალების არაფიქსირებული გრაფიკი ან/და მოძრაობის არასაკმარისი განრიგი წარმოადგენს.

გარკვეულ დასახლებებში სატრანსპორტო საშუალებები მხოლოდ დღეში 2-ჯერ ან 3-ჯერ დადის, რაც არასაკმარისია.^{*145}

„კონკრეტულ დროს გადის მარშრუტა, მაგრამ თუ გაგასწრო, მერე ვეღარ ნახვალ დასახლებიდან“^{*146}

სალამოს საათებში და დასვენების დღეებში კი ტრანსპორტი კიდევ უფრო შეზღუდულად მოძრაობს, ან საერთოდ არ მუშაობს^{*147}. აღნიშნული განსაკუთრებით

^{*143} კოდას, ბაზალეთის, სკრის, მოხისის, თელიანის, შავშვების და ხურვალითის დევნილთა დასახლებები.
^{*144} კოდას დევნილთა დასახლება.
^{*145} შავშვების, კოდას, ბაზალეთის, გარდაბანის, ხაშურში, პროფტექნიკუმში, სანატორიუმი სურამსა და ხაშურის N2 საბავშვო-ბაღში მდებარე დევნილთა დასახლებები.
^{*146} ბაზალეთის დევნილთა დასახლება.
^{*147} გარდაბანის, წეროვანის, შაუმიანის, ფრეშეთის და ბაზალეთის დევნილთა დასახლებები.

რაიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარე დასახლებების მაცხოვრებლებს აწუხებს, რადგან მათ საღამოს საათებში, დასახლებამდე ან/და დასახლებიდან ტაქსით უწევთ გადაადგილება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.^{*148}

რამდენიმე დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა განმარტეს, რომ ცენტრალური ტრასიდან მათ დასახლებამდე ტრანსპორტი საერთოდ არ მიდის. მაგალითად, სურამის სანატორიუმში მცხოვრებ დევნილთა განცხადებით, ვინაიდან, საზოგადოებრივი ან კერძო ტრანსპორტი ცენტრალური გზიდან დასახლებამდე არ მიდის, მათ 1 კმ-იანი აღმართის ასვლა ფეხით უწევთ.^{*149}

დევნილები აღნიშნავენ, რომ კერძო სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის განრიგს უშუალოდ მძღოლები ადგენენ, რაც მხოლოდ მათ კომფორტსა და სურვილზეა მორგებული. ამასთან, ხშირ შემთხვევაში მძღოლები მათ მიერვე დადგენილ გრაფიკსაც კი არ იცავენ.

დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა განმარტა, რომ ისინი ხშირად ვერ ახერხებენ თბილისის თუ გორის მიმართულებით გადაადგილებას ტრანსპორტის მცირე რაოდენობის გამო.^{*150} მაგალითად, მეტეხის დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს გორში გასამგზავრებლად 2 ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ და მგზავრობის ღირებულება 5-7 ლარი უჯდებათ.

სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განრიგის გამო დევნილებისთვის, თითქმის შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების, პროდუქტისა თუ სხვადასხვა საოჯახო ნივთების შესაძენად ქალაქში გამგზავრება, ასევე, დასახლებიდან მოშორებით, მაგალითად, თბილისში ან/და რუსთავში დასაქმება.

ამასთან, თითქმის ყველა სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურად გაუმართავი და მოუნესრიგებელია. კერძოდ, დაზიანებულია სავარძლები, სამარშრუტო ტაქსებს ძველი საბურავები აქვს დაყენებული, ანტისანიტარიაა ტრანსპორტში და ა.შ. გარდა ამისა, სატრანსპორტო საშუალებები არ არის ადაპტირებული, რაც სპეციალური საჭიროების მქონე პირებს გადაადგილების პრობლემას უქმნის.^{*151}

3.4.4.2 სამარშრუტო ტაქსების მაღალი ტარიფი

დასახლებების უმეტესობაში დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ტრანსპორტის საფასურთან დაკავშირებით. როგორც წესი, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის საფასური შეადგენს 1,50 ლარს ან 2 ლარს. აღნიშნული დევნილ-

^{*148} თელავის, ბაზალეთის და შაუმიანის დევნილთა დასახლებები.

^{*149} სურამის სანატორიუმის დევნილთა დასახლება.

^{*150} საგურამოში ყოფილი პროფტექნიკუმის და მეტეხის დევნილთა დასახლება.

^{*151} კოდას, ბაზალეთის, გარდაბანის, ხაშურის პროფტექნიკუმის და წეროვანის დევნილთა დასახლებები.

თათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ყოველდღიურად მგზავრობისთვის.^{*152}

3.4.4.3 საგზაო ინფრასტრუქტურა

საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის, მიუწვდომელი ტარიფის და სამარშრუტო ტაქსების სიმწირის გარდა, გამოკითხული დევნილები მიუთითებენ დასახლებებში და დასახლებების შემოგარენში საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემაზეც. მათი თქმით დასახლებამდე მისასვლელი და დასახლების შიდა გზები იმდენად მოუნესრიგებელია, რომ ხელს უშლის როგორც ფეხით გადაადგილებას, ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას.

გარკვეულ დასახლებებში მცხოვრები დევნილების განმარტებით,^{*153} დასახლებამდე მისასვლელი გზის საფარი სრულიად გაფუჭებულია. ბაზალეთის დასახლებაში მცხოვრები დევნილების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს პრობლემა დიდი ხანია აწუხებთ, გზის რეაბილიტაციას არავინ ახდენს.

*„ამ გზაზე ტრანსპორტი მიანდება და ჩვენც ხელი გვეშლება გადაადგილებაში“, „ამის გამო ბოგვერ მარშუტებსაც არ მოვყავართ აქამდე“^{*154}*

გზის საფარის გაუმართავობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს წილკანში მცხოვრები დევნილებისთვისაც, რომელთაც სხვადასხვა მიზნებისთვის წეროვანის დასახლებაში უწევთ სიარული, წეროვანთან დამაკავშირებელი დაახლოებით 3 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი კი იმდენად ამორტიზებულია, რომ ხშირად გზაზე სატრანსპორტო საშუალებები ვერ გადაადგილდება.

კოდას დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა მათთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ცენტრალურ ტრასაზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელის არარსებობა დაასახელეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ინტენსიური მოძრაობაა, არ არსებობს შექნიშანი ან რკინის კონსტრუქციით დამზადებული ხიდი, რომლითაც ფეხით მოსიარულეები ისარგებლებდნენ. იგივე პრობლემა აქვს წილკანსა და კარალეთში მცხოვრებ დევნილებს, სადაც ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, რომლით სარგებლობა მოზარდებსაც უწევთ, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არსებობს. გადასასვლელი ინფრასტრუქტურის არარსებობამ ყველა ამ დასახლებაში ფატალური ავტოკატასტროფები გამოიწვია.

^{*152} წინამძღვრიანთკარის, საგურამოში ყოფილი ინტერნატების შენობის, ფრეზეთის, კოდას, ბაზალეთის, მეტეხის, ხურვალეთის, საქაშეთის, მოხისის, ხაშურის N2 ბაღის, გარდაბანის, ხაშურის პროფტექნიკუმის და სანატორიუმში სურამის დევნილთა დასახლებები.

^{*153} წილკანის, ბაზალეთის, ხაშურის N2 ბაღის, ხაშურში, ბორჯომის ქ. 50-ის, ხაშურის პროფტექნიკუმსა და წეროვანის დევნილთა დასახლებებამდე მისასვლელი გზა.

^{*154} ბაზალეთის დევნილთა დასახლება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა შიდა გზების მოასფალტების საჭიროებაა.^{*155} კორპუსებთან ან კოტეჯებთან მისასვლელ გზაზე ასფალტი ან საერთოდ არ არის დაგებული ან იმდენად მოძველებული და დაზიანებულია, რომ ხელს უშლის როგორც ფეხით გადაადგილებას, ისე ავტომობილების მოძრაობას.

3.4.5 სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა

გამოკითხულ დევნილთა 54% ასახელებს სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას. დასახელებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა: დასახლებებში სამედიცინო ცენტრების და აფთიაქების არარსებობა, ზოგიერთ დასახლებაში უკვე არსებულ სამედიცინო ცენტრებში სამედიცინო პერსონალის სიმწირე, არაფიქსირებული სამუშაო გრაფიკი და არაკვალიფიციურობა; ასევე, სამედიცინო ინვენტარით არასათანადო აღჭურვილობა. დევნილები აგრეთვე მიუთითებენ არაეფექტიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც ყველა საჭირო მომსახურებას ვერ ფარავს და ისინი იძულებულნი არიან საკუთარი რესურსებით მოაგვარონ ჯანმრთელობის პრობლემები.

მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ დევნილები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი, თუ კონკრეტულად რა სახის მომსახურებას მოიცავს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიზნობრივი პაკეტი, შესაბამისად, სრულად ვერ ახერხებენ პაკეტით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისებით სარგებლობას.

3.4.5.1 სამედიცინო ცენტრების და აფთიაქების არარსებობა, არსებული სამედიცინო ცენტრების არასათანადო აღჭურვილობა და სამედიცინო პერსონალის არაკვალიფიციურობა

დევნილებისთვის ყველაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს უმეტეს დასახლებაში^{*156} სამედიცინო ცენტრის არარსებობა. მათი თქმით, მხოლოდ რამდენიმე დასახლებაში არსებობს ადგილობრივი სამედიცინო ცენტრი და ისიც არ არის აღჭურვილი ელემენტარული მედიკამენტებით და სხვა საჭირო სამედიცინო ინვენტარით. ამ მიზეზით, დევნილებს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის წასვლა უწევთ დასახლებასთან ახლოს მდებარე სოფელში ან/და ქალაქში. სკრის დასახლებაში მცხოვრები დევნილების განმარტებით, სამედიცინო ცენტრი მათი დასახლებიდან დაახლოებით 3 კმ-ის მოშორებით

^{*155} წინამძღვრიანთკარის, ფრეხეთის, სკრის, საქაშეთის, შავშვების, მოხისის, კარალეთის, თელიანის, საგურამოში ყოფილი ინტერნატების შენობის, წილკანის, ახალსოფლის, ბერბუკის, კოდას, ბაზალეთის, ხაშურში N2 ბაღის, ხაშურში ბორჯომის ქ. 50-ში, ხაშურის პროფტექნიკუმის დევნილთა დასახლებებამდე და წეროვანის დასახლების ნაწილამდე მისასვლელი გზები.

^{*156} სკრის, მოხისის, თელიანის, შავშვების და ხურვალეთის დევნილთა დასახლებები.

მდებარეობს, შესაბამისად, საჭირო სამედიცინო დახმარების მისაღებად მათ საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევთ.^{*157}

იმ დასახლებებში კი, სადაც არსებობს სამედიცინო ცენტრი, სამედიცინო სერვისის მიღება შეზღუდულად ხდება, რადგან ადგილობრივი ექიმი ე.წ. „სოფლის ექიმი“ მუშაობს მხოლოდ კვირის გარკვეულ დღეებში (2-3 დღე), ზოგიერთ ცენტრში კი მხოლოდ კვირაში ერთი დღე^{*158} და ისიც განსაზღვრულ საათებში:

*„ექიმი კვირაში ერთხელ დადის, უცბად ცუდად რომ გახდეს, ექიმი არ არის, რომ მოგემსახუროს. აფთიაქიც არ არის, დუშეთში უნდა ჩახვიდე ან თბილისში“^{*159}*

შესაბამისად, ამ დასახლებებში მცხოვრებ დევნილებსაც უწევთ თბილისში ან სხვა ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებაში გამგზავრება სათანადო სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

პრობლემას ასევე, წარმოადგენს ადგილზე არსებული სამედიცინო ცენტრების არასათანადო აღჭურვილობა. დევნილები აცხადებენ, რომ სამედიცინო ცენტრები ელემენტარული/პირველადი მედიკამენტებითაც კი არ არის უზრუნველყოფილი:

*„ელემენტარული წნევის წამალიც კი არ აქვთ, ცუდად ყოფნის დროს რომ დაგაღვივინონ“^{*160}*

*„სამედიცინო პუნქტი არის დასახლებაში პირველადი დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ არაფერი აქვთ - არც წყალი, არც წნევის აპარატი, არც იოდი, არც ბამბა, არაფერი, ტყუილუბრალოდ არსებობს“^{*161}*

ზოგიერთ დასახლებაში დევნილების მხრიდან ასევე, გამოითქვა პრეტენზიები ადგილზე მომუშავე ექიმების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.^{*162} დევნილთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ექიმები „სწორ დიაგნოზებს ვერ სვამენ.“^{*163}

ამავდროულად, დევნილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების არაეფექტიან მუშაობაზე მიუთითებენ. რამდენიმე დასახლებაში აღნიშნეს, რომ დროულად არ ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ადგილზე მისვლა:

*„მხოლოდ 1 ბრიგადაა და როცა ის გამოძახებამა სხვაგან, ჩვენთან აგვიანდება მოსვლა“^{*164}*

სამედიცინო ცენტრებთან ერთად, დევნილთა დასახლებებში მწვავე პრობლემას

^{*157} სკრის, მეტეხის, თელიანის, შავშვების, კარალეთის, ხურვალეთის, მოხისის დევნილთა დასახლებები.

^{*158} შავშვების, შაუმიანის და ბაზალეთის დევნილთა დასახლებები.

^{*159} კოდას დევნილთა დასახლება.

^{*160} კოდას დევნილთა დასახლება.

^{*161} ბაზალეთის დევნილთა დასახლება.

^{*162} თელიანის, მეტეხის, ბაზალეთის და სკრის დევნილთა დასახლებები.

^{*163} სურამში პროფტექნიკუმის დევნილთა დასახლება

^{*164} კოდას, წეროვანის და შაუმიანის დევნილთა დასახლებები.

აფთიაქების არარსებობა წარმოადგენს, რის გამოც ელემენტარული მედიკამენტისთვისაც კი დევნილებს ქალაქში ან ახლომდებარე დასახლებაში უწევთ გამგზავრება.^{*165}

3.4.5.2 ლიმიტირებული სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა

გამოკითხული დევნილების თქმით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, მიზნობრივი პაკეტის ფარგლებში მხოლოდ პირველადი სამედიცინო მომსახურების/ოჯახის ექიმის კონსულტაციის მიღება არის შესაძლებელი უფასოდ. მიზნობრივი პაკეტი ასევე, 100%-ით ფარავს კონსულტაციას მხოლოდ რამდენიმე პროფილის ექიმთან^{*166} და განსაზღვრულ კლინიკებში. ხოლო სხვა პროფილის ექიმებთან კონსულტაციის მიღება მიზნობრივი პაკეტით არ ანაზღაურდება. ასევე, დევნილები აღნიშნავენ, რომ საყოველთაო დაზღვევა მათთვის ყველა საჭირო მომსახურებას ვერ ფარავს, მაგალითად, არ ფინანსდება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ზოგიერთი სახის ექოსკოპია, ზოგიერთი კლინიკო-ლაბორატორიული კვლევა და სხვა.^{*167}

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დევნილთა ოჯახები სარგებლობენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ე.წ. „მიზნობრივი პაკეტით“, რომელიც ითვალისწინებს გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ლიმიტის გათვალისწინებით. სამინისტროს განმარტებით, უახლოეს მომავალში რაიმე ცვლილება არსებული მიზნობრივი პაკეტის გაუმჯობესების მხრივ არ არის დაგეგმილი.

^{*165} მოხისის, ახალსოფლის, ბერბუკის, წილკანის, ქარელის პროფესიული ტექნიკუმის, თელიანის, მეტეხის, საქაშეთის, შავშვების, ხურვალეთის, შაუმიანის, კოდას და ბაზალეთის დევნილთა დასახლებები.

^{*166} ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი, ქირურგი.

^{*167} დევნილებს, როგორც ყველა საქართველოს მოქალაქეს კონკრეტულ სპეციალისტთან მისვლა შეუძლიათ ოჯახის/უბნის ექიმის მიმართვის საფუძველზე იმ სამედიცინო ცენტრში რომელშიც დაზღვევები არიან, თუმცა შესაძლებელია, რომ კონკრეტულ სამედიცინო ცენტრს არ ჰყავდეს შესაბამისი სპეციალისტი: მაგ. ვინც დაზღვეულია გორის „ავერსის“ სამედიცინო ცენტრში და მას ესაჭიროება ქირურგის, ან ტრავმატოლოგის კონსულტაცია მომსახურებას ვერ მიიღებს აღნიშნულ სამედიცინო ცენტრში, რადგან კლინიკაში აღნიშნული სპეციალისტები არ მოიძიება. აქედან გამომდინარე, დევნილებს უწევთ მომსახურების მისაღებად სხვა სამედიცინო ცენტრში წასვლა, სადაც მათთვის განკუთვნილი მიზნობრივი პაკეტი სრულად არ ფუნქციონირებს და უწევს თავისი ხარჯებით თანხის გადახდა. მაგ. დევნილების გადმოცემით იმ კლინიკაში სადაც არიან დაზღვევულები არ დაუფინანსდათ გასტროენტეროლოგის კონსულტაცია და გასტროსკოპია მიუხედავად ოჯახის ექიმის მიმართვისა, ასევე ნევროლოგის კონსულტაცია და მის მიერ დანიშნული კვლევები. ასევე არ დაუფინანსდათ სისხლში ჰორმონების განსაზღვრის ანალიზი.

3.4.5.3 მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა

გამოკითხული დევნილებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. იმ მიზეზით, რომ ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები საკმაოდ ძვირია, ხოლო მიზნობრივი პაკეტი ხშირად სრულად არ ფარავს წამლების თანხას ან/და ექიმის მიერ დანიშნული წამალი არ ხვდება დაზღვევის ფარგლებში ასანაზღაურებელ მედიკამენტებში, დევნილებს საკუთარი ხარჯებით უწევთ საჭირო წამლების შეძენა. ამიტომ, დევნილები ვერ ახერხებენ, გაიარონ შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობა ან/და შეიძინონ ელემენტარული მედიკამენტები. ყველაზე რთულ მდგომარეობაში ქრონიკული დაავადებების მქონე დევნილები არიან, რომელთაც მუდმივად უწევთ ხანგრძლივი მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენა. ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ ახერხებენ სრულყოფილი მკურნალობის კურსის ჩატარებას, რაც შემდგომში მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.

*„ექიმი გვინერს დანიშნულებას, მაგრამ წამლებს ვერ ვყიდულობ, ფული არა მაქვს ყველა წამლის საყიდლად“^{*168}*

*„რა აზრი აქვს ექიმთან მისვლას, წამალს მაინც ვერ ვიყიდი, ფული არ გვაქვს“^{*169}*

*„ვერ ვმუშაობთ, შემოსავალი არსაიდან არა გვაქვს, დევნილობის ფული არაფერში არ გვყოფნის და ვერ ვიმკურნალებ!“^{*170}*

*„დევნილის ფულს საჭმელში ძლივს ვკმარობთ. წამლები ძალიან ძვირია და ვერ ვყიდულობთ. წამალი რომ ვიყიდო ბავშვებს მშვიერს ხო არ დავტოვებ?“^{*171}*

*„ოჯახში მართო პენსია და დევნილის დახმარება გვაქვს შემოსავალი. წამლები ისეთი ძვირია, რომ სრულად ვერ ვყიდულობ, თუ სრულყოფილი მკურნალობა არ ჩავიტარე ტყუილად ფული რატომ დავხარჯო?“^{*172}*

აღსანიშნავია, რომ ყველა გამოკითხულ დასახლებაში დევნილები ადასტურებენ, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის კუთხით დევნილის სტატუსიც არ ითვალისწინებს სპეციალურ შეღავათებას.^{*173}

^{*168} საქაშეთის დევნილთა დასახლება.

^{*169} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*170} მეტეხის დევნილთა დასახლება.

^{*171} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*172} საქაშეთის დევნილთა დასახლება.

^{*173} კარალეთის და ხურვალეთის დევნილთა დასახლებები.

3.5. განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელმისაწვდომობის პრობლემა

დასახლებების უმეტესობაში პრობლემური საკითხია სკოლამდელი და ზოგადი განათლება.^{*174} რამდენიმე დასახლებაში ბალები და სკოლები დევნილთა დასახლებებიდან მოშორებით მდებარეობს და ბავშვებს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირთ. საშუალების არსებობის შემთხვევაში, ზოგი ოჯახი სხვა საცხოვრებელ ადგილას გადადის, რომ ბავშვებმა სრულყოფილი სკოლამდელი და ზოგადი განათლება მიიღონ, მათ შორის უწევთ ქირით ცხოვრება თბილისში, ისევე, როგორც სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში.^{*175}

რაც შეეხება პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის არქონა, ან/და ფინანსების არარსებობა წარმოადგენს ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელ გარემოებას.

3.5.1 ადრეული აღზრდა და სკოლამდელი განათლება

დევნილთა დასახლებების ნაწილში არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი და მშობლები იძულებულნი არიან ბავშვები დასახლებებიდან მოშორებით მდებარე საბავშვო ბაღებში ატარონ.^{*176} თუმცა, ტრანსპორტირებისა^{*177} და ფინანსური პრობლემების გამო, მშობლებს ხშირად საერთოდ ვერ დაჰყავთ ბავშვები საბავშვო ბაღებში. შესაბამისად, ბავშვები მოკლებულნი არიან სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობას.^{*178} ზოგჯერ კი სააღმზრდელო დაწესებულებამდე მშობლებს ბავშვები ფეხით მიყავთ, რაც განსაკუთრებულ პრობლემას ზამთრის სიცივეებისას ქმნის. კოდას დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა პრობლემად ასევე, ბაგა-ბაღის არარსებობა დაასახელეს.

^{*174} თელავში, ყოფილი პროფესიული სასწავლებლის და ვერხვების დევნილთა დასახლებები.

^{*175} წინამძღვრიანთკარის და საგურამოში, ყოფილი პროფტექნიკუმის დევნილთა დასახლებები.

^{*176} თელიანის, მეტეხის, საქაშეთის, მოხისის, წინამძღვრიანთკარში ყოფილი ტელევიზიის შენობის, თელავში პროფსასწავლებლის დევნილთა დასახლებები.

^{*177} ზოგიერთ დასახლებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი არ ემთხვევა საბავშვო ბაღების მუშაობის გრაფიკს, რის გამოც მშობლები ვერ იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ბავშვების საბავშვო ბაღებში წაყვანის უზრუნველსაყოფად.

^{*178} მეტეხის, თელიანის, წინამძღვრიანთკარში ყოფილი ტელევიზიის შენობის დევნილთა დასახლებები.

ზოგ დასახლებაში საბავშვო ბალები ფუნქციონირებს, მაგრამ სხვა სახის პრობლემები იჩენს თავს. მაგალითად, წეროვანის დასახლებაში მოქმედი საბავშვო ბაღი გადატვირთულია და ასაკობრივ ჯგუფებში აღსაზრდელთა რაოდენობა დასაშვებ ზღვარს აღემატება. ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში, საბავშვო ბაღისათვის საცხოვრებელ კოტეჯში მხოლოდ ერთი, მცირე ზომის ოთახია გამოყოფილი, რომლის ინფრასტრუქტურა და გარემო არ არის მონესრიგებული და არ შეესაბამება საბავშვო ბაღისათვის საჭირო პირობებს. კოტეჯი ქუჩისგან ღობით არ არის გამოყოფილი. გარდა ამისა, ბაღი მხოლოდ შუადღის 4 საათამდე მუშაობს, რაც ხელს უშლის მშობლებს დასაქმებაში. საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა დასახლებაში დაიწყო, თუმცა, რამდენჯერმე შეჩერდა და ამ დრომდე არ დასრულებულა.

3.5.2 ზოგადი განათლება

დევნილთა დასახლებების ნაწილში არ ფუნქციონირებს სკოლა და მოსწავლეები,^{*179} რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილნი სასკოლო ტრანსპორტით,^{*180} დასახლებებიდან მოშორებით მდებარე საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ფეხით დადიან. ვითარებას ისიც ართულებს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკი არ ემთხვევა სასწავლო დაწესებულებების მუშაობის გრაფიკს ან ზოგჯერ საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ მიდის სკოლამდე. ასეთ შემთხვევებში, სკოლის მოსწავლეები საკმაოდ დიდ მანძილზე ფეხით გადაადგილდებიან.

წეროვანის დასახლებაში სკოლა ფუნქციონირებს, მაგრამ ზოგიერთი დევნილის სახლიდან ისე შორს არის, რომ მოსწავლეებს უჭირთ სკოლაში სიარული, განსაკუთრებით ზამთარში.

დასახლებებიდან სკოლის სიშორე ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთათვის უსაფრთხოების პრობლემასაც ქმნის. მაგალითად, კოდას დასახლების დევნილ მოსწავლეებს 2-3 კმ.-ს მოშორებით, სოფელ კოდაში მდებარე სკოლაში მისასვლელად, საავტომობილო გზის გადაჭრა უწევთ, სადაც არც შუქნიშანია და არც რკინის კონსტრუქციით დამზადებული გადასასვლელი ხიდი. დევნილთა ცნობით, ტრასაზე მოძრავი მანქანა რამდენჯერმე სკოლის მოსწავლეს დაეჯახა გზის გადაჭრისას. ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხის წინაშე დგანან წილკანში მცხოვრები სკოლის მოსწავლეებიც, რადგან მათ წეროვანში მდებარე სკოლაში შემოვლითი გზებით, მათ შორის, ავტომაგისტრალის გავლით უწევთ სიარული.

^{*179} წილკანის, კოდას, შაუმიანის, სანატორიუმი სურამის, ხურვალეთის, თელიანის, მეტეხის, საქაშეთის, მოხისის, შავშვების და ვერხვების დევნილთა დასახლებები.

^{*180} წილკანის, კოდას, შაუმიანის, სანატორიუმი სურამის, ხურვალეთის, თელიანის, მეტეხის, საქაშეთის, მოხისის, შავშვების და ვერხვების დევნილთა დასახლებები.

რიგ შემთხვევებში მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება, თუმცა, გარკვეული შემთხვევებით. კერძოდ, სხვადასხვა ასაკის ბავშვებს სწავლა სხვადასხვა დროს უმთავრდებათ, სასკოლო ტრანსპორტით მოსწავლეთა სახლში დაბრუნება კი მხოლოდ დღეში ერთხელ არის უზრუნველყოფილი,^{*181} ბავშვების დანარჩენი ნაწილი კი სახლში ფეხით ბრუნდება, რაც მოუხერხებელია განსაკუთრებით წვიმაში ან ზამთრის პერიოდში.^{*182} სასკოლო ტრანსპორტის შეზღუდული გრაფიკი წეროვანის სკოლის მოსწავლეებს ხელს უშლის, ჩაერთონ სკოლაში არსებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სახელოვნებო წრეებში, რადგანაც დროის ამ მონაკვეთში მათ ავტობუსი არ ემსახურებათ და წრეების დასრულების შემდგომ სახლში დაბრუნება ფეხით, სასკოლო ტრანსპორტის გარეშე უწევთ.

შაუმიანის დასახლებაში მცხოვრებმა რამდენიმე ოჯახმა განაცხადა, რომ სოფელ შაუმიანის სკოლაში არ არსებობს განათლების მიღების სათანადო პირობები სწავლების დაბალი ხარისხის გამო. ასევე, სკოლაში არ არის წრეები, სადაც მოსწავლეები დამატებითი უნარ-ჩვევების შესწავლა/განვითარებას შეძლებდნენ.

ახალსოფლის დასახლებაში მცხოვრები დევნილების ინფორმაციით, სოფელში არსებული სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია, ამას გარდა, მასში ქვეწარმავლები ბუდობენ, ხოლო ტუალეტებსა და საკლასო ოთახებში ანტისანიტარიაა.

დევნილთა ოჯახებს, რომლებიც ამავდროულად სოციალურად დაუცველთა ბაზაში იყვნენ რეგისტრირებულნი, გასულ წლებში სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემოდა. თუმცა, დევნილთა განმარტებით, მათთვის ეს შეღავათიც გაუქმდა და საკუთარი სახსრებით უწევთ სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა.

3.5.3 უმაღლესი განათლება

დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აბიტურიენტი დევნილი მოსწავლეების სხვადასხვა საგნებში მომზადება უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია ზოგადი განათლების არასათანადო ხარისხთან, რაც არ იძლევა დამატებითი მომზადების გარეშე უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის შესაძლებლობას.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ დევნილ სტუდენტებს, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უჭირთ სწავლის საფასურის გადახდა, რის

*181 სკრის, წინამძღვრიანთკარის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

*182 წინამძღვრიანთკარში ყოფილი ტელევიზიის შენობაში დევნილთა დასახლება.


გამოც ნაწილს შეწყვეტილი აქვთ სტუდენტის სტატუსი.^{*183} დევნილი ოჯახების ნაწილი ითხოვს სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას, სტუდენტი შვილების გადასახადის დასაფარად.^{*184}

დევნილთა ნაწილმა არაფერი იცის დევნილებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო გრანტების მიღების შესაძლებლობის თაობაზე.^{*185}

3.6 დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები

დევნილთა ყველა დასახლებაში მწვავე პრობლემად სამუშაო ადგილების ნაკლებობა დგას. გამოკითხული დევნილების მხოლოდ 13.6%-ია დასაქმებული და 5.6% თვით-დასაქმებული, 77.3% კი უმუშევარია, მათ შორის, 35.2% - დიასახლისია.

ძირითადი საქმიანობა




დევნილთა 47%-თვის ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო სახელმწიფო დახმარებაა. სახელმწიფო დახმარების შემდეგ შემოსავლის ძირითად წყაროს პენსიები (27%) და ხელფასი (23%) წარმოადგენს.

*183 შავშვების დევნილთა დასახლება.

*184 თელავში პროფესიული სასწავლებლის დევნილთა დასახლება.


*185 ფრეზეთის და წინამძღვრიანთკარის დევნილთა დასახლებები.

ოჯახის შემოსავლის წყარო ბოლო 1 წლის განმავლობაში




დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას. მათ შორის, 79.9% იღებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას, 45.6% - პენსიას, 20.1% - საარსებო შემწეობას, ხოლო 17.1% - ვეტერანთა და შშმ პირთა დახმარებას.

სახელმწიფოსგან მიღებული შემწეობის სახე



გამოკითხული დევნილების უმრავლესობის (72%) ყოველთვიური ოჯახის შემოსავალი 300 ლარამდე მერყეობს, მათ შორის ოჯახების 14%-ის შემოსავალი 100 ლარამდეა.

რამდენია თქვენი ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი



უმუშევრობა უარყოფითად აისახება დევნილთა ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. დევნილთა დასახლებების უმრავლესობა რაიონული ცენტრებიდან და ქალაქებიდან მოშორებით მდებარეობს, შესაბამისად, მათთვის ნაკლებია მსგავს დასახლებულ პუნქტებში არსებული დასაქმების შესაძლებლობები. დევნილთა ინფორმაციით, მათი დასახლებების სიახლოვეს არ არსებობს სანარმოები, ქარხნები, ფერმერული მეურნეობები და სხვა სამუშაო ადგილები, სადაც შეძლებდნენ დასაქმებას და შემოსავლის მიღებას.

დასაქმების ხელისშემშლელ მნიშვნელოვან ფაქტორად დევნილებმა მგზავრობის მაღალი საფასური და ტრანსპორტის ცუდი გრაფიკი დაასახელეს. სამუშაო ადგილები ხელმიუწვდომელია ყველა თაობის წარმომადგენლისთვის. ახალგაზრდების დიდი ნაწილი სამსახურის საძებრად სხვა ქალაქებში და საქართველოს ფარგლებს გარეთ არის წასული. მაგალითად, საქაშეთის დევნილთა დასახლებაში, ძირითადად, დარჩენილნი არიან ასაკოვანი მაცხოვრებლები. მსგავსი მდგომარეობაა თელიანის დევნილთა დასახლებაშიც. უმუშევრები არიან სკრაში, თელავში, ფრეზეთში და საგურამოს ყოფილი ინტერნატების შენობაში მცხოვრები და გამოკითხული დევნილების უმეტესობა და მათი ოჯახის წევრები. შაუმიანის დასახლებაში დევნილებმა აღნიშნეს, რომ მათი დასახლება

სრულიად მიტოვებულია და მათთვის შეუძლებელია სამუშაო ადგილის პოვნა. მგზავრობის მაღალი საფასურისა და ტრანსპორტის ცუდი გრაფიკის გამო, დასაქმებულ დევნილთა დიდი ნაწილი სხვა რაიონულ ცენტრში ან ქალაქშია ქირით გადასული (მათ შორის, დევნილთა სხვა კომპაქტურ დასახლებებში, მაგალითად, წეროვანში, სადაც ინფრასტრუქტურა უფრო მეტად არის მონესრიგებული.^{*186}

*„უმუშევრობისგან კაცები სულ გაღიზიანებულები არიან, არ იციან, რა გააკეთონ და ოჯახი როგორ შეინახონ“^{*187}*

*„ახალგაზრდები მიდიან და ტოვებენ საცხოვრებელ სახლებს“^{*188}*

*„დასაქმების მსურველი ბევრია, დასაქმების ადგილი კი არა“^{*189}*

დევნილთა უმეტესობა დევნილობამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავებით ირჩენდა თავს. ამჟამად მათ ნაწილს გადაცემული აქვს მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, რომელიც რიგ შემთხვევებში უვარგისია. სარწყავი სისტემის გაუმართავობის გამო კი ვერ ხერხდება მიწის სრულფასოვანი მოწევა და დამუშავება. რიგ შემთხვევებში დევნილებისათვის საერთოდ არ გადაუციათ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. შესაბამისად, მათთვის შემოსავლის მიღების აღნიშნული გზაც მოჭრილია.

ზოგიერთი დევნილი დასაქმებულია ახლო მდებარე სოფლებში არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებში. თუმცა, აღნიშნული სამუშაო არის არასტაბილური, სეზონური, დღიური, მოკლევადიანი და მძიმე (მტვირთავი, მკრეფავი, დამლაგებელი და სხვა). მიუხედავად მძიმე სამუშაო გრაფიკისა და პირობებისა მათი დღიური ანაზღაურება მხოლოდ 10-დან 20 ლარამდეა.

დევნილთა 63%-ის ინფორმაციით, ისინი არ ფლობენ პროფესიულ და ტექნიკურ უნარებს. თუმცა, გარკვეული ნაწილი საუბრისას აფიქსირებს, რომ გააჩნიათ პროფესია (პედაგოგი, მძღოლი, და სხვა), ასევე გაიარეს პროფესიული გადამზადების კურსები - კულინარიის, სტილისტის, მეფილე-მომპირკეთებლის, მლესავის და სხვა სახელობო პროფილით, მაგრამ სამუშაო ადგილების არარსებობის გამო ვერ საქმდებიან.

გამოკითხული დევნილების 63% გამოთქვამს სურვილს, შეისწავლოს ან/და დამატებით განავითაროს პროფესიული და ტექნიკური უნარები შემდეგი მიმართულებით: ბუღალტერია, ელექტროლობა, საექთნო საქმე, ვიზაჟისტობა, თიხაზე მუშაობა, ინგლისური ენა, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კულინარია, მანქანის მართვა, მასაჟისტობა, მებალეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეო-

^{*186} წინამძღვრიანთკარის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

^{*187} ხურვალეთის დევნილთა დასახლება.

^{*188} მეტეხის დევნილთა დასახლება.

^{*189} კოდას დევნილთა დასახლება.

ბა, მენეჯმენტი, მეფუტკრეობა, მეყვავილეობა, საკონდიტრო საქმე, სასათბურე საქმე, სამშენებლო უნარ-ჩვევები, სანტექნიკა, სტილისტის უნარები, ფოტოგრაფია, ქარგვა, ქსოვა, ცხობა, ჭრა-კერვა, ხატვა და სხვ.

3.7 სხვა პრობლემები, რომელსაც უარყოფითად მოქმედებს დევნილთა დასახლებაში მცხოვრებთა სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების არქონა, მცირემიწიანობა, მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის სირთულე და მიწის მაღალი გადასახადი დასახელდა ძირითად პრობლემებად გამოკითხულ დევნილთა დასახლებათა უმეტესობაში.

რიგ დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საერთოდ არ აქვთ გადაცემული დევნილებს^{*190} სახელმწიფოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, დევნილთა ნაწილს თვითნებურად აქვს დაკავებული მათი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე მიწები და ამუშავებს.^{*191} ამ დასახლებათა ნაწილში^{*192} მცხოვრებმა დევნილებმა აღნიშნეს, რომ ასეთი მიწების საკუთრებაში რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართეს სახელმწიფოს, თუმცა, უარი მიიღეს. დასახლებათა ნაწილში კი სახლების მიმდებარე მიწის ნაკვეთები საკუთრებაში აქვთ გადაცემული (დაახლოებით 1500-2000 კვ.მ), თუმცა, სასოფლო-სამეურნეო მიწები არ გააჩნიათ.^{*193} დევნილთა ნაწილი უკმაყოფილოა, რომ მიწები სარგებლობაში გადაეცათ და არა საკუთრებაში.^{*194} რიგ შემთხვევაში, დევნილთათვის გადაცემული მიწები დასახლებებიდან

^{*190} წილკანის, გორში ყოფილი მუსიკალური სასწავლებლის, გორში ე.წ. კომბინატის, ქარელში ელექტრო-ტექნიკუმის შენობის, კვერნაკის, კოდას, შაუმიანის, ხაშურში პროფტექნიკუმის, ხაშურში N2 საბავშვო ბაღის და ბაზალეთის დევნილთა დასახლებები.

^{*191} საგურამოში ყოფილი ინტერნატების, კოდას, ხაშურში N2 საბავშვო-ბაღის, ხაშურში პროფტექნიკუმის, სურამში სანატორიუმის და შაუმიანის დევნილთა დასახლებები.

^{*192} კოდას, შაუმიანის, ხაშურის პროფტექნიკუმის, ხაშურში N2 საბავშვო ბაღის, ბაზალეთის და სურამში სანატორიუმის დევნილთა დასახლებები.

^{*193} წინამძღვრიანთკარის და ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

^{*194} საგურამოს ყოფილი პროფტექნიკუმის და ახალსოფლის დევნილთა დასახლებები.

ძალიან შორს მდებარეობს და მათი დამუშავება უძნელდებათ გადაადგილების სირთულის/ტრანსპორტის ან სარწყავი სისტემის არარსებობის გამო.^{*195} მაგ. კოდას დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს ნაკვეთები დასახლებიდან დაახლოებით 5-9 კმ-ის მოშორებით გადაეცათ, გარდაბანში მცხოვრებთა ნაწილს კი დაახლოებით 4-5 კმ-ის მოშორებით.

მთელ რიგ დასახლებებში არ არის გაყვანილი მიწის სარწყავი სისტემა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დამუშავება და მოსავლის აღება.^{*196}

სასოფლო-სამეურნეო მიწების უვარგისობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას მოხისსა და ბერბუკში მცხოვრები დევნილები. მოხისში გამოკითხულები აცხადებდნენ, რომ მათთვის გადაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწა ქვა-ლორლიანია, რის გამოც მოსავალი ვერ მოჰყავთ და მიწა ფაქტობრივად გამოუსადეგარია. კოდასა და შაუმიანის დასახლებაში მცხოვრები დევნილები აღნიშნავდნენ, რომ მათ ზუსტად არც იციან მათი ნაკვეთების ადგილმდებარეობა. ასევე, მათთვის უცნობია ნაკვეთების ზუსტი საზღვრები, რადგან მიწის ნაკვეთები არ არის შემოსაზღვრული.

დევნილთა ნაწილის განცხადებით, თითოეულ ოჯახს ყოველწლიურად ერიცხება საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთების საკუთრების გადასახადი – დაახლოებით 46 ლარის ოდენობით, რასაც ვერ იხდიან უფულობის გამო. შედეგად, ბევრი დევნილის ანგარიშს ადევს ყადაღა. ადგილობრივ მოსახლეობას ამ გადასახადის ლეგიტიმურობაზე სურს დავა.^{*197} მითუმეტეს, რომ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (არ იციან, სად მდებარეობს, არ არის სარწყავი სისტემა, მოუსავლიანი მიწაა და სხვ.), მიწებს ვერ ამუშავებენ და ვერანაირ სარგებელს ვერ იღებენ.^{*198} ხურვალეთის დასახლებაში მცხოვრებმა დევნილებმა განაცხადეს, რომ საკუთრებაში გადაეცათ მიწის ნაკვეთები, თუმცა, რამდენიმე წლის მიწის გადასახადი, 400 ლარის ოდენობით, ერთიანად დაეკისრათ, რისი გადახდაც არ შეუძლიათ.^{*199} გაფრთხილებაც მიიღეს სახელმწიფოს შემოსავლების სამსახურიდან, რომ თუ გადასახადს დროულად არ დაფარავდნენ, სახელმწიფო გარკვეულ ზომებს მიმართავდა. მათივე განცხადებით, ეკონომიკური მდგომარეობის გამო არაერთმა დევნილმა გაყიდა მიწის ნაკვეთი.

^{*195} შავშვების დევნილთა დასახლება; კარალეთში მცხოვრები დევნილებისათვის ხეხილიანი ბაღების საკუთრებაში გადაცემის მიუხედავად, მათ მოვლას ვერ ახერხებენ, ბაღებთან მისასვლელი გზის და სხვა ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო; დასამუშავებლად ვერ იყენებენ ტექნიკას და სხვ.

^{*196} წილკანის, წეროვანის, კოდას, გარდაბანის და შაუმიანის დევნილთა დასახლებები.

^{*197} სკრის და კოდას დევნილთა დასახლებები.

^{*198} კოდას, შაუმიანის და გარდაბანის დევნილთა დასახლებები

^{*199} იგივე პრობლემა დაფიქსირდა კოდაში მცხოვრები დევნილების მხრიდან

დევნილთა ნაწილისათვის, არასაკმარისი ფინანსების გამო, პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაციისათვის გადასახდელი თანხა; ზოგიერთ შემთხვევაში, რამდენიმე მცირე ზომის, ერთმანეთისგან მოშორებით მდებარე მიწის ნაკვეთი აქვს დევნილ ოჯახს გადაცემული საკუთრებაში, რომელთა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის თითოეულ ნაკვეთზე გადასახდელია 60 ლარი. როგორც წესი, ამ თანხების მობილიზებას დევნილები ვერ ახერხებენ.^{*200}

ფრეზეთის და სკრის დასახლებებში მაცხოვრებლებს არ მიუწვდებოდათ ხელი საძოვრებზე, რის გამოც საქონლის ყოლას/გამოკვებას ვერ ახერხებენ. დევნილთა განცხადებით, ადგილობრივი სოფლის მოსახლეობა უშლით მათ საერთო საძოვრებზე პირუტყვის გარეკვას, რის გამოც კონფლიქტი უკვე არაერთხელ მოუხდათ - მათივე განცხადებით დევნილებს „ჩამოთრეულებს“ უწოდებდნენ. ამ მდგომარეობის გამო არაერთმა დევნილმა გაყიდა პირუტყვი და შესაბამისად, დაკარგა შემოსავლის წყარო. საგარეჯოში დასახლებულ დევნილებს სახელმწიფომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებად ადგილობრივ მაცხოვრებელთა საძოვრები გადასცა, რასაც დევნილებსა და ადგილობრივებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. ვინაიდან, ხელისუფლებას პრობლემის მოგვარებაზე არ უზრუნია, დევნილ მოსახლეობას ამ მიწების ფაქტობრივი დათმობა მოუწია.

ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელთა შემოსავლის ძირითადი წყარო, ტრადიციულად სოფლის მეურნეობა და მესაქონლეობა იყო. ამიტომ, მცირემიწიანობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა დევნილი ოჯახებისათვის. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებით და საძოვრებით უზრუნველყოფაა.^{*201} დევნილთა ნაწილმა ასევე განაცხადა, რომ ფინანსური სახსრების ან პირუტყვის სადგომის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ შინაური პირუტყვის შექცენას.

^{*200} სკრის დევნილთა დასახლება

^{*201} წინამძღვრიანთკარის, შავშვების და ფრეზეთის დევნილთა დასახლებები.

3.8 დევნილთა დასახლებების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო საკითხები

3.8.1 ეზოები, საბავშვო და სპორტული მოედნები

დასახლებების ეზოების, საბავშვო^{*202} და სპორტული მოედნების და რეკრეაციული ზონების^{*203} მოწყობა/მოპირკეთება დევნილთა ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს^{*204} ზოგიერთ დასახლებაში მართალია, არის გასართობი სკვერი, მაგრამ არსებული ატრაქციონების დიდი ნაწილი გაუმართავი, ამორტიზებული და საფრთხის შემცველია. მაგალითად, შაუმიანში მცხოვრები დევნილების თქმით, საბავშვო მოედანი ქვეწარმავლებითაა სავსე და ბავშვებისთვის არ არის უსაფრთხო იქ თამაში. კარალეთის დასახლების გასართობ სკვერში ატრაქციონების დიდი ნაწილი გაუმართავია, არ არის ბალახის ხელოვნური საფარი და საფრთხის შემცველია.

*„სკვერი კი გააკეთეს, მაგრამ დასახლების დასაწყისი და ბოლო ქუჩებიდან ბავშვებს სათამაშოდ ვერ ვუშვებთ, პირდაპირ სამანქანო ტრასის პირასაა.“^{*205}*

ფრეზეთის დასახლებაში მაცხოვრებელთა განმარტებით, ეზოები არ არის კარგად შემოღობილი,^{*206} მათ შორის არც ქუჩის მხრიდან, ხოლო მეზობლების ეზოები ხშირად საერთოდ არ არის იზოლირებული.^{*207}

3.8.2 ინფრასტრუქტურა

დასახლების ნაწილში მოსაწესრიგებელია სანიაღვრე სისტემა.^{*208} სკრის დასახ-

^{*202} წეროვანის დასახლებაში, რომელიც ყველაზე დიდი დევნილთა დასახლებაა, მართალია ერთი საბავშვო მოედანი არის მოწყობილი, თუმცა, დასახლების სიდიდის გამო, არ არის ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი, ცალკეულ შემთხვევაში 2-3 კმ-ის გაგლაა საჭირო საბავშვო მოედანთან მისასვლელად.

^{*203} წეროვანის დასახლებაში არ არის სკვერი/რეკრეაციული ზონა, ხის საფარით, სადაც მოსახლეობა ღია ცის ქვეშ დასვენებას შეძლებს

^{*204} წინამძღვრიანთკარის, თელავში ყოფილი პროფესიული სასწავლებლის, საგურამოს ყოფილი პროფტექნიკუმის, საგურამოს ყოფილი ინტერნატების, ფრეზეთის, შავშვების, წეროვანის, კოდას, მოხისის, კარალეთის, ხურვალეთის, საქაშეთის, მეტეხის, თელიანის, საგარეჯოს და ლაგოდეხის დევნილთა დასახლებები.

^{*205} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*206} მოხისის, კარალეთის და თელიანის დევნილთა დასახლებები.

^{*207} ფრეზეთის დევნილთა დასახლება.

^{*208} წეროვანის, მოხისის, კარალეთის, ხურვალეთის, საქაშეთის, მეტეხის, თელიანის, საგარეჯოს და ლაგოდეხის დევნილთა დასახლებები.

ლებაში ნიადაგი მომეტებულად ტენიანია, რაც წვიმის დროს გზებს გაუვალს ხდის. დასახლების შიდა გზებზე წყლის გამწოვი სისტემა მოშლილია და წვიმის დროს წყალი სავალ გზაზე მიედინება. მოსახლეობის მოთხოვნა სანიაღვრე სისტემის გამართვაა.

წეროვანში რამდენიმე ოჯახმა აღნიშნა, რომ დასახლებაში არ არსებობს ტროტუარები, საგზაო ნიშნები, გარე განათებები^{*209} (ნაწილობრივ); არ არის საკმარისი რაოდენობის სანაგვე ურნები;^{*210} არ არის მოწყობილი საზოგადოებრივი საპირფარეო.^{*211} კარალეთის მოსახლეობა ქუჩების დასახელებების შექმნას და სწორ ნუმერაციას ითხოვს, რისი არარსებობაც სასწრაფო დახმარების ან სხვა გადაუდებელი აუცილებლობისას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ადგილობრივებს.

*„ქუჩების დასახელება და სწორი ნუმერაცია საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის“^{*212}*
*„სასწრაფოს ან პატრულს რომ გამოვიძახებთ ვერ გვაგნებენ და გვეძებენ, რასაც დიდი დრო სჭირდება. განსაკუთრებით, თუ ვინმე ცუდად გახდა და სასწრაფო დახმარება სჭირდება, სანამ სასწრაფო მოგვაგნებს ავადმყოფი გადარჩენის მაგივრად უფრო მძიმდება“^{*213}*

კოდას, შაუმიანის, ბაზალეთის, გარდაბნის, ხაშურის N2 ბალის, ხაშურში, სანატორიუმში „სურამის“ და ბორჯომის ქ. 50-ში მდებარე დასახლებები რამდენიმე სართულიანი შენობებია. დევნილთა კორპუსების შესასვლელი არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე შემზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც დევნილებს დამატებით პრობლემას უქმნის. ამის გამო, სპეციალური საჭიროებების მქონე დევნილები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ეზოში გამოსვლას და მთელი დღის გატარება ძირითადად სახლში უწევთ.

საქაშეთის დევნილი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასაფლაოს არ ქონა. გორისა და გორის რაიონის მიმდებარე დასახლებული დევნილებისთვის სასაფლაოს ტერიტორია გამოიყო გორის რაიონის სოფელ ბერბუკში. რადგან სასაფლაო საქაშეთის დევნილთა დასახლებიდან შორს არის, მათ უჭირთ საფლავებზე გასვლა და სასაფლაოს ადგილის გამოყოფას ახლო მდებარე ტერიტორიაზე ითხოვენ.

დევნილთათვის, განსაკუთრებით, კი წეროვანის, კოდასა და შაუმიანის მაცხოვრებელთათვის, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეწარმავლების სიმრავლე: *„ყველა ბუჩქის ქვეშ გველია, მაგრამ პატრონი არ გვყავს, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ზოგიერთთან სახლშიც კი არის გველები. წინა კვირას უკბინა გველმა ერთ კაცს, ძლივს გადარჩა“*

^{*209} საგურამოს ყოფილი ინტერნატების, მოხისის, კარალეთის და თელიანის დევნილთა დასახლებები.

^{*210} წეროვანის დევნილთა დასახლება.

^{*211} წეროვანის დევნილთა დასახლება.

^{*212} კარალეთის დევნილთა დასახლება.

^{*213} კარალეთის დევნილთა დასახლება.

ხოლო კარაღეთის, კოდასა და წეროვანის დასახლებებში მოსახლეობა უპატრონო ძაღლების დიდ რაოდენობას უჩივის, რომელიც ხშირად საშიშია მოსახლეობის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის.

წილკნის დასახლებაში მცხოვრები დევნილების უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოთქვა დასახლების ახლოს მდებარე ქარხნებიდან მომდინარე სუნის გამო. განსაკუთრებით მძაფრია დასახლებასთან ახლოს მდებარე ლუდის ქარხანა „აისიდან“ მომდინარე სუნი.

*„მაფხულში ფანჯრებს ვერ ვაღებთ, ისეთი აუტანელი სუნია“^{*214}*

წეროვანის მცხოვრებლებმა გამოთქვეს სურვილი დასახლებაში გაიხსნას ბაზარი, სადაც შეძლებენ ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ მოყვანილი ჯანსაღი პროდუქტის შექმნას. ადგილზე მაღაზიის^{*215} გახსნის აუცილებლობის საკითხი დაისვა სხვა დასახლებებშიც.

3.8.3 კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები

დევნილთა ნაწილის განცხადებით, მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრის გახსნა,^{*216} მათ შორის, ბავშვთა ინტელექტუალური განვითარებისთვის. მშობლებს რაიონულ ცენტრებში, რომელიც საკმაოდ დაშორებულია დასახლებებიდან, ბავშვების ტარება უჭირთ. წეროვანის, კარაღეთისა და კოდას დასახლებების დევნილებმა ბიბლიოთეკისა და ინტერნეტ კაფეს არსებობის სურვილი გამოთქვეს.

დასახლებათა ნაწილში მოსახლეობა უკვე არსებული სათემო ცენტრების უფუნქციობას უჩივის.^{*217} ბერბუკის დასახლებაში მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ სათემო ცენტრი არ ფუნქციონირებს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად აღჭურვილია და კომპიუტერებიც დგას, მოსახლეობისათვის გამოუყენებელია. მოსახლეობის ინფორმაციით, სათემო ცენტრი, ძირითადად, არჩევნების დღეს იხსნება. იგივე სურათია წილკნის დევნილთა დასახლებაშიც, სადაც დევნილები აღნიშნავენ, რომ ერთ დროს შექმნილი საინფორმაციო ცენტრები გაუქმდა. მათივე განცხადებით, ცენტრებში იყო კომპიუტერები, რომლითაც დევნილები უფასოდ სარგებლობდნენ, ასევე იყო შეხვედრების ადგილები დისკუსიისთვის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ტარდებოდა ტრენინგ-სემინარები, ფუნქციონირებდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი წრეები, რაც, ცენტრის დახურვით, დევნილებისთვის ხელმიუწვდომელი გახდა.

^{*214} წილკნის დევნილთა დასახლება.

^{*215} სკრის დევნილთა დასახლება.

^{*216} ფრეზეთის დევნილთა დასახლება.

^{*217} წილკანის და ბერბუკის დევნილთა დასახლებები.

მათივე განცხადებით, ცენტრები გადავიდა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, რის შემდეგაც გაქირავდა ფიზიკურ პირებზე.^{*218}

3.8.4 სხვადასხვა სოციალური სტატუსი

დევნილის სტატუსი ჯერ კიდევ არ აქვთ ზოგიერთ დასახლებაში მცხოვრებ პირებს და ითხოვენ სტატუსის დადგენას.^{*219} ნაწილის განცხადებით, მიმდებარე სოფლებს მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი მიენიჭა, თუმცა, მათ დასახლებებს იგივე სტატუსი არ მინიჭებია. სტატუსის მინიჭება დევნილებს კომუნალური გადასახადების ოდენობას შეუმცირებდა და კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემდა.^{*220} დევნილთა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მინიჭება/შენიშვნასთან დაკავშირებით. დევნილები აღნიშნავენ, რომ მათთვის გაუგებარია, კონკრეტულად რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა მათი დახმარების მიმღებ პირთა წრიდან ამოღება.

*„სოციალური დახმარება მომიხსნეს, რის საფუძველზე არ ვიცი, რადგან ჩემი შემოსავალი მხოლოდ 45 ლარია“^{*221}*

დევნილთა დიდი ნაწილის განცხადებით, იმ ფონზე როცა მათ არც სხვა შემოსავალი აქვთ და არც დასაქმების შესაძლებლობაა, დევნილის შემწეობა 45 ლარის ოდენობით ძალიან დაბალია და მისი გაზრდა აუცილებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის მიხედვით, დევნილმა, რომელიც აკმაყოფილებს სოციალურად დაუცველი პირის მოთხოვნებს, უნდა გააკეთოს არჩევანი - მიიღოს ან დევნილის ან სოციალურად დაუცველი პირის შემწეობა; ორივე დახმარების ერთდროულად მიღების შესაძლებლობას კანონმდებლობა კრძალავს.

ოკუპირებულ სოფლებში (ახალგორსა და ახალგორის რაიონის სოფლებში) შესასვლელად სპეციალურ საშვებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობას ითხოვენ დევნილთა ნაწილი, რადგან იქ ისინი ახერხებენ მინის დამუშავებას, პირუტყვის ყოლას და აქვთ შემოსავალი ოჯახისთვის.^{*222} მაგალითად, ფრეზეთის და წეროვანის დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ახალგორის რაიონიდან დევნილები არიან. ახალგორში შესასვლელად სპეციალური საშვის (რომლის გარეშეც ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის უფლება არავის აქვს) ღირებულება დაახლოებით 300 - 400 ლარია, რისი გადახდის საშუალებაც მათ არ აქვთ.

^{*218} კარაღეთის, მოხისის და საქაშეთის დევნილთა დასახლებები.

^{*219} ფრეზეთის და კოდას დევნილთა დასახლებები.

^{*220} ფრეზეთის დევნილთა დასახლება.

^{*221} შაუმიანის დევნილთა დასახლება.

^{*222} ფრეზეთის და წეროვანის დევნილთა დასახლებები.



თავი 4

რეკომენდაციები



რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს

საქართველოს მთავრობას

- შეიმუშავოს პროცედურა ეროვნულ დონეზე მოსამართლის კანდიდატურის შესარჩევად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ნომინირებისთვის და გამოიყენოს შერჩევის პროცესში დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა რომის სტატუტის პრინციპების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს ეფექტიანი მონაწილეობა პააგასა და ნიუ იორკში წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროსა და კომიტეტების სამუშაო ჯგუფებში;
- ითანამშრომლოს საერთაშორისო პარტნიორებთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში მიმდინარე გამოძიების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და რუსეთის მხრიდან თანამშრომლობაზე უარით გამონვეულ გამონვევებთან გამკლავების მიზნით, მათ შორის, სასამართლოს მიერ დაკავების ორდერების გამოცემის შემთხვევაში, მათი აღსრულების საკითხებზე.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს

- გაატარონ სათანადო ღონისძიებები დევნილთა დასახლებებში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, თითოეული დასახლების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;
- საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამის დასახლებებში ჩატარდეს საცხოვრებელი სახლების აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დევნილთა დასახლებებში მოხდეს საცხოვრებელი ადგილების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- მიიღონ შესაბამისი ზომები ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი დასახლებებიდან დევნილთა დროული განსახლების მიზნით;
- გამოიყოს საჭირო ფინანსური სახსრები, დევნილთა დასახლებებში საირიგაციო და სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის გაყვანის ან/და შეკეთების მიზ-

ნით; უზრუნველყონ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და პერიოდულად მისი ვარგისიანობის გადამოწმება;

- ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანიების ჩართულობით უზრუნველყონ დევნილთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანების საკითხის დაზუსტება და გადაჭრა;
- მიიღონ ზომები დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდისათვის მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა პროფესიული და უმაღლესი განათლების სახელმწიფო პროგრამების და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი პაკეტით სარგებლობა და სხვა;
- მოხდეს დევნილთა დასახლებების უზრუნველყოფა ტექნიკურად გამართული და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტით;
- მონესრიგდეს როგორც ცენტრალური, ისე დასახლებების შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა;
- გაიხსნას სამედიცინო ცენტრები დევნილთა შესაბამის დასახლებებში;
- სააფთიაქო ქსელებთან/ფარმაცევტულ კომპანიებთან მოლაპარაკებით ხელი შეეწყოს და უზრუნველყოფილი იქნას დევნილთა დასახლებებში აფთიაქების გახსნა;
- არსებული სამედიცინო ცენტრები აღიჭურვოს პირველადი სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარით, მედიკამენტებით და სამედიცინო პერსონალით;
- მოხდეს ფინანსური სახსრების მობილიზება და გატარდეს ყველა საჭირო ზომა დევნილთა დასახლებებში ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- მონესრიგდეს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება;
- გაუმჯობესდეს დევნილთათვის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები და უზრუნველყოფილი იქნას სამუშაოს მაძიებელ დევნილთა ჩართულობა აღნიშნულ პროგრამებში;
- უზრუნველყოფილი იქნას პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსები/პროგრამები დევნილებისათვის, რათა ხელი შეეწყოს მათი პროფესიული და ტექნიკური უნარების განვითარებასა და დასაქმების პოტენციალის გაზრდას.
- მოხდეს დევნილთა შემწეობის სისტემის ცვლილება საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად;
- შეისწავლონ დასახლებებში მცხოვრებ დევნილთა ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებსა და საძოვრებზე და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა იმავე რეგიონში მცხოვრები სხვა მოსახ-

ლეობის მსგავსად, ყველა დევნილს ჰქონდეს სოფლის მეურნეობისა და მე-საქონლეობის განვითარების შესაძლებლობა;

- დევნილთა დასახლებებში მოწვევას ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნები, სკვერები/რეკრეაციული ზონები, საგანმანათლებლო და სათემო/საინფორმაციო ცენტრები და უზრუნველყოფილი იყოს მათი ფუნქციონირება;
- მოხდეს დასახლებების საცხოვრებელი პირობების შესწავლა ჯანსაღ და სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, ჰაერის დაბინძურების, ქვეწარმავლების და სხვა მსგავსი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას

- ჩადენილი დანაშაულების სიმძიმისა და ფარგლების გათვალისწინებით, კომპლიმენტარობის პრინციპისა და მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, დროულად დაასრულოს მიმდინარე გამოძიება და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მისი შედეგების შესახებ.

რეკომენდაციები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი ორგანოებისთვის და დაზარალებულთა ნდობის ფონდისთვის

მოვუწოდებთ სასამართლოს, უზრუნველყოს სასამართლოს მანდატის ეფექტიანი განხორციელება:

- შეიმუშავოს საყოველთაო სტრატეგია საქართველოში სასამართლოს ჩართულობის შესახებ, რათა ყველა ორგანომ იცოდეს, თუ როგორ უნდა გადაილახოს არსებული გამოწვევები და უზრუნველყოს სასამართლოს მანდატის ეფექტიანი განხორციელება დაზარალებულთათვის სამართლიანობის აღსასრულებლად;
- ჩამოაყალიბოს სამოქალაქო საზოგადოების, იურიდიული და დიპლომატიური თემებისა და აკადემიური წრეების ადგილობრივი ექსპერტებისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც სასამართლოს დაეხმარებიან ადგილობრივი და რეგიონალური საკითხების უკეთ გააზრებასა და მოგვარებაში.

პროკურორის ოფისი

- განახლებული ინფორმაცია მიაწოდოს დაზარალებულებსა და საზოგადოებას გამოძიების პროგრესის შესახებ;
- უზრუნველყოს გამოძიების გონივრულ ვადაში დასრულება;
- უზრუნველყოს, რომ გამოძიება ასახავდეს ჩადენილი დანაშაულების ძირითად ასპექტებს, განსაკუთრებით, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულებს, როგორცაა ეთნიკური ქართველების იძულებით გადაადგილება და დევნა და ომის შემდეგ დანაშაულებს - სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა, განზრახ მკვლელობა, ქონების განადგურება და ძარცვა;
- უზრუნველყოს დაკავების ორდერების გამოცემა მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებელი ჩადენილ დანაშაულებში.

დაზარალებულთა ნდობის ფონდი

- უზრუნველყოს საჭიროებების შეფასების დროული განხორციელება და შემდგომ მხარდამჭერი მანდატის დაწყება დაზარალებული მოსახლეობისთვის;
- მხარდამჭერი მანდატის განხორციელებისას, გაითვალისწინოს დევნილთა ის საჭიროებები, რომლებიც წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა;
- მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც მიმართული იქნება დაზარალებულთა მატერიალურ დახმარებაზე და გრძელვადიან ეკონომიკურ გაძლიერებაზე;
- დანიშნოს წარმომადგენელი ადგილობრივ ოფისში, რომელსაც პირდაპირი კომუნიკაცია ექნება დაზარალებულებსა და მათ წარმომადგენლებთან.

კანცელარია

- მოახდინოს საჯარო რეაგირება სასამართლოს მიკერძოებულობასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე, რათა უზრუნველყოს საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა;
- გააქტიუროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები დაზარალებულ თემსა და საზოგადოებას შორის და უზრუნველყოს მათი პერიოდული ინფორმირება სასამართლოს მანდატის, საქმიანობისა და როლის შესახებ;
- უზრუნველყოს ადგილობრივი ოფისის ადამიანური და ფინანსური რესურსით გაძლიერება, მათ შორის, სამუშაო და მაღალი დონის ადგილობრივი თანამშრომლების აყვანით, რომლებსაც შეეძლებათ დაზარალებულთა ჯგუფებთან, მედიასთან და საზოგადოებასთან დროული და პროფესიული ურთიერთობის დამყარება;

- უზრუნველყოს დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექციის თანამშრომლის დანიშვნა ადგილობრივ ოფისში, რომელსაც პირდაპირი ინტერაქცია ექნება დაზარალებულებთან;
- უზრუნველყოს დაზარალებულთა სამართლიანობაზე წვდომისა და რეაბილიტაციის უფლებების სრულყოფილი რეალიზება, მათ შორის ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობა და წარმომადგენლობა;
- ასევე, გაატაროს შესაბამისი ზომები, ადგილობრივი ადვოკატებისა და იურსიტებისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში იურიდიულ წარმომადგენელთა სიაში მოსახვედრად.

ადგილობრივი ოფისი

- უზრუნველყოს დაზარალებულებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სრულფასოვანი სტრატეგიის განხორციელება;
- გააქტიუროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები დაზარალებულ თემში;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე საჯარო დისკუსიებში და გამოეხმაუროს მიმდინარე გამოძიების შესახებ სხვადასხვა აქტორების მიერ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციას სასამართლოს მანდატის, როლისა და გამოძიების ფარგლებთან დაკავშირებით;
- გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებები ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მიმდინარე გამოძიებისა და დაზარალებულების უფლებებთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, სატელევიზიო პროგრამებში მონაწილეობის გზით.

10

წელი
აგვისტოს
ობიდან



- 2005
- 2006
- 2007
- 2008
- 2009
- 2010
- 2011
- 2012
- 2013
- 2014
- 2015
- 2016
- 2017
- 2018
- 2019
- 2020